

პრესომბუდსმენი A3



შინაგან საქმეთა მინისტრის დასავლური ვოიაჟი A4



პრეზიდენტი შინაა A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 2 ოქტომბერი, 2006 წელი. №217 (1369) ფასი 50 თეთრი


24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**



**თიბისი-ფოსტა**

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 2/10 | 3/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 16 |
| ბათუმი | 20 | 18 |
| სოხუმი | 22 | 22 |
| ქუთაისი | 23 | 21 |
| გორი | 19 | 15 |
| ონი | 17 | 11 |
| ზუგდიდი | 23 | 22 |
| ახმეტა | 22 | 16 |
| სამტრედია | 22 | 21 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7355 |
| ევრო | 2.1970 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2400 |
| რუბლი | 0.0648 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# სააკაშვილის მიმართვა გაერო-ში

## პოსტსაბჭოთა კონფლიქტების შესახებ დისკუსიას ცვლის

ვლადიმირ სოკორი

22 სექტემბერს გაერო-ში მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში "გაყინული კონფლიქტების" დეფინიციაში. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე საერთაშორისო აქტორმა, თუ არ ჩავთვლით მოსკოვის მხარდამჭერ ქვეყნებს, რუსეთი "სამშვიდობო" და "მედიატორ" ქვეყნად განიხილოს. სააკაშვილის მიმართვამ ნათლად გამოკვეთა ამ კონფლიქტების გადაწყვეტის ძირითადი პარამეტრები:

1. კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ის "ტერიტორიული კონფლიქტებია", რომელთაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს. პრეზიდენტის სიტყვიდან აშკარად ჩანს, რომ "ეს რეგიონები ანექსირებულია" სამხედრო ძალის გამოყენებით, შემდეგ კი საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშად დარღვევით ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა, მიეღო რუსეთის მოქალაქეობა. საქართველოს პრეზიდენტის მიმართვამ აქცენტები სწორედ ამ კონფლიქტების მუდმივად იგნორირებული ბუნების ცვლილებაზე გააკეთა, ანუ მოსკოვის მიერ მართული ადგილობრივი ეთნიკური კონფლიქტები სხვა არაფერია, გარდა საქართველოს ტერიტორიის რუსეთის მიერ ძალით მიტაცებისა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩეხები საქართველოს ენერგოდისტრიბუციას იბარებენ

ENERGO-PRO და საქართველოს მთავრობა მიმდინარე კვირას ოფიციალურად გარიგდებიან

*"24 საათის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ENERGO-PRO-ს საქართველოდან შესაძლო წასვლის შესახებ, უმალ მოჰყვა უარმყოფელი განცხადებები. მათ შორის, ენერგეტიკის სამინისტროდან. "24 საათი" შეეცადა, თავად ENERGO-PRO-სგან მოეპოვებინა კომენტარი და რადგან ამ ინფორმაციის მიღება თბილისში შეუძლებელი გახდა, გაზეთი ჩეხეთში კომპანიის მთავარ ოფისს დაუკავშირდა. როგორც "24 საათს" ENERGO-PRO a.s.-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა იური კრუშინამ განუცხადა, ხელშეკრულების გაფორმებას არაფერი ემუქრება და მას დაახლოებით 5 ოქტომბერს მოეწერება ხელი.*
*ცნობისათვის, 5 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ეს ისე, ცნობისთვის, და სხვა არაფერი...*



# ქართველები ბიენალეზე A8



## უცხოელი ინვესტორის, ჰუსეინ ალის ღია წერილი A3

## მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს!

# გამარჯვება დაჟანგებულ პოლიტიკასთან

ეკა კვესიტაძე

- საქართველო უფრო დემოკრატიულია თუ რუსეთი? - "ენტევე"-ს ჟურნალისტი სალავიოვი შეტევაზე გადადის საქართველოს პოზიციების დამცველ დეპუტატ ბოროვოისთან.

- ყველა საერთაშორისო შეფასებით - საქართველო, - პასუხობს ბოროვოი.

- მაშინ მითხარით, ისეთი პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერი, რომელიც ახლა ქართული ტელევიზიის ეთერიდან ლაპარაკობს და ციხეში არ ზის.

- ასეთი ლიდერები ბევრნი არიან.

- საქართველოში ოპოზიციის ლიდერები ციხეში არ სხედან? - კითხულობს ისევ ჟურნალისტი.

- ციხეში ისინი სხედან, ვისაც საკუთარი სამშობლოს წინაშე ავანტიურაში სდებენ ბრალს.

- ჩვენთან, რუსეთში ის ადამიანები, რომლებიც უცხოური ფონდებიდან ფინანსდებიან, ყოველდღე ტელევიზიით გამოდიან და მათ თავიანთი აზრის გამოთქმას არავინ უშლის. და თქვენ ამბობთ, რომ საქართველო ჩვენზე უფრო დემოკრატიულია?

- ისინი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან და პოლიტიკით არ არიან დაკავებულნი, - ბოროვოის ეს არგუმენტი ისევ ჩაიხშო სალავიოვის ისტერიასა და ეგზალტირებული დარბაზის აპლოდისმენტებში.

დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო საღამოს თოქ-შოუში ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის გამართული დიალოგი, რომელიც "ენტევე"-ს ეთერით ქართველი სამართალდამცავების მიერ რუსი ჯაშუშების დაკავების შემდეგ გადაიცა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ცოცხალი ჯაჭვი რუსეთის "დასაბმელად"

*27 სექტემბერს რუსი ოფიცრების დაკავებით გამოწვეულმა სკანდალმა წინასაარჩევნო დაპირისპირება თითქმის მთლიანად დაჩრდილა და უკანა პლანზე გადაწია. ეს ნამდვილად არ შედის ოპოზიციის ინტერესებში, რომელსაც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ელექტორატის ყურადღება ჰაერივით სჭირდება. ასეთ ვითარებაში ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" გამოსავალს ადვილად მიაგნო. მისმა ლიდერებმა ჯაშუშობის თემა თავად აიტაცეს და ის თავიანთი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აქციეს.*

გიორგი ასანიშვილი

ბლოკი "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" გამოდის წინადადებით, 4 ოქტომბერს, როდესაც რუსეთის სახელმწიფო სათათბირო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხს იხილავს, თბილისში, რუსეთის საელჩოს წინ ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდეს. კობა დავითაშვილის აზრით, ეს იქნება იმის ილუსტრაცია, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რუსთთან დამოკიდებულების საკითხში ქართული საზოგადოება ერთიანია და ერთ პოზიციაზე დგას.

**"რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ერთიანობა, რათა არ გაუჩნდეთ ილუზია, თითქოს საქართველოზე ზეწოლა მათთვის სასურველ შედეგს გამოიღებს და ქვეყნის შიგნით გამოჩნდებიან ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოსკოვის ნებას დაყვებიან,"** - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე კონსერვატორული პარტიის ლიდერმა. კობა დავითაშვილმა აგრეთვე დაადასტურა, რომ რუსეთთან ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვის გამო, მისი საარჩევნო ბლოკი წინასაარჩევნო კამპანიას დროებით გვერდით სწევს და ამ ეტაპზე ყველაზე მთავარ საკითხად რუსეთის აგრესიის განეიტრალებას მიიჩნევს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სამშვიდობო პროცესის სამი ელემენტი

## კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერთი და იგივე არ არის

*აფხაზური მხარის მიერ ორგანიზებული კონფერენცია "აფხაზეთი რეგიონის უსაფრთხოების და განვითარების კონტექსტში" ბიჭვინთაში 19-20 სექტემბერს ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობა ქართველმა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმაც მიიღეს. ამ ღონისძიების შედეგებზე, დღევანდელ აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე და კონფლიქტის მოგვარების გზებზე ამ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე, საქართველოს სტრატეგიისა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე საუბრობს.*

**- ვის მიერ იყო ორგანიზებული ბიჭვინთის კონფერენცია და ვინ მიიღო მასში მონაწილეობა?**

- კონფერენცია მოაწყო ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "სტრატეგიულ კვლევათა ცენტრი", მაგრამ, როგორც ეს ცნობილი გახდა, კონფერენციის სპონსორი თავად აფხაზეთის ადგილობრივი მთავრობა იყო. მასპინძლები უაღრესად დაინტერესებული იყვნენ ამ კონფერენციის ჩატარებით და მას დე-ფაქტო მთავრობის დიდი ნაწილი ესწრებოდა, მათ შორის ორი ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, დეპუტატები და აფხაზეთის საზოგადოებრიობის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები. აგრეთვე, მოწვეულნი იყვნენ თურქეთში აფხაზური დიასპორის წარომადგენლები. გარდა ამისა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც მუშაობენ რეგიონში, ასევე რუსმა პოლიტოლოგებმა. საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი გახლდათ ბატონები ივლიანე ხაინდრავა, გიორგი ანჩაბაძე, "კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის" წარმომადგენელი გიორგი გოგია და თქვენი მონამორჩილი.

კონფერენციის მიზანი იყო რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისთვის გაეცნოთ დღევანდელი აფხაზეთის მიღწევები სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დარგში. აგრეთვე ის, რომ ყველასთვის კიდევ ერთხელ განეცხადებინათ, თუ რაოდენ მტკიცეა უკვე გაკეთებული არჩევანი და რომ ამ არჩევანს ისინი არავითარ შემთხვევაში არ უღალატებენ.

გაგრძელება A5 გვერდზე

## პუტინმა საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკა

საქართველოს შესახებ ისაუბრეს რუსეთის უშიშროების საბჭოს გუშინდელ თათბირზე, რომელიც სოჭში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის თავმჯდომარეობით გაიმართა. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა თათბირზე განაცხადა, საქართველო რუსეთის პროვოცირებას ცდილობს.

"ჩვენი სამხედროები დაკავებულები არიან და ციხეში იმყოფებიან," - განაცხადა პუტინმა და დასძინა, რომ "ყველაფერი ეს ლავრენტი ბერიას სამართალმემკვიდრეობაზე მეტყველებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე".

პუტინმა სოჭში 29 სექტემბერს ეკონომიკური ფორუმი "ყუბანი 2006" გახსნა.

ფორუმზე ჩავიდა ორი თვითაღიარებული რესპუბლიკის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი. პუტინმა ედუარდ კოკოითსა და სერგეი ბაგაფშს "უცხოელი სტუმრები" უწოდა და განაცხადა, რომ "მოსკოვს თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს". ***ინტერპრესნიუსი***

## გიგა ბოკერია პუტინის სიტყვებს კომპლიმენტად იღებს

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია პრეზიდენტ პუტინის გამოსვლას სოჭში საქართველოს წინააღმდეგ მორიგი აგრესიის უშედეგო მცდელობად აფასებს.

როგორც ბოკერიამ განაცხადა, ის, რომ პუტინმა სააკაშვილის მთავრობა და მისი პოლიტიკა ლავრენტი ბერიას პოლიტიკას შეადარა, ერთი მხრივ, შეიძლება პუტინის პირიდან ნათქვამი კომპლიმენტი იყოს, რადგან მისთვის საოცნებო რეჟიმი სწორედ ბერიას რეჟიმია. "პუტინი პირდაპირი შთამომავალია ჩეკისტებისა და ის არის პრეზიდენტი, რომელმაც სსრკ-ს დაშლას ტრაგედია უწოდა. პუტინისთვის ბერიას მემკვიდრეობა საამაყოა, რითაც არ ვამაყობთ ქართველები. ჩვენ არ ვამაყობთ არც ერთი ქართველი ჯალათით," - აღნიშნავს ბოკერია.

უმრავლესობის დეპუტატი აცხადებს, რომ რუსეთმა ჯერ დუმის დეპუტატების უპასუხისმგებლო გამონათქვამებს შეაჩვიეს საქართველო, შემდეგ თავდაცვისა და უშიშროების მინისტრები აკეთებდნენ შეურაცხმყოფელ განცხადებებს, დღეს კი აგრესიული შემტევი განცხადება უკვე პრეზიდენტმა გააკეთა. "ამ გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რამხელა საფრთხეს წარმოადგენს პრეზიდენტი პუტინი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის," - განაცხადა ბოკერიამ.

უმრავლესობის დეპუტატი დარწმუნებულია, რომ რუსეთის ნებისმიერი მცდელობა, განახორციელოს საქართველოზე აგრესიული პოლიტიკა, უშედეგოა. "შეუძლებელია, რუსეთის სამშვიდობო ძალები ექსკლუზიური მედიატორის როლს თამაშობდნენ საქართველოში არსებული კონფლიქტების ზონებში, სამშვიდობო მანდატი უპირობოდ შესაცვლელია. ეს რეალობა პუტინის დღევანდელმა აგრესიულმა განცხადებამ კიდევ ერთხელ დაანახა მთელ მსოფლიოს," - განაცხადა ბოკერიამ. **ინტერპრესნიუსი**

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

### ახალი მედია პროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ დავით პაიჭაძეს, გადაცემის სტუმარია მწერალი გურამ ბათიაშვილი

**დავით პაიჭაძე:** სამი დღის წინ, თიბისი ბანკში გაიმართა საპრემიერო ჩვენება ფილმისა, "თუ დაგივიწყო იერუშალაიმ". საქმე ეხება ქართველი ებრაელების თემას. უცნობი ისტორია, რომელსაც ჩვენ გვინდა, რომ შევეხოთ მოგვითხრობს საქართველოს მკვიდრი ებრაელების ძალისხმევაზე, თუ როგორ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი. ფილმის სცენარის ავტორია გურამ ბათიაშვილი. თქვენი აზრით რატომ იყო საბჭოთა კავშირიდან ებრაელების ისრაელში დაბრუნება ტაბუირებული?

**გურამ ბათიაშვილი:** რამდენიმე მიზეზი იყო საამისოდ. პირველი, ქართველი ებრაელების მენტალიტეტი. ქართველი ებრაელობა ნაკლებად ეტანებოდა ხმაურსა და ოფიციოზს. მათ ოფიციოზის არაფერი არ სწამდათ, არ აინტერესებდათ და გაურბოდნენ კიდეც.

**დ.პ.** ფილმის მთავარი პერსონაჟია შაფთაი ელაშვილი, რომელიც 35 წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი ყველაზე ხშირად იხსენიება "თუ დაგივიწყო იერუშალაიმში". ვინ იყო ეს კაცი?

**გ.ბ.** შაფთაი ელაშვილი გახდათ საქმოსანი, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან იყო შეძლებული ადამიანი. მას შესწევდა ძალა, რომ თავისი ინტერესებისათვის ებრძოლა. მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი წარმართავდა რელიგიური რწმენა.

**დ.პ.** 1969 წელს, შაფთაი ელისაშვილმა დაწერა წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე . იგი წერილში წერდა, რომ ებრაელებს დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი და დაბრუნებოდნენ ისტორიულ სამშობლოს- ისრაელს. ამ წერილს ჩვიდმეტი მისი თანამოაზრე ებრაელი შეუერთდა. ელაშვილი და მისი თანამოაზრეები ქუთაისიდან იყვნენ. მან მოახერხა და მოსკოვში, სამთვიანი დაზვერვითი სამუშაოების შედეგად, გამოთვალა ჰოლანდიის საელჩოში დაცვის მოქმედება , შეღწია საელჩოში და წერილი დატოვა. იგი რამდენიმე თვის მანძილზე ელოდა გამოხმაურებას, მაგრამ როგორც გაირკვა წერილი მოხვდა გაეროშიც და მსოფლიოს თავისუფალ პრესაშიც. ასე გახმაურდა პირველად შაფთაიმ, საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, ებრაელების ცხოვრების სურვილი. ბატონო გურამ მოდით ვისაუბროთ ამ ამბის მნიშვნელობაზე...

**გ.ბ.** როდესაც წერილი წავიკითხე მეგონა, რომ ელაშვილმა ეს დააწერინა გამოცდილ იურისტებს, რადგან ძალიან კვალიფიციურად იყო შედგენილი. ელაშვილის შვილებთან საუბრისას გავარკვიე, რომ წერილი დაწერა შაფთაიმ და კიდევ იყო ბესო იაკობაშვილის ხელისმოწერა. ბესო იაკობაშვილი პრეფესიით ყოფილა კინო-რეჟისორი, რომელსაც არავითარი ფილმი არ გადაუღია. თავდაპირველად წერილი გაიგზავნა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, მაგრამ ეს წერილი საბჭოთა ფოსტამ ჩაყლაპა. პარალელურად, მათ წერილი გაეროში, ისრაელის წარმოიმადგენელთან იოსებ ტეპუასთანაც გაგზავნეს. მეორე წერილი კი, გაეროს გენერალურ მდივანს გაუგზავნეს, რომელმაც ადრესატამდე მიაღწია.

**დ.პ.** რა რეზონანსი მოყვა ამ ამბავს?

**გ.ბ.** იმ დროს ისრაელის სახელწიფო დაპირისპირებული იყო არაბულ სამყაროსთან. ახალი დამთავრებულია ომი. ომის დამთავრების შემდეგ, ისრაელი იყო ეიფორიაში, რადგან მან სერიოზულ გამარჯვებას მიაღწია. როდესაც ღრუბლები გაიფანტა ისრაელმა იგრძო, რომ დგება საფრთხე ახალი ომის დაწყებისა. ამ დროს ისრაელი ეძახის თავის შვილებს, ანუ ქვეყანას ჯარისკაცები, დამცველები ჭირდება. გაეროში, ისრაელის წარმოიმადგენელი იოსებ ტეპუა ზემოდ აღნიშნულ წერილს უგზავნის ისრაელის პრემიერ-მინისტრს. წერილი მსოფლიოს მაშტაბით, მსჯელობის საგანი ხდება. ასეთი , რამ საბჭოთა კავშირის დროს წარმოუდგენელი იყო. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა სათანადოდ შეაფასა წერილი და დაიწყო კამპანია, "საბჭოთა კავშირის ებრაელების ინტერესების დასაცავად".

**დ.პ.** საინტერესოა, რატომ დაიმალა ეს ამბავი აქამდე?

**გ.ბ.** ისრაელის საზოგადოების ცნობიერებაში ეს წერილი ტრიალებდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ქართველი ებრაელობა ერიდებოდა ხმაურს. ქართველი ებრაელობა არ იდგა რაიმე სათავეებთან, რომ თავისი პოტენციალის დემონსტრირება მოეხდინა. შესაძლოა შემდეგ, წერილის გახმაურება არა ქართველ ებრაელებსაც აღარ აწყობდა.

**დ.პ.** რატომ?

**გ.ბ.** ეს იყო უზარმაზარი აქცია. განვითარების საქმეში შეტანილი წვლილი ღევანდელ ისრაელში ძალიან ფასდება.

**დ.პ.** წერილის დაწერიდან ორი წლის შემდეგ, 1971 წერლს მოხდა უპრეცედენტო რამ, 36 ებრაელი საბჭოთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მისაღებში შედის და აცხადებს, რომ ისინი არ წაგავლენ სანამ არ მისცემდნენ ისრაელში დაბრუნების, წასვლის უფლებას. ეს ნაბიჯი იყო თითქმის სიკვდილზე წასვლა. აღსანიშნავია, რომ მათ დაბრუნებაზე დადებითი პასუხი მიიღეს...

**გ.ბ.** ჩემი პირადი მოსაზრებით, ქართველ ებრაელთა ეს აქცია რასაკვირველია დიდი რისკი იყო, მაგრამ აქ არის ერთი რამ, უფრო ძლიერი იყო ქართველ ებრაელობაში ის რწმენის ძალა, რომელიც მათ ქონდათ.

# გამარჯვება დაჟანგებულ პოლიტიკასთან

პირველი გვერდიდან

მეორე დღეს კობა დავითაშვილი ანუ ოპოზიციის ერთ-ერთი იმ ლიდერთაგანი, რომელთა ბედზე სალავიოვი ასე ნაღვლოდა, ერთ-ერთ რუს დეპუტატს სწორედ სატელევიზიო ეთერით უმტკიცებდა, რომ ოპოზიციის იმედი საქართველოში ნუ ექნებათ, რომ ქვეყნის პროდასავლური კურსი არასოდეს შეიცვლება, იმისდა Sმიუხედავად, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

არ არის გასაკვირი, რომ "სუვერენული დემოკრატიის" პირობებში რუსი ჟურნალისტების მიერ დემოკრატიის აღქმა და ინტერპრეტირება სრულიად განსხვავდება ამ ცნების უნივერსალური გაგებისაგან. მათ ისევე რუსულად ესმით დემოკრატია, როგორც ახალი ტერმინის - "სუვერენული დემოკრატიის" - შემომქმედ პრეზიდენტ პუტინს, რომელმაც გუშინ კიდევ ერთხელ გამოხატა სიბრალული არადემოკრატიულ პირობებში მყოფი ქართველი ხალხის მიმართ და საქართველოს ხელისუფლებას ბერიას მემკვიდრეები უწოდა.



*მათ ისევე რუსულად ესმით დემოკრატია, როგორც ახალი ტერმინის - "სუვერენული დემოკრატიის" - შემომქმედ პრეზიდენტ პუტინს.*

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ არის მნიშვნელოვანი, როგორ კომენტარებს აკეთებენ რუსული ტელე-არხებიდან სოლოვიოვი, ლეონტიევი, პავლოვსკი და ასე შემდეგ; როგორ ისტერიკას აწყობენ ზატულინები, მიტროფანოვები და ჟირინოვსკები. არც ის არის საინტერესო, როგორ კომენტარს აკეთებს თავად პრეზიდენტი პუტინი, რადგან ამ კომენტარების შინაარსის წინასწარმეტყველება არცთუ ისე ძნელია. ამ სიტუაციაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, როგორ აშუქებდნენ და გააშუქებენ ამ თემას ავტორიტეტული საერთაშორისო არხები და გამოცემები.

რუსული არხებისაგან განსხვავებით, თვისობრივად სხვაგვარი იყო ამ მოვლენების გაშუქება საერთაშორისო ტელეკომპანიების - "ბიბისის", "სიენენისა" და თვით "ევრონიუსის" მიერ.

რუსი ჯაშუშების დაკავება პარასკევს "ბიბისისა" და "სიენენის" დღის მთავარი თემა იყო, კონტექსტი კი ასეთი: საქართველოს, რომელიც მყარად დაადგა ნატო-საკენ მიმავალ გზას, რუსეთი ებრძვის სხვადასხვა მეთოდებით - სეპარატისტების მხარდაჭერით, ზამთარში გაზისა და ელექტროენერგიის შეწყვეტით.

გასული ზამთრის ენერგობლოკადა პირველი შემთხვევა იყო, როცა საქართველომ რუსეთს საინფორმაციო ომი მოუგო. მაშინ ამისათვის საჭირო ფონიც იყო შექმნილი - უკრაინასთან დაწყებული გაზის ომისა და ცივ ზამთარში ევროპისთვის შექმნილი პრომლემების გამო რუსეთმა არასაიმედო პარტნიორისა და მიმწოდებლის სტატუსი მიიღო.

ენერგობლოკადის შემდეგ რუსი ჯაშუშების დაჭერა მეორე თემა გახდა, როცა საერთაშორისო ასპარეზზე საინფორმაციო ომში გავიმარჯვეთ. საინფორმაციო სივრცეში წლების განმავლობაში გადატანილი მარცხის შემდეგ, ეს, ბუნებრივია, სეროზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

თავისთავად საინტერესოა დრო, როდესაც რუსი ჯაშუშები დაიჭირეს. ეს გაერო-ში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ და ნატო-ს მოახლოებული სამიტის წინ მოხდა.

საქართველო ერთადერთი აღმოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც თანამიმდევრული საგარეო პოლიტიკა შეინარჩუნა. თუ მოლდოვა და უკრაინა, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, დღეს რუსეთისათვის პრობლემას აღარ ქმნიან, საქართველოს პოზიციები არაფერში დაუთმია.

ეს ზუსტად ის ერთადერთი პოლიტიკაა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობაში ჭრის. სააკაშვილმა ეს საკუთარი გამოცდილებიდანაც იცის. პრეზიდენტობის დასაწისში პუტინისათვის მეგობრულად გაწვდილმა ხელმა, ბაზების საკითხის უკანა პლანზე გადატანამ და რუსეთისათვის "სახის შენარჩუნების" პოლიტიკამ არანაირი პოზიტიური შედეგი არ მოიტანა.

მოსკოვთან ურთიერთობაში მხოლოდ ერთი ტაქტიკა და სტრატეგია ამართლებს - კრემლს უნდა დაუმტკიცო, რომ მისი არ გეშინია, არც არასოდეს შეგეშინდება და შენი მომავლის განსაზღვრაში ის ვეღარასოდეს ჩაერევა.

ამ მიზანს ემსახურება რუსეთის ბაზების გაყვანის პროცესის დაწყება, გაერო-ს ტრიბუნიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიაში რუსეთის ღიად და პირდაპირ დადანაშაულება, ნატოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყება და რუსი ჯაშუშების დაჭერაც.

არ არის გამორიცხული, რომ სიტუაციის საშიშ ზღვრამდე გამწვავების თავიდან ასაცილებლად ამერიკის ადმინისტრაციამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას რუსი ოფიცრების რუსეთისათვის გადაცემა სთხოვოს. ალბათ, ეს ასეც მოხდება და ამ ამბის ყველაზე ლოგიკური დასრულებაც ეს იქნება, რადგან მთავარი რუსი ოფიცრების ქართულ ციხეში ყოფნა სულაც არ არის. მთავარი ამ ისტორიაში არის ის, რომ პუტინი და მისი გარემოცვა ერთ რამეში დარწმუნდნენ - საქართველოდან მათი იმპერიალისტური ამბიციების ალაგმვის დრო დადგა, რომ თავისუფლები ვართ და ჩვენ თვითონ განვსაზღვრავთ საკუთარი ქვეყნის მომავალს, რომ მათი სპეცსამსახურებისა და აგენტურული ქსელის სიძლიერის დრო წარსულს ჩაბარდა, რომ რუსეთის პოლიტიკა უკვე თავად დაემსგავსა დაძველებულ, დაჟანგებულ რუსულ ტანკს, რომელსაც მხოლოდ ადამიანების დაშინება შეუძლია.

# ცოცხალი ჯაჭვი რუსეთის "დასაბმელად"

პირველი გვერდიდან

ცოცხალი ჯაჭვის გაკეთების იდეას მოწოდებით ხვდება ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი თინათინ ხიდაშელიც, რომლის თქმითაც, საქართველოში მოქმედმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და გაერთიანებამ თავისი ვიწროპარტიული ინტერესები დროებით უნდა დაივიწყოს და 4 ოქტომბერს რუსეთის საელჩოს წინ ხელიხელჩაკიდებული დადგეს.

**"ჩვენი ერთიანობის დემონსტრირება იმის გარანტია იქნება, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებები თუ არ შეწყდება, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები მასშტაბის იქნება და მოსკოვი, საქართველოსთან ურთიერთობაში, კონსტრუქციულ რეჟიმს დაუბრუნდება,"** - ვარაუდობს ოპოზიციონერი პარლამენტარი, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილი. მისივე თქმით, დღეს რუსეთის რეაქციული წრეების ერთადერთი იმედი ის არის, რომ საქართველოში, საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების შიგნით, არეულობა და დაპირისპირება დაიწყება. ამიტომ, დავით ზურაბიშვილის განცხადებით, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ერთიანობის დემონსტრირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

# რეკომენდაციები ცესკოს

*საკრებულოების არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" (ISFED) ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის რამდენიმე რეკომენდაცია შეიმუშავა. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, თუკი ცესკო ამ რეკონემდაციებს გაითვალისწინებს, "იგი თავიდან მაქსიმალურად აიცილებს როგორც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა მხრიდან ყოველ კონკრეტულ საკითხზე სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას, ასევე, ამომრჩევლის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას".*

თამარ ასათიანი

"სამართლიანი არჩევნების" წევრები აღიარებენ, რომ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა, მათი განახლება და სრულყოფა გახდა და ამ მხრივ, საარჩევნო კომისიებმა საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარეს.

თუმცა, ორგანიზაციის თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, ამის მიუხედავად, პირველად სიებში მაინც შეიმჩნეოდა სერიოზული ხარვეზები.

შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ამომრჩეველთა სიების კარდაკარ გადამოწმების საკითხი, შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც კარდაკარ გადაამოწმებდნენ თითოეული ამომრჩევლის მონაცემებს, "თუმცა არჩევნების მოულოდნელად დანიშვნამ ვადაზე ადრე შეაჩერა სპეციალური ჯგუფების უფლებამოსილება".

იმავე თამარ ჟვანიას თქმით, **"ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა გაგრძელდა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ, თუმცა აღნიშნული სამუშაოები არაერთგვაროვნად და შემჭიდროვებულ ვადებში მიმდინარეობდა. შესაბამისად, ამომრჩეველთა საბოლოო სიებში კვლავ აღმოჩნდა საკმაოდ ბევრი უზუსტობა".**

ასე, მაგალითად, "სამართლიანი არჩევნების" მიერ ამომრჩეველთა სიების დახვეწის პროცესის მონიტორინგის შედეგად (ორგანიზაციამ ცესკო-დან ამომრჩეველთა სიის საბოლოო ვერსიის ელექტრონული ასლი 26 სექნებერს მიიღო) **ISFED**-ის წარმომადგენლებმა ამომრჩეველთა სიაში აღმოაჩინეს როგორც უმისამართო ამომრჩეველი, ასევე ამომრჩევლები, რომელთა მონაცემებში გამოტოვებულია ან გვარი, ან სახელი, ან დაბადების თარიღი.

**"ამომრჩეველთა ერთიან სიაში არის სხვა სახის ხარვეზიც. მაგალითისთვის მოვიყვანთ თუნდაც გლდანისა და ნაძალადევის ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთა მისამართებშიც მითითებულია მხოლოდ კორპუსი, ბინის ნომრის გარეშე. ასეთი ამომრჩეველია: გლდანის ოლქი - 1223, ხოლო ნაძალადევი ოლქი - 3117. ასევე, მხოლოდ გლდანის ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთაც მისამართში მითითებული აქვთ მხოლოდ მიკრო-რაიონი, კორპუსებისა და ბინის ნომრების გარეშე, 25-ია,"** - ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რაც შეეხება "სამართლიანი არჩევნების" მიერ შემუშავებულ კონკრეტულ რეკომენდაციებს. იგი ასე ჟღერს:

**"შემუშავდეს ერთიანი სამოქმედო ინსტრუქცია საქართველოში მოქმედი თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისთვის ამომრჩეველთა სიების შესახებ; ინსტრუქციაში დეტალურად აღიწეროს ამომრჩეველთა სიის თითოეული რეკვიზიტის მნიშვნელობა; ინსტრუქციაში დეტალურად აღიწეროს იმ კონკრეტულ შეცდომათა მაგალითები სიის თითოეულ რეკვიზიტში, რომელიც არ გამოიწვევს ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას (მაგალითად, ზედმეტი სასვენი ნიშნის, ან ზედმეტი ერთი ასოს არსებობა, რაც არსებითად და შინაარსობრივად არ ცვლის რეკვიზიტის მნიშვნელობას); ინსტრუქციაში დეტალურად აღიწეროს მაგალითები, რომლებიც არ იძლევა ამომრჩევლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და, შესაბამისად, მიიჩნევა ბიულეტენის გაუცემლობის საფუძვლად (მაგალითად: შეცდომები პირად ნომერში, ან რამდენიმე რეკვიზიტის ერთდროული უზუსტობა და ა.შ)."**

აღსანიშნავია, რომ "სამართლიანმა არჩევნებმა" ოფიციალური წერილით უკვე მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ამ ორგანიზაციის წარმონადგენლები ცესკოდან შესაბამის პასუხს უახლოეს ორ დღეში ელიან.

## მოკლედ

### მხარდაჭერა აშშ-ს სენატიდან

აშშ-ს სენატში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მხარდამჭერი კანონპროექტია შეტანილი. აღნიშნული დოკუმენტი წარადგინა სენატორთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში რესპუბლიკელი ბილ ფრისტი უდგას. მის ინიციატივას სხვა სენატორებმაც დაუჭირეს მხარი, კერძოდ, საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ რიჩარდ ლუგარმა და სენატორმა-რესპუბლიკელმა ჯონ მაკკეინმა. პროექტი, აშშ-ს სენატის სახელით, ნატო-ს შემდგომ გაფართოებასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს, ალბანეთის, ხორვატიისა და მაკედონიის მიღებას უჭერს მხარს. **ინტერპრესნიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი: ჩვენი გზა ევროპისკენ მიდის

საქართველოს პრეზიდენტი შავ ზღვაში საქართველოს ტერიტორიულ წყლების უშუალო სიახლოვეს რუსეთის ფედერაციის სამხედრო წვრთნების ჩატარებას გამოეხმაურა. "რუსებმა გადაწყვიტეს აქ, ზუსტად ბათუმის აკვატორიის გასწვრივ, რაღაც სწავლებების ჩატარება. ნურაფრის შეგეშინდებათ და არც მიაქციოთ ყურადღება. ჩვენი პასუხი არის სამართლებრივი პროცესი, კანონის უზენაესობა, ფეხზე მდგომი ქვეყანა, რომელიც აგრძელებს ცხოვრებას, შენებას და საკუთარი თავის დამკვიდრებას თანამედროვე მსოფლიოში," - განაცხადა ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის გახსნის ცერემონიაზე მიხეილ სააკაშვილმა. "ჩვენი გზა არის სამართალი და კანონიერება. ჩვენ მივდივართ იმ მსოფლიოს მიმართულებით, სადაც პატარაც და დიდიც არის თანასწორი, სადაც დიდფლოტიანი და პატარა ფლოტიანი ქვეყანაც არის ერთნაირი და სადაც კუნთების თამაშით არ იქმნება სიმართლე და სამართლიანობა. ამის სიმბოლოა ბათუმი, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, არის მშვიდი, წყნარი, საქმიანი და მოფუსფუსე. გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში, სამართლიანობის დამკვიდრებაში საქართველოში და მთლიანად იმ სივრცეში, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით. ჩვენი გზა ევროპისკენ მიდის," - დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა. **მედიანიუსი**

### რუსები კოფი ანანის მოხსენების იმედად არიან

გაერო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავების მიზეზებთან დაკავშირებით რუსეთის შეფასებას იზიარებს. ასეთი განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ანგარიში ნიუიორკში უახლოეს დღეებში უნდა წარადგინოს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ვითარების გამწვავება კოდორის ხეობის ზედა ზონაში საქართველოს მიერ ჩატარებულმა სპეცოპერაციამ გამოიწვია. იქვე ნათქვამია, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიშში დაფიქსირებულია საქართველოს მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის შეთანხმების დარღვევის 13 ფაქტი. როგორც რუსეთის საგარეო უწყება იუწყება, ანგარიშში ასევე დაფიქსირებულია, რომ "ქართული მხარე გაერო-ს მისიის დამკვირვებლებსა და დსთ-ს სამშვიდობოებს კოდორის ხეობის ზედა ზონის ერთობლივი მონიტორინგის საშუალებას არ აძლევს, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციითა და ქართულ-აფხაზური შეთანხმებებით არის გათვალისწინებული". **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთში გამოკითხულთა უმეტესობა მოსკოვს საქართველოდან ჯარების გაყვანას ურჩევს

რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" მსმენელებისა და "ნიუსრუ. კომის" ინტერნეტ-გამოცემის სტუმრების უმრავლესობის აზრით, რუსეთმა საქართველოდან ჯარები უნდა გაიყვანოს და ქვეყანას თავი დაანებოს.

გამოკითხვის ბოლო შედეგები ასეთია: რადიომსმენელთა 47 პროცენტი ფიქრობს, რომ მოსალოდნელი ომით საქართველოა დაინტერესებული, 53 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ომი რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელია. ამავე შეკითხვას ინტერნეტ-საიტის სტუმრები სხვაგვარად პასუხობენ: გამოკითხულთა 54 პროცენტმა საქართველოს მისცა ხმა. 30 პროცენტმა რუსეთს, 7 პროცენტს კი პასუხის გაცემა გაუჭირდა.

"ეხო მოსკვის" მსმენელთა 44 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოზე სამხედრო და დიპლომატიური მეთოდებით ზეწოლა უნდა მოახდინოს, 56 პროცენტი კი ფიქრობს, რომ რუსეთმა ქვეყანას თავი უნდა დაანებოს და საქართველოდან თავისი ჯარები გაიყვანოს.

რადიომსმენელთა 46 პროცენტს აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ურჩევნია, 54 პროცენტს - საქართველოში. ინტერნეტ-საიტის სტუმრების 54 პროცენტი ამ ტერიტორიას რუსეთს მიაკუთვნებს, 40 პროცენტი - საქართველოს. გამოკითხულთა 6 პროცენტმა ამ შეკითხვაზე პასუხს თავი აარიდა. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

## სააკაშვილის მიმართვა გაერო-ში

# პოსტსაბჭოთა კონფლიქტების შესახებ დისკუსიას ცვლის

პირველი გვერდიდან

2. სეცესიონისტური ანკლავის პოლიტიკით ყველა ეთნიკური ჯგუფი დაზარალდა: ქართველები ეთნიკური წმენდისა და მ რეგიონებში მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვის თვალსაზრისით, ხოლო სხვებმა ზიანი "ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონობის სპონსორების მიერ თავს მოხვეული წესებით განიცადეს. ასეთ ზარალს კი ბოლო უნდა მოეღოს". სრულიად ნათელია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ინტერვენცია სახეზეა.

3. კონფლიქტებზე რუსეთის უშუალო როლზე მეტყველებს "დე ფაქტო ხელისუფლებების უფლებამოსილებაც". სააკაშვილმა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება რუსეთის დახმარებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მობილიზებულ მძიმე ტექნიკასა და დე ფაქტო ხელისუფლებებისა და რუსეთის მიერ ახლახან ჩატარებულ ერთობლივ სამხედრო წვრთნებზე გაამახვილა.

4. რუსეთის დირექტივები თვითაღიარებულ რესპუბლიკებში აგრესიის ნათელი მაგალითია: "თანაც ზოგიერთი მაგალითი ნათლად მიუთითებს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობაზე".

5. საქართველოს საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით აქვს თავდაცვის უფლება: "ამ დარბაზში წარმოდგენილი სახელმწიფოებიდან რომელი მოითმენს საკუთარ ტერიტორიაზე ასეთ ინტერვენციას? რუსეთი, როგორც ჩანს, ელის, რომ საერთაშორისო საზოგადოება შეეგუება ამ ვითარებას, მაგრამ თუ ეს ასე მოხდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო თამაშის წესები შეიცვალა. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდება, რადგან სუვერენული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

6. ამ კონფლიქტების მოგვარება უნდა შეესაბამებოდეს კანონისა და დემოკრატიის დღის წესრიგს. "ჩვენი სადავო ტერიტორიების მცხოვრებლები მაფიოზთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან. "ვარდების რევოლუცია" მანამდე არ ჩაითვლება დასრულებულად, ვიდრე საქართველოს ყველა მოქალაქეს არ ექნება სახელმწიფოს ცხოვრებასა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღების უფლება," - დაამატა იქვე საქართველოს პრეზიდენტმა.

7. "მემკვიდრეობით მიღებული სამშვიდობო ჩარჩოები და მოლაპარაკებების ფორმატი არც მშვიდობის დამყარებას უწყობს ხელს და არც ჭეშმარიტ მოლაპარაკებების წახალისებას ემსახურება. მთელი 12 წლის მანძილზე რუსმა "სამშვიდობოებმა" აფხაზეთში ქართველი დევნილების დაბრუნების ყველა მცდელობას ხელი შეუშალეს. რუსეთის სამშვიდობო ოპერაციები ყოველთვის მიკერძოებული და ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობისა და მართლის პოზიციის შირმას ამოფარებულია", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. ამდენად, რუსეთის მიერ შექმნილი სტრუქტურები დასაწყისშივე უკანონოა.

8. საქართველო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, "ჩაანაცვლონ და შეცვალონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოლაპარაკებების არსებული ჩარჩოები და იქ მყოფი სამშვიდობო ძალები". მას ორივე მხარის განიარაღება და საერთაშორისო საპოლიციო დანაყოფების დისლოცირება სურს, რომლებიც გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის მანდატით იმოქმედებენ. რუსეთის "სამშვიდობო ძალებმა" თვითონვე, საკუთარი ნებით და არა ჩვენი ძალისხმევით, გაიუქმეს მანდატი. მოლაპარაკებების ფორმატი ორიენტირებული უნდა გახდეს ქართველთა და აფხაზთა, ისევე როგორც ქართველთა და ოსთა პირდაპირ დიალოგზე, რასაც თან ეკონომიკური რეაბილიტაციაც უნდა დაერთოს. "რატომ უნდა იმყოფებოდნენ ჩვენი მოქალაქეები ასეთ სავალალო ეკონომიკურ პირობებში?" - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

9. ამდენად, საქართველომ უკვე ხმამაღლა განაცხადა, რომ იგი აპირებს უცხო სამხედრო ძალის საკუთარი ტერიტორიიდან გაყვანის სუვერენული უფლების გამოყენებას. "ჩვენ არ ვასაიდუმლოებთ სუვერენული უფლების გამოყენებისა და წმინდა მოვალეობის შესრულების შესახებ ჩვენს ზრახვებს," - თქვა საქართველოს პრეზიდენტმა. მან ღიად ისაუბრა საქართველოს ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების გეგმებზე, რომლებიც ოქტომბერში მომზადდება. ეს იქნება კონფლიქტურ ზონებში ეთნ-ლეგიური განმარტებაში რუსეთის "სამშვიდობო" როლის შეფასება, რითიც საბოლოოდ მოითხოვენ ამ ოპერაციების დამთავრებას.

10. სამშვიდობო რეზოლუციაზე პასუხისმგებლობა მარტო საქართველოს არ ეკისრება, არამედ მას ასევე საერთაშორისო თანამეგობრობა იზიარებს. "დიახ, არავინ თქვას, რომ საქართველო არ ამბობდა ნათლად, თუ როგორ აპირებდა იგი საკუთარი დემოკრატიისა და სახელმწიფოს დაცვას. დიახ, არავინ არასოდეს თქვას, რომ ჩვენ არ ვეძებდით მშვიდობიან ხერხებს... ყველა ერს, ვინც ამ ფასეულობებს იზიარებს, მისთვის თავის შენარჩუნება შეუძლია." ამ წინადადების მსგავსი კი შემდეგია, რომ საქართველოს, როგორც ერთ სახელმწიფოს, ახლოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლება და საერთაშორისო თანამეგობრობისგან მხარდაჭერას ელის.

ზოგიერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომლებიც წლების მანძილზე რუსეთის აგრესიის გვერდით თავს კომფორტულად გრძნობდნენ, უკვე დაიწყო საქართველოს დარწმუნება, უარი თქვას სახელმწიფო ინტერესის განხორციელებაზე. სააკაშვილის მიმართვამ კი გაეროში, საქართველოს მთავრობის ერთიანმა პოზიციამ და პარლამენტარების დამოკიდებულებამ ნათელი გახადა, რომ ასეთი "კეთილისმყოფელების" მოქმედება მხოლოდ რუსეთის მიერ შექმნილი სტატუს-კვოს შენარჩუნების მცდელობაა.

## პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

მახსოვს, 1980 წელს სადიპლომო პრაქტიკაზე ჩავედი მოსკოვის მახლობლად მდებარე დაბა პროტვინოში, სადაც განლაგებული იყო პროტონების ამაჩქარებელი, საბჭოთა კავშირში ყველაზე მძლავრი. სავახშმოდ სასტუმროს ბუფეტში შევედი და მეზობელ მაგიდაზე ორი უცნობი ქართველი შევნიშნე. სერიოზულად მსჯელობდნენ შემდეგ საკითხზე: შატილში ცოტა ხნის წინათ დამონტაჟებული რეაქტორი გახდებოდა თუ არა იმის საფუძველი, რომ ხევსურებს საკუთარი ბირთვული იარაღის წარმოება დაეწყოთ. არა, მე არ მიცნობდნენ და ლაპარაკიც აშკარად ჩემს მოსვლამდე დიდი ხნით ადრე დაეწყოთ, არც სხვა ვინმე შეინიშნებოდა ციცქნა ბუფეტში ქართული ენის მცოდნე. ასე რომ, არ ჰგავდა, რომ ვილაცის გასამასხარავებლად წამოეწყოთ ეს გაცხარებული კამათი.

მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ქართველი ფიზიკოსების მიერ შემუშავებული საიდუმლო ენა იყო: ხევსური ებრაელს ნიშნავდა, შატილი კი, შესაბამისად, ისრაელი იყო. აბა, ჩვეულებრივ რომ წარმოეთქვათ ეს სიტყვები, ხომ ყველა მიხვდებოდა მათ მნიშვნელობას - პროტვინოში ბრიყვები როდი მუშაობდნენ. მერე და რა? - რა თქმა უნდა, საქმე ყბადაღებულ "კაგებეს" აგენტებს არ ეხება. ჩემი და უფროსი თაობის ხალხს ალბათ არა, სხვებს კი აუცილებლად ესაჭიროება განმარტება...

გიცდიათ მოსკოვის რომელიმე ინტელიგენტურ ტუსოვკაზე ხმამაღლა და ყველასათვის გასაგონად წარმოგეთქვათ სიტყვა "ებრაელი"? გასაოცარი ეფექტი მოჰყვება ამ მაგიურ სიტყვას: რაც არ უნდა ხმაურიანი და მხიარული საღამო იყოს, მაშინვე ჩამოვარდება უხერხული სიჩუმე. სწორედ ეს სიჩუმეა ტრაგიზმის ნიშანი.

მრავალჯერ მითქვამს, რომ ქსენოფობია ქართველებისთვისაც არაა უცხო ხილი. რამდენჯერ გაგვიგონია რესპექტაბელურობით მოსარგებლე ქართველებისგან აგდებულად ან, უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელი ტონით წარმოთქმული სიტყვა "სომეხი". მაგრამ არ არსებობს სიტყვა, რომელიც უხერხულ სიჩუმეს გამოიწვევდეს. როყიო ლაპარაკი მარტივი შეუგნებლობის მაჩვენებელია, უხერხული სიჩუმე კი შეგნებული ბოროტებისა...

იქნებ ვინმემ იფიქროს, თითქოს მეც იმ საერთო გუნდს ვუერთდები, რომელსაც ზოგიერთი მეტისმეტად მხდალი ჩვენი თანამემამულე რუსოფობიულ ისტერიას უწოდებს. სულაც არა. ჩემი სათქმელი სხვაა. მე არ მადარდებს **სერგეი ივანოვის** მწარე სიტყვები, არც **მიხეილ ლეონტიევის** მუშტების ბრაგუნი, არც მთელი იქაური "დუმის" მუქარა (კაცმა რომ თქვას, თვითონ სიტყვა გვიჩვენებს, რითიც ფიქრობენ). მე სულ სხვა რამ მადარდებს. ეს ჩემი დარდი ერთბაშად ძნელი გამოსათქმელია, რადგან მისი მიზეზი არც გადაკეტილი გაზივით ცხადია და არც **ვლადიმირ ჟირინოვსკის** სიფათივით ცალსახა. როცა გამოთქმა გიჭირს, ყველაზე ნაღდია, მაგალითს მიმართო. ჰოდა, აი, ჩემი მაგალითიც:

20 სექტემბერს რუსეთის საინფორმაციო სააგენტომ "რეგნუმმა" გამოაქვეყნა ქართველი რეჟისორის, **რობერტ სტურუას** ინტერვიუ ერთობ ნიშანდობლივი სათაურით: **რუსეთის მთავრობა უფრო ეხმარება რუსთაველის თეატრს, ვიდრე საქართველოს მთავრობა**. რას მიაწერს პატივცემული რეჟისორი საკუთარი მთავრობის გულგრილობას? - თურმე მას დაუდგამს სპექტაკლი საქართველოს თანამედროვე ცხოვრების თემაზე, საქართველოს პრეზიდენტს კი სწყენია. ამის გამო, რუსთაველის თეატრის დირექტორი, თურმე გაჭალარავებულა კიდეც. მართალია აქ ბ-ნმა სტურუამ, ასე ვთქვათ, "გაილადავა", მაგრამ ძირითადი პათოსი გასაგებია: მის გენიას საქართველოში არ აფასებენ, აი, კალინინგრადში კი შეიძლება ალსარება თქვას და გული მოიფხანოს.

თითქოს კერძო მაგალითია, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას ამჟღავნებს. ეს ტენდენცია სულაც არ ამოიწურება ყოფილი საბჭოთა ინტელიგენტების შინაგანი მდგომარეობით. წეროს, ბატონებო, **ბუბა კიკაბიძემ** მემუარები - ვისაც არ უნდა, არ წაიკითხავს. ტენდენცია, მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგი სიტყვებით გამოიხატება: **დაძაბულობა რუსულ-ქართულ ურთიერთობებში**.

თავისთავად, ეს მართალია: რუსულ-ქართული ურთიერთობები მართლაც დაძაბულია. მთავარი აქ ტონია, რომლითაც გვაწვდიან ინფორმაციას, მთავარი თვით ინფორმაციის შერჩევის და მასზე პასუხის პრინციპია. ვუყურებთ რუსულ ტელევიზიაში გამართულ დებატებს, თვალს ვადევნებთ აქედან ფაციფუცით ევაკუირებულ დიპლომატებსა და მათ ახლობლებს და მოწინააღმდეგის რიგებში ეს საერთო დაბნეულობა და უწესრიგობა რატომლაც შემაშფოთებელი უნდა გვეჩვენოს. არ ვიცი, რას ფიქრობს სხვა, მე კი მამაჩემის ერთი დარიგება მახსენდება, ასე, ორმოცი წლის წინათ მიღებული: "ძაღლი, რომელიც ყეფს, არ იკბინება."

გასაგები რომ გახდეს, რასაც ვგულისხმობ, ვიტყვი შემდეგს: სანამ სასიამოვნო ჟრუანტელს ვგრძნობ იმის გამო, რომ ვინმე ქართველი ჩინოვნიკი პირდაპირ ეთერში კუდით ქვას ასროლინებს რომელიმე რუს დეპუტატს, მანამ ვერ ვიქნები თავისუფალი მონობისაგან. მართალი გითხრათ, "გრუ"-ს ოფიცრების დაპატიმრებაზე უფრო მეტად ის გამიხარდა, რომ "იმედის" ეთერში ალექსანდრე მიტროფანოვთან საკამათოდ მხოლოდ **კობა დავითაშვილი**, **ავთანდილ იოსელიანი** და მეორე თუ მესამე რიგის სხვა კიდევ უფრო უმნიშვნელო პიროვნებები დასხდნენ და მედგრად შეუტიეს თავიანთი "პაზორნი" რუსულით. აღარაა საინტერესო - რატომ უნდა იყოს ჩვენთვის მნიშვნელოვანი, აღიარებს თუ არა რომელიმე გრიზლოვი თუ ზატულინი, რომ მართლები ვართ?

ერთი შეხედვით შეკითხვაზე პასუხი ყველასათვის გასაგებია: არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც არის. რატომ? - იმიტომ რომ ჯერ არ მივჩვეულვართ ახალ ვითარებას, ვითარებამ გაგვასწრო. თუნდაც ის რად ღირს, რომ თბილისში რიგები არ არსებობს. რიგები-მეთქი, აი, ხალხი რომ ერთმანეთის უკან ადგილს დაიკავებდა სასურსათო მაღაზიებში, ეგრეთ წოდებულ "გასტრონომებში" და ელოდა გამყიდველთან შეხვედრის სანეტარო წამს. ამ დროს ახალმოსულები თავაზიანად კითხულობდნენ, ბოლო ვინ არისო და იყო ერთი სიამტკბილობა. მაგრამ არ არის რიგები, ჩვენ კი ამ გარემოების შეგნება ვერ მოვახერხეთ, სათანადო დასკვნები ვერ გამოვიტანეთ. უფრო მეტიც, ამ უმეცრებას მეცნიერული საფუძველიც მოვუძებნეთ:

1) პოლიტიკური: რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მეზობლებს არ ირჩევენ, ამიტომ მაინც ერთად მოგვიწევს ცხოვრება და ა. შ. საინტერესოა, რატომ ჰქვია ამგვარ ბედს შერიგებულ ბოდვას, ამ კაპიტულანტურ განწყობას პოლიტიკური არგუმენტი? უახლოესი წარსული მხოლოდ ერთ გამოცდილებას გვკარნახობს: როგორც ეტყობა, საკმარისი გაჭირვება არ გვქონია, რომ გაქცევა გვესწავლა. ჰოდა, დიდი მადლობა იმათ, ვინც ბომბდამშენებით გვემუქრება - ბოლოს და ბოლოს, იმ სარეკლამო პრინცისა არ იყოს, ჩვენც მივეჩვევით ტუალეტში მარტო სიარულს. უკვე დროა.

2) ისტორიული: ჩვენ თურმე ევრაზიული კულტურის ნაწილი ვყოფილვართ. ჰოდა, იხსნება რალაც ფაკულტეტები, იწერება სამეცნიერო პროექტები, ტარდება კონფერენციები, არსდება ფონდები - ყველაფრის დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სინამდვილეში კი მთელი ეს "ევრაზიობანა" პრაღაში მოიგონეს რუსმა ფრუსტრირებულმა ემიგრანტებმა. ჰოდა, გაჰკივიან მას შემდეგ, რომ ევრაზია ერთი დიდი კულტურული კოსმოსიაო. სინამდვილეში კი, გინდ **ევგენი ტრუბეცკოი** ავიღოთ, გინდ **ლევ გუმილიოვი** და გინდაც მათი იდეოლოგიური მემკვიდრე **ალექსანდრე დუგინი**, ყველას ერთი საინტერესო თვისება ახასიათებთ: თუმც კი ამტკიცებენ, რომ "აღმოსავლური სიბრძნე" წარმატებით უპირისპირდება "დასავლეთის ზედაპირულობას", მათ ციტირებებში ვერასოდეს ვიპოვით ჩინელებს ან ინდოელებს - მხოლოდ რუს ავტორებს ეყრდნობიან. ტრუბეცკოი მნიშვნელოვანი ენათმეცნიერი იყო, გუმილიოვი - გვარიანი ისტორიკოსი, მაგრამ როგორც კი "ერის სულიერ მისიაზე" ფიქრები შეიპყრობდათ, მაშინვე ბოდვაში გადადიოდა მათი ღრმა ინტელექტუალობა.

თუ მაინცდამაინც "ევრაზიობანას" თამაში გვინდა, რატომ სამხრეთ კორეას ან ჩინეთს არ მივბაძავთ? საზოგადოებრივი და პოლიტიკური წარმატებისათვის თავისუფლად შეგვიძლია გამოვრიცხოთ რუსეთი ამ თამაშიდან.

3) რელიგიური: რუსეთი ერთმორწმუნეა, მართლმადიდებლობის ბურჯია და ა. შ. ჰოდა, საქართველოს ტელევიზიაც წელიწადში მრავალჯერ ავრცელებს ერთსა და იმავე სიცრუეს, რომელიც ერთი და იმავე ფრაზით იწყება: "დღეს მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს..." სინამდვილეში კი მართლმადიდებლურმა სამყარომ კარგა ცამეტი დღის წინათ აღნიშნა ესა თუ ის დღესასწაული. რატომაა სარწმუნოების ბურჯი მაინცდამაინც რუსეთი? - ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თავისი დაუოკებელი ექსპანსიური შიმშილის ყურმოჭრილ მსახურად აქცია თავისივე ეკლესია და მთელი სულიერი ცხოვრება ამ ექსპანსიას დაუმორჩილა? ეჰ, ამ ქვის გადაგორებაც ადვილია - საკმარისია ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიგრძნონ ერთი მარტივი რამ: მათი ოჯახის წევრები თავსაფრისა და ხელში სანთლის გარეშეც მომხიბლავად გამოიყურებიან. სულაც არაა საჭირო საყოველთაო ფარისევლობის დამკვიდრება იმისათვის, რომ თავი ძლიერად და დამოუკიდებლად იგრძნო. პირიქით - რაც ნაკლებია ფარისევლობა, მით მეტია სიძლიერე.

იქნებ კიდევ შეიძლება ტიპოლოგიის გამდიდრება. ჯერ მარტო რუსის ქალების ხიბლი რად ღირს! — მადლობა ღმერთს, აღარ აწუხებს ჩვენს ახალგაზრდობას, რადგან საკმარისი საბაბი აქვთ, სახლიდან გასვლისას ჯიბეში პრეზერვატივის ჩასადებად. ვისაც არ მოსწონს, თვალები დახუჭოს. დიახ, მრავალი არგუმენტის მოძიება შეიძლება, მაგრამ დღეს ეს სამი ვიკმაროთ, რადგან მთავარი აზრი ერთია: **არ არსებობს რუსეთიდან მომავალი სულიერი და კულტურული ღირებულება, რომლის ჩამოშორება დასანანი იყოს**. არა, ბატონებო, ნუ შეცბუნდებით — წმინდა სახელებთან ხელი არა მაქვს. უბრალოდ, არსებობს კულტურის შინაარსი და არსებობს მისი მოწოდების გზები, ხერხები და ინსტრუმენტები. სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა ვთქვათ უარი, რადგან თუ კვლავ რუსული კულტურა იქნა ჩვენი თვალსაწიერის უმთავრესი ჰორიზონტი, განვითარების გზის მწვერვალზე მხოლოდ ის ერთადერთი პერსპექტივა გველოდება, რომ ჩვენს მხიარულ "კამპანიაშიც" უხერხული დუმილი ჩამოვარდება სიტყვა "სომეხის" ხსენებაზე. ნუთუ ამაზე მეტი არ დავიმსახურეთ? — ძნელია აღიარება.

# უცხოელი ინვესტორის, ჰუსეინ ალის ღია წერილი

# მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს!

**თქვენო აღმატებულებავ,**

2006 წლის 23 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ მიიღო დადგენილება ჩემი საწარმოს "საქართველოს თამბაქოს წარმოების" თაღლითური გზით მისაკუთრების გამოძიების განახლების შესახებ. მე არაერთგზის განმიცხადებია და საერთაშორისო ექსპერტიზაც მოწმობს იმას, რომ ეს ყველაფერი მოხდა ჩემი ხელმოწერის გაყალბების შედეგად. ხსენებული სასამართლო დადგენილების შემდეგ არაფერი მომხდარა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო დონეზე ძებნილი კრიმინალი მთავრობამ "მესაკუთრედ" აღიარა. ბატონო პრეზიდენტო, სად არის თქვენი დაპირება საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართველი ხალხის მიმართ, რომ ქვეყანას კანონის უზენაესობის დაცვით მართავდით? ჩვენ ეს-ესაა შევიტყვეთ, რომ ორ "მეისრეს" მართლმსაჯულების წინაშე პასუხი აგებინეს. 2006 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ჩვენს საქმესთან დაკავშირებით საგანგებო პრეს-კონფერენცია ჩაატარა და გაოცება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ:

"საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ არ იქნა დადგენილი, თუ ვისთან ერთად და ვისი შეკვეთით მოქმედებდა თამაზ მელქაძე. უცნაურია, თუ რატომ არ დაინტერესდნენ თ. მელქაძის დამატებითი დაკითხვისას გაკეთებული განცხადებით, რომ **"მას არ სურს დაასახელოს ის პირები, რომლებთან ერთადაც ჩადიოდა დანაშაულს"**. საგულისხმოა, თუ რატომ არ დაინტერესდა გამოძიება, თუ რომელ პიროვნებებთან ერთად ჩადიოდა აღნიშნულ დანაშაულს თ. მელქაძე."

საქართველოს სახალხო დამცველს მხედველობიდან არც ის ფაქტი გამორჩენია, რომ გამოძიებამ ყურადღება არ მიაქცია თ. მელქაძის აღიარებას სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. კერძოდ:

"საპროცესო შეთანხმება ბრალდებულებთან დადეს ისე, რომ არავითარი ყურადღება არ მიექცა თამაზ მელქაძის აღიარებას, რომ იგი წლების განმავლობაში იყენებდა ყალბ მინდობილობას სხვადასხვა სასამართლო ორგანოებში. ყალბი დოკუმენტის გამოყენების ყოველი ცალკეული შემთხვევა ცალკე დანაშაულს წარმოადგენს. თუმცა, არც ამით დაინტერესებულან საგამოძიებო ორგანოები."

საქართველოს სახალხო დამცველი არარეალურად მიიჩნევს საპროცესო შეთანხმების 4 საათზე ნაკლებ დროში დასრულებას. იგი გაოცებას ვერ მალავს იმ ფაქტით, რომ ასეთ მცირე დროში პროკურორმა და მოსამართლემ შემდეგი 17 მოქმედების განხორციელება მოასწრეს:

1) დაკითხვის ოქმების გამომძიებლისათვის გამორთმევა;
2) დაკითხვის ოქმების გაცნობა;
3) საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4) ზემდგომ პროკურორთან შეთანხმება;
5) საპროცესო შეთანხმებების ოქმების შედგენა;
6) ოქმების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
7) შემდეგ ზემდგომი პროკურორისათვის გაცნობა და ხელის მოწერა;
8) სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ დადგენილების მიღება;
9) სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე 2 შუამდგომლობის შედგენა;
10) სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობების ბრალდებულებისა და მათი ადვოკატებისათვის წარდგენა და ხელის მოწერა;
11) შუამდგომლობების სასამართლოში მიტანა და ჩაბარება;
12) პროკურორის შუამდგომლობებისა და საქმის სხვა მასალების გაცნობა;
13) თანაშემწისათვის დავალების მიცემა, მათ შორის განსასჯელების სასამართლოში წარმოსადგენად შეტყობინებების გაგზავნასთან დაკავშირებით; ბრალდებულების, მათი ადვოკატებისა და პროკურორის მოყვანა სასამართლოში; სასამართლო სხდომის გახსნა და ჩატარება;
14) ბრალდებულების ვინაობის დადგენა;
15) პროკურორის შუამდგომლობებისა და ბრალდებულების განმარტებების მოსმენა; საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან დაკავშირებით სხვა საპროცესო გარემოებების გამოკვლევა;
16) სათათბირო ოთახში გასვლა და გადაწყვეტილების მიღება;
17) განაჩენის გამოქვეყნება.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომა, რომელზედაც დამტკიცდა თ. მელქაძესა და ქ. ჩხიკვაძესთან დადებული საპროცესო შეთანხმებები და, რომელიც განაჩენისა და საოქმო ჩანაწერების თანახმად 2006 წლის 13 აპრილს გაიმართა, აღნიშნულ დღეს ვერ გაიმართებოდა იმ მიზეზის გამო, რომ პროკურორის შუამდგომლობას სასამართლოს თავმჯდომარემ რეზოლუცია ერთი დღის შემდეგ, 2006 წლის 14 აპრილს დაადო:

"ფინანსთა სამინისტროს ქ. თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის მ. ჩიკვაიძის მიმართვაზე, რომელიც შუამდგომლობებთან ერთად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში შეიტანა, მარცხენა კუთხეში ხელით არის მიწერილი: "ბ-ნ ლ. მურუსიძეს, გთხოვთ განიხილოთ," ხელმოწერა და თარიღი: "14.04.06." რეზოლუცია იმდენად გაკრული ხელით არის შევსებული, რომ შეუძლებელია მისი ავტორის ვინაობის დადგენა. მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ხელმოწერა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გიორგი შავლიაშვილს ეკუთვნის, რადგან პროკურატურის მიმართვა მისი მისამართით იყო გაგზავნილი. თუკი რეზოლუცია 2006 წლის 14 აპრილითაა დათარიღებული, მაშინ ბუნებრივია სასამართლო სხდომა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო და არა 2006 წლის 13 აპრილს."

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა:

"საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხსენებული ფაქტით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ურთიერთობას, ვინაიდან უცხოელ ინვესტორებთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. სამართალდამცავ ორგანოთა მიერ განხორციელებული უკანონობის, მართლმსაჯულების არამართებულად განხორციელებისა და გამოძიების გაჭიანურების შედეგად, არსებითად შეილახა კანადის მოქალაქის ჰუსეინ ალის, როგორც მესაკუთრის უფლება."

**მე ვეთანხმები სახალხო დამცველის განცხადებებს**, და ვფიქრობ, რომ უცხოელმა ბიზნესმენებმა, პოლიტიკოსებმა და ფართო საზოგადოებამ მეტი უნდა შეიტყოს ჩემი ფაბრიკის მიტაცებისა და საქართველოში "კანონის უზენაესობის" შესახებ. ჩემთვის უთქვამთ, რომ ზოგიერთი "მსხვილი ფიგურა", შეიძლება, ქალაქის მმართველობასა და მთავრობის მაღალ ეშელონებში იყოს მოკალათებული. მე მივესალმები თქვენს საჯარო თუ კერძო კომენტარს. **შესაძლოა, ინტენსიური დიალოგიც გახდეს საჭირო.**

**პატივისცემით,**
**ჰუსეინ ალი**

მოკლედ

## ადვოკატი განსასჯელის ოჯახს ატყუებდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება დამთავრდა ადვოკატთა ასოციაციის წევრის მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტზე და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა. როგორც გენპროკურატურის პრესსამსახური აცხადებს, გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი ვიტალი მელაძე ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა, განსასჯელ ავთანდილ ბერსენაძის ოჯახს, პროკურატურისა და სასამართლოს სახელით, სძალავდა 4 ათას დოლარს. მელაძე განსასჯელის ოჯახს არწმუნებდა, რომ აღნიშნული თანხის სანაცვლოდ, მას შეეძლო პროკურორთან საქმე ისე მოეგვარებინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსასჯელისთვის, 16 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 8 წლით პატიმრობა მიესაჯა. ადვოკატისავე მოსაზრებით, ის ცოტა ხანში განაჩენს გაასაჩივრებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და თუ განსასჯელის მხარე იქაც გადაიხდიდა 3 ათას აშშ დოლარს, მაშინ განსასჯელ ავთანდილ ბერსენაძეს საერთოდ გაათავისუფლებდა პატიმრობიდან.

არადა, როგორც გაირკვა, ავთანდილ ბერსენაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 143-ე მუხლით იყო აღძრული - პიროვნებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის, რაც, მაქსიმუმ, 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც პროკურორი და არც მოსამართლე არ იყვნენ უფლებამოსილები მოეთხოვათ და, შესაბამისად, ბერსენაძისთვის მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით.

როგორც გაირკვა, ადვოკატი ცდილობდა, განსასჯელის ოჯახის სამართლებრივ საკითხებში გაურკვევლობით ესარგებლა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი საწინააღმდეგოდ დატრიალდა. სამართალდამცველებმა ვიტალი მელაძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობასთან იმ დროს დააკავეს, როცა განსასჯელის მეუღლე მას ექსპერტ-ქიმიკოსის მიერ ქიმიურად დამუშავებულ 700 აშშ დოლარს გადასცემდა. ნინო სალუქვაძე წინასწარ იყო აღჭურვილი ფარული ვიდეოკამერითაც. გენპროკურატურის ინფორმაციით, გადაღებული ვიდეომასალა დაკანონებულია სასამართლოს მიერ და მტკიცებულების სახით საქმეში დევს.

აღნიშნული დანაშაულისთვის ადვოკატ მელაძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით (თაღლითობა), რის გამოც, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, აღკვეთის ღონისძიების სახით, მას ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ამჟამად საქმე განსახილველად გადაგზავნილია ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

*24 საათი*

## ქართველი მეციხოვნეები შვედეთის გამოცდილებას ეზიარებიან

იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი - კობა ღლონტი, ასევე, სასწავლო ცენტრის ტრენერები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები შვედეთში ერთკვირიანი ვიზიტით გაემგზავრნენ. ვიზიტი "შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" მხარდაჭერით, "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დახმარების" პროექტის ფარგლებში განხორციელდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაციის წევრები შვედეთში შეხვედრებს გამართავენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის თანამშრომელთა სასწავლო ცენტრების ხელმძღვანელებთან. დელეგაციის წევრები დაათვალიერებენ სასწავლო ცენტრს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის ოფისებს. ვიზიტის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში შვედეთის გამოცდილების გაზიარებასთან ერთად მომავალი თანამშრომლობის გეგმაც დაისახება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თავდასხმა სოფელ კახათში

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში კაკულიების ოჯახს თავს დაესხნენ. ინციდენტის დროს სახლში მხოლოდ დიასახლისი ზაირა ღადუა იმყოფებოდა. სამმა ნიღბიანმა თავდამსხმელმა მისგან ფული და ძვირფასეულობა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც დიასახლისმა ბოროტმოქმედებს უთხრა, რომ ძვირფასეულობა არ გააჩნია, მას სასტიკად სცემეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ჭიშკართან დააგდეს. გამთენიისას დაზარალებული მეზობლებმა იპოვნეს. მისი თქმით, დამნაშავეები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. თავდამსხმელებმა ზაირა ღადუას სახლში, დაახლოებით, ნახევარი საათი დაჰყვეს, რის შემდეგაც მიიმალნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*ინტერპრესნიუსი*

## სამშენებლო ფირმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. შპს სამშენებლო ფირმა "ესმა" ქალაქ ბათუმში საცხოვრებელ კორპუსს აშენებს.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ფირმას სამშენებლო საქმიანობისთვის საჭირო ნებართვა არ გააჩნია; შესაბამისად, მშენებლობა არსად არ არის დაფიქსირებული. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფირმის დოკუმენტაციას კომპლექსური რევიზია უტარდება. გარდა ამისა, ფინანსური პოლიცია ფირმის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხსაც იკვლევს.

ფინანსურ პოილციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით დაიწყო - უკანონო სამეწარმეო საქმიანობა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# შინაგან საქმეთა მინისტრის დასავლური ვოიაჟი

გუშინ ქუთაისში ჩასულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და მთავრობის სხვა წევრებმა იმერეთის სამხარეო და საპატრულო პოლიციის ახლად გარემონტებული შენობა გახსნეს. როგორც შს სამინისტროს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტებული სამხარეო და საპატრულო პოლიციის შენობა ბიუჯეტის სახსრებით გარემონტდა და თანამედროვე აღჭურვილობით... თანამედროვე ავეჯითა და ტექნიკით აღიჭურვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ ზუგდიდში ჩასვლასაც გეგმავდა. მერაბიშვილს შამგონაში დაჭრილი პოლიციელების მონახულება სურდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, შს მინისტრმა სამეგრელოში ვიზიტი გადადო.

ორი დღის წინ ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში დაჭრილი სამი პოლიციელის - ჭურღულია, გაბედავა და ხმელიძე - მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. თუმცა, ერთ-ერთი მათგანის - გაბედავას მდგომარეობა შედარებით რთულია და მისი ოჯახის წევრები დაჭრილის თბილისში გადაყვანას ვერტმფრენით ითხოვენ. ექიმების განცხადებით კი,



შს მინისტრმა პოლიციის მორიგი შენობა გახსნა.

ავადმყოფი ამჟამად ზუგდიდში რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება და იგი ტრანსპორტირებას ჯერჯერობით არ ექვემდებარება. როგორც ცნობილია, ჭურღულია, გაბედავა და ხმელიძე სოფელ შამგონაში შემოვლაზე იყვნენ, როდესაც მათ ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლის დროს სამივე პოლიციელი დაიჭრა. ერთ-ერთი თავდამსხმელი კი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. დამნაშავის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. გამოძიება ცდილობს, დაადგინოს მისი გვარი და სახელი.

როგორც შამგონას მოსახლეობა აცხადებს, დამნაშავე შამგონაში, გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიიდან გადმოვიდა და იგი შეიარაღებული იყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. მან პოლიციელების გამოჩენისთანავე გახსნა ცეცხლი, რასაც საპასუხო სროლები მოჰყვა და, საბოლოოდ, ინციდენტი მისი ლიკვიდაციით დასრულდა.

ვანო მერაბიშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინწინ დიდ დიღომში, პოლიციის კიდევ ერთი ახალი შენობა - ვაკე-საბურთალოს შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-4 განყოფილება გახსნეს.

როგორც მერაბიშვილმა საზეიმო ცერემონიაზე განაცხადა, დღეიდან, დიდ დიღომს უმაღლესი სტანდარტების პოლიციის განყოფილება ექნება. "იმედი მაქვს, მოსახლეობა პოლიციის განყოფილებაში კვალიფიციურ დახმარებას არაერთხელ მიიღებს", - განაცხადა შს მინისტრმა.

*24 საათი*

# ომბუდსმენის მორიგი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში

*ბოლო დროს საკონსტიტუციო სასამართლოში სახალხო დამცველის აპარატის რამდენიმე სარჩელი შევიდა. თუკი ცოტა ხნის წინ ომბუდსმენი სოზარ სუბარი საკონსტიტუციო სარჩელით "მეწარმეთა შესახებ" კანონის 533-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა, ამჯერად, ის საქართველოს საგადასახადო კოდექსის რამდენიმე მუხლის გაუქმებას ითხოვს.*

ომბუდსმენის აპარატის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზეზი ქუთაისში მომხდარი ფაქტი გახდა. სახალხო დამცველი სადავო მუხლებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც 2005 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულმა სამმართველომ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისგან სს "სილკიმპექს-ჯორჯია"-ს საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა, რაზეც 2005 წლის 27 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციამ უპასუხა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის და ფინანსთა მინისტრის N301 ბრძანებით დამტკიცებული "ინსტრუქციის" შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოებას წარმოადგენდა და ინსპექციას მისი გაცემის უფლება არ ჰქონდა.

სახალხო დამცველმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1 ნაწილის "ნ" პუნქტი, 101-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 122-ე მუხლი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 4 მაისის N301 ბრძანებით დამტკიცებული "საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შენახვის რეჟიმის და დაშვების წესის შესახებ" ინსტრუქცია, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლს და ზღუდავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

სოზარ სუბარის აზრით, გადასახადების გადახდა კომერციული საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ საგადასახადო კოდექსში საგადასახადო საიდუმლოების ცალკე გამოყოფა უსაფუძვლოდ ზრდის კონსტიტუციის 41-ე მუხლში აღნიშნულ საიდუმლო ტიპის ინფორმაციის სახეებს. სუბარისვე განცხადებით, საგადასახადო საიდუმლოების დაცვა უცხოა კონსტიტუციის 41-ე მუხლისთვის და, აქედან გამომდინარე, მასზე შეზღუდვაც ვერ განხორციელდება, იმ მიზეზით, რომ საგადასახადო საიდუმლოების მუხლი არაკონსტიტუციურია.

ომბუდსმენი განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ინფორმაციის მიღების თავისუფლების გარანტიებს იძლევა: საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას. სუბარის განცხადებით, კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ ნაწილში იკვეთება, რომ გასაიდუმლოებას სამი ტიპის ინფორმაცია ექვემდებარება: სახელმწიფო, პროფესიული და კომერციული საიდუმლო. მე-2 ნაწილის შესაბამისად, ცალკე არის გამოყოფილი პირადი საიდუმლო და ასეთი ინფორმაციის დაცვის ვალდებულებები. კონსტიტუციაში საუბარი არ არის საგადასახადო საიდუმლოებაზე.

საგადასახადო საიდუმლოება არც პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს, რადგან პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

**"სადავო ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაცია საიდუმლო არ არის და არ შეესაბამება კონსტიტუციაში მოხსენიებული არც ერთი საიდუმლო ინფორმაციის სახეს - ანუ საგადასახადო საიდუმლო არ შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო, კომერციულ, პირად ან პროფესიულ საიდუმლოს",** - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატში.

*24 საათი*

# ფულის კეთება უმწეო ადამიანების ხარჯზე

*როგორც აღმოჩნდა, მარნეულის რაიონში, სახელმწიფო მოხელეთა მიერ, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ხარჯზე ფულის კეთება ტრადიცია იყო. პირები, რომლებმაც სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს, პროკურატურის გამოძიების ობიექტი გახდნენ.*

მარნეულის რაიონის პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. გენპროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლების ერთობლივი განცხადება-საჩივარი, რომლითაც მათ პროკურატურას მიმართეს. როგორც განცხადება-საჩივარში იყო ნათქვამი, საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ვახტანგ გოგინავა სამკურნალო დაწესებულებისთვის გამოყოფილ თანხებს არამიზნობრივად, საკუთარი ნება-სურვილით ხარჯავდა და ავადმყოფთა ინტერესებს არ ითვალისწინებდა. ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლები სამართალდამცველებს იმასაც უმტკიცებდნენ, რომ გოგინავა ავადმყოფებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით ამუშავებდა.

მარნეულის პროკურატურამ, განცხადებაში მოყვანილი ფაქტების გადამოწმების მიზნით, საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და მარნეულის რაიონული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან სხვადასხვა დოკუმენტაცია ამოიღო; პარალელურად, მოწმის სახით დაიკითხნენ საავადმყოფოს თანამშრომლები. გენპროკურატურის ინფორმაციით, ამჟამად გამოძიების პროცესშია ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ამოღებულ დოკუმენტებზე დანიშნული საფინანსო-საბუღალტრო რევიზიის დასკვნა, რომლის მიღების შემდეგაც კონკრეტულ პირთა ბრალეულობის საკითხი დადგება.

წალკის რაიონის სოფელ კაბურის გამგებლის ანდრანიკ ნერსესიანის ბრალეულობაში კი მარნეულის რაიონის პროკურატურას ეჭვი აღარ ეპარება; მეტიც, მას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით წარედგინა და საქმე სასამართლოშიც გადაიგზავნა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ანდრანიკ კაისერის ძე ნერსესიანი 1999 წლიდან მუშაობდა წალკის რაიონის სოფელ კაბურის გამგებლად. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ამოქმედებული იყო სახელმწიფო პროგრამა - "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის, უმწეო მდგომარეობაში მყოფთა სოციალური დახმარების, დახმარების გაცემის წესისა და პრინციპების შესახებ". აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა ყოველთვიურ დახმარებას.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამის თანახმად, სოციალური დახმარება უნდა გაცემულიყო იმ პირებზე, რომლებიც სარგებლობდნენ მარტოხელას სტატუსით.

თუმცა, გამგებელმა ანდრანიკ ნერსესიანმა კანონის მოთხოვნები არ გაითვალისწინა და დახმარების ცნობები გასცა სოფელ კაბურის ისეთ შეძლებულ მცხოვრებლებზე, რომლებიც დახმარებას არ საჭიროებდნენ (სულ 38 პიროვნებაზე). როგორც გამოძიებამ გაარკვია, ნერსესიანის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, წალკის სოციალური დახმარების განყოფილებაში შეიქმნა აღნიშნულ პირთა პირადი საქმეები. შესაბამისად, მათ მიეცათ უფლება, ყოველთვიურად დახმარების სახით მიეღოთ 35-35 ლარი.

საბოლოოდ, ნერსესიანის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ სახელმწიფო ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, სახელმწიფო ბიუჯეტმა კი 6 ათას 404 ლარით იზარალა.

სწორედ აღნიშნული დანაშაულისთვის წარდგა ნერსესიანი მართლმსაჯულების წინაშე.

*24 საათი*

უცხოეთი

# წლების შემდეგ დადგენილი სიმართლე

ამერიკის მართლმსაჯულებაში ხშირია შემთხვევები, როცა რამდენიმეწლიანი პატიმრობის შემდეგ, მძიმე დანაშაულში ბრალდებულს თავის უდანაშაულობა დაუდასტურებია, იგი გაუმართლებიათ და მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსგან სოლიდური კომპენსაციაც მიუღია.

ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ამერიკის მასმედიის წამყვანი თემა გახდა. 44 წლის ამერიკელი ალან ჰიუტონი ნიუ-იორკის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა. უდანაშაულობის დამტკიცებამდე ჰიუტონმა 22 წელი საპატიმროში გაატარა.

ალან ჰიუტონი 1984 წელს დააპატიმრეს და ბრალი დასდეს ახალგაზრდა ქალის გაუპატიურებასა და გაქურდვაში. 1985 წელს ამერიკის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და 40 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 1994 წელს ალან ჰიუტონმა სარჩელით მიმართა ამერიკის სააპელაციო სასამართლოს და მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად დნმ-ის ანალიზის ჩატარება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ ჰიუტონის სარჩელი მაშინ არ მიიღო. თუმცა, მსჯავრდებულის ხელახალი სარჩელი სასამართლომ გასულ წელს განიხილა. დნმ-ის ანალიზი ორ ლაბორატორიაში დამოუკიდებლად ჩატარდა და ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ალან ჰიუტონი გაუპატიურებაში არ მონაწილეობდა. 22 წლის შემდეგ ნიუ-იორკის სასამართლომ ალან ჰიუტონი უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა. ხანგრძლივი, უკანონო პატიმრობისთვის უდანაშაულო ჰიუტონი სახელმწიფოსგან მორალური ზარალის ასანაზღაურებლად სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტიკაში დნმ-ის ექსპერტიზის შემოღების შემდეგ, აშშ-ს 32 შტატში 181 მსჯავრდებული გამართლდა.

პირველი მსჯავრდებული, რომელმაც თავისი უდანაშაულობა დაადასტურა, უილტონ დედჯა იყო. ფლორიდის შტატის სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილ მსჯავრდებულს, უილტონ დედჯას ფინანსური კომპენსაციის სახით სახელმწიფომ ორი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

დედჯამ გისოსებს მიღმა 22 წელი გაატარა და ის ბრალდებული იყო არასრულწლოვანის გაუპატიურებაში. 1982 წელს დედჯას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. 1988 წელს მან მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადასტურებულიყო მისი უდანაშაულობა. მოგვიანებით, დნმ-ის ანალიზი ჩატარდა და დედჯას სიმართლე დადასტურდა. დედჯა გახლდათ პირველი მსჯავრდებული, რომელმაც გენეტიკური ექსპერტიზის მეთოდის გამოყენებით თავის უდანაშაულობა დაადასტურა და მსხვილი კომპენსაციაც მიიღო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო.

მართლმსაჯულების მიერ დაშვებული შეცდომის მსხვერპლი გახდა ჩინელი მამაკაცი, რომელმაც საპატიმროში 11 წელი გაატარა. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ცოლის მკვლელობაში. 1994 წელს შე სიანლინის ცოლი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რამდენიმე თვის შემდეგ შე სიანლინის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ქალის ცხედარი, სამართალდამცველებმა იგი სიანლინის დაკარგული ცოლის ცხედრად მიიჩნიეს, ქმარი დააკავეს და ცოლის მკვლელობაში დასდეს ბრალი. 1994 წელს სიანლინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ გასაჩივრების შემდეგ მას 15 წლით პატიმრობა მიესაჯა.

2005 წლის 25 მარტს სიანლინის ცოლი გამოჩნდა. როგორც აღმოჩნდა, მთელი ამ ხნის მანძილზე დაკარგული ქალი ჩინეთის სხვა პროვინციაში ცხოვრობდა. 11 წლის შემდეგ შე სიანლინის ახლობლებმა, რომლებიც მას მკვლელად თვლიდნენ, განაჩენი გაასაჩივრეს, მაგრამ მისი დაკმაყოფილება მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მოხდა. სასამართლომ მსჯავრდებული უდანაშაულოდ ცნო და 11-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. პროკურატურამ საქმის განმხილველი მოსამართლისა და გამომძიებლის დასჯა მოითხოვა.

გამართლებულმა შე სიანლინმა 11-წლიანი პატიმრობის შედეგად მიღებული ტრავმებისგან განსაკურნებლად კარგა ხანი საავადმყოფოში დაჰყო. მკურნალობის ხარჯები სახელმწიფომ გადაიხადა, გარდა ამისა, მას სახელმწიფომ სოლიდური კომპენსაციაც გადაუხადა - 30 ათასი დოლარი.

ცოტა ხნის წინათ მსგავსი პრეცედენტი მოხდა ნოვოსიბირსკშიც. სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ევგენი ლუკინის სარჩელი, რომელმაც სასამართლო შეცდომის გამო მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 5 წელი გაატარა. მკვლელობაში ბრალდებული ლუკინი, რომელსაც 10 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს კომპენსაციის სახით ერთი მილიონი მანეთის გადახდა დააკისრა.

*24 საათი*

# სამშვიდობო პროცესის სამი ელემენტი

## კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერთი და იგივე არ არის

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, რომ ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა, პრაქტიკულად ყველა მონაწილე, განსაკუთრებით კი რუსი პოლიტოლოგები, აშკარად მეტი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი აფხაზური მხარის პოზიციის მიმართ. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცდილობდით მათთვის ქართული ხედვა, ჩვენი არგუმენტები მიგვეწოდებინა. ვცდილობდით ვყოფილიყავით კონსტრუქციულები, მაგრამ ამავდროულად პრინციპულებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საკითხში.

**- რამდენად გაიზიარეს თქვენი არგუმენტები სხვა მონაწილეებმა?**

- არგუმენტები, ვფიქრობ, თუ არ გაიზიარეს, გაიგეს მაინც. ასე მაგალითად, აფხაზურ საზოგადოებაში და მის ელიტაში ისევე, როგორც რუსულ პოლიტოლოგიურ წრეებში, ჯერ კიდევ არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გარკვეულ სიტუაციაში, მათთვის ხელსაყრელ ვითარებათა დამთხვევის შემთხვევაში, საქართველომ შესაძლებელია აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამას ისინი მუდმივად მოითხოვენ და ამჟამინდელ კონფერენციის დასწრებისთანავე არაერთხელ გაიჟღერა მათ მოხსენებებში და კომენტარებში. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ ამის იმედი მათ არ უნდა ჰქონდეთ იმიტომ, რომ მთელი რიგი გეოპოლიტიკური, შიდაპოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო საქართველოში ვერც ერთი პოლიტიკური ძალა, რაც არ უნდა მაღალი ლეგიტიმურობის ხარისხი ჰქონდეს, ვერ გაბედავს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას, ვინაიდან ეს ქართული სახელმწიფოს თვითმკვლელობის ნიშნავს. დავრწმუნდით, რომ ეს ის საკითხია, რომლის ირგვლივ ქართულ საზოგადოებაში მაქსიმალური ხარისხის თანხმობაა. მე მგონი, დამსწრე საზოგადოებამ ეს კარგად გაიგო.

ამავე დროს, იქვე გაჩნდა ალტერნატიული აზრი, რომ თუკი საქართველო არ შეუძლია აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობას, ამის გაკეთება სხვებს შეეძლებათ. კერძოდ, რუსმა პოლიტოლოგებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ განხორციელებული "უაღრესად აგრესიული და არამეგობრული პოლიტიკის" ფონზე, რაც პირველ რიგში ნატო-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვაში გამოიხატება, რუსეთს შეუძლია განიხილოს ცალმხრივად აფხაზეთის ცნობის საკითხი, მით უმეტეს, თუკი ამის პრეცედენტი კოსოვოს დამოუკიდებლობის სახით შეიქმნება.

**- და რუსეთს მართლაც შეუძლია აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა?**

- ვფიქრობ, არა. რუსეთი "შებოჭილია" გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობიდან გამომდინარე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული განსაკუთრებული ვალდებულებებით. რუსეთი ვალდებულია, თავადაც პატივი სცეს და სხვებსაც მოუწოდოს იმისკენ, რომ დაცული იქნეს საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები და სტანდარტები, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით.

თუმცა დღეს, როდესაც ასე გამწვავებულია რუსეთთან ურთიერთობები, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ მაინცდამაინც არ დაიშლის რუსეთი და დაიწყებს აფხაზეთის ცნობის პროცესს, მაშინ საქართველო გამონახავს ადეკვატურ რესურსებს, რათა ხელი აალებინოს რუსეთს ამგვარ განზრახვაზე. პირველ რიგში ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებზეა საუბარი. კერძოდ, როცა დრო მოვა (და ამის დრო, იმედია, მალე მოვა), საქართველო, განსხვავებით ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან, არ მისცემს ზოგიერთ სამხედრო-პოლიტიკურ გარანტიას რუსეთს. კიდევ სხვა რესურსებიც შეიძლება გამოჩნდეს. არ ვიცი, რამდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა ეს არგუმენტები, მაგრამ ამის შემდეგ კონფერენციაზე რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესაძლო ცნობაზე საუბარი აღარ ყოფილა.

**- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ დღეს აფხაზეთში არსებულ სიტუაციაზე?**

- კონფერენციაზე ხშირად გაისმოდა, რომ თუკი დღეს რაიმე უშლის ხელს აფხაზეთის განვითარებას, ეს საქართველოდან მომდინარე საფრთხეა. ამავე დროს, აფხაზური მხარე ცდილობდა, თავი აერიდებინა იმ პრობლემებზე საუბრისათვის, რასაც ადგილი აქვს აფხაზეთსა და რუსეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დღეს აფხაზეთს გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს და ჩუმჩუმად სტრატეგიულ პარტნიორობასაც ეფიცებიან ერთმანეთს, იგრძნობა აფხაზეთში რუსეთის მიმართ უნდობლობისა და რუსეთის მხრიდან დახმარების უკმარისობის განცდა. აფხაზები კარგად ხედავენ, რომ რუსეთი პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ "კაპიკებს" თუ იმეტებს და ეს არაგითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად. დღეს აფხაზური საზოგადოება უფრო გადარჩენის ამოცანებს წყვეტს და კულტურული საზოგადოებისთვის შთამბეჭდავი დიდება, რომ ამით გვარიანად დაილალა.

ჩვენი იქ ყოფნის დროს იმაში დავრწმუნდით, რომ ამ ულამაზეს მხარეში უამრავი რესურსი არსებობს, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, პრაქტიკულად გამოუყენებელია. ვგულისხმობ მიწას, ინტელექტუალურ პოტენციალს, რეკრეაციულ რესურსებსაც კი, რომელიც თითქმის აუთვისებელია. ძირითადად რუსეთიდან შემოსული ტურისტების წლიდან წლამდე მზარდი რაოდენობა მაინც არ არის საკმარისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლებისთვის. ამას სერიოზული ინვესტიციები სჭირდება, რაც შემდგომში მილიარდობით დოლარის შემოსავალს მოიტანდა. იქ ყოფნის დროს, მათ შორის სოხუმის დათვალიერებისას, ძალაუნებურად ვავლებდი პარალელს აჭარასთან, ბათუმთან. შეუდარებელი სხვაობაა აღმშენებლობის, საქალაქო გარემოს სილამაზის, მოვლილობის, ცხოვრების რიტმის თვალსაზრისით.

**- რამდენად აცნობიერებს აფხაზური საზოგადოება იმ ფაქტს, რომ დე-ფაქტო დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყოფს კულტურული თავისთავადობის შენარჩუნებას? საერთოდ, აღელვებთ მას ეს პრობლემა?**

- სერიოზული თემაა, მაგრამ შევეცდები, მოკლედ გიპასუხოთ. კონფერენციაზე სამი მოხსენება დაეთმო აფხაზური დიასპორის საკითხებს, კერძოდ რეპატრიაციის თემას. ეს შემთხვევით არ მომხდარა. აფხაზებმა, "მოგებული ომის" შედეგად, მხოლოდ 13-15 პროცენტით გაზარდეს საკუთარი წილი დემოგრაფიულ სტრუქტურაში. ისინი აფხაზეთში მოსახლეობის, დაახლოებით, მესამედს შეადგენენ. თუ გავითვალისწინებთ მათ პასიურ დემოგრაფიულ ქცევას, ეს წილი შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს წლების განმავლობაში, რადგან იქ სხვა ეთნიკური ელემენტები (სომხური და გალის რაიონის ქართული მოსახლეობა) უფრო აქტიურია, ვიდრე აფხაზური. ამას ისინი გრძნობენ და აცხადებენ, რომ ეს საფრთხე, თუმცა ნელმოქმედების და გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითი შედეგის მომტანი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო საფრთხე. ამიტომაც ფიქრობენ რეპატრიანტების ჩამოსახლებაზე. მზად არიან, ყველანაირი პირობა შეუქმნან მათ ამისთვის. მაგრამ როგორც დიასპორის წარმომადგენლების მოხსენებებიდან გაირკვა, ამის დიდი პერსპექტივა არ ჩანს რიგი მიზეზების გამო. თავად ამ დიასპორაში დაკარგულია აფხაზური ენა, ისინი გათურქებულები არიან. უცხო ენისა და რელიგიის მატარებელი დიდი მასის ინტეგრაცია აფხაზურ საზოგადოებაში გამორიცხულია. არც რუსეთი დაუშვებს მუსლიმური ელემენტის გაძლიერებას აფხაზეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაციის გამო. ამდენად, ამაში დიდი პერსპექტივა არ ჩანს. შეიძლება მათ იზრუნონ აფხაზეთიდან წასული და დსთ-ს სივრცეში მცხოვრები აფხაზების დაბრუნებაზე, იგივე აჭარაში მცხოვრები აფხაზების. მაგრამ ეს რესურსი ძალიან მწირია.

მეორე პრობლემა, რისთვისაც მუდამ გვერდის ავლას ცდილობდნენ, აფხაზური ენის დაკარგვის საფრთხეა. ორი კვირით ადრე იქ სპეციალურად ამ საკითხის განსახილველად დიდი სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარეს, სადაც აღნიშნული პრობლემა მთელი სიცხადით წარმოჩინდა. ჩვენი თანდასწრებით კი არ სურდათ ამ საკითხზე საუბარი. საქმე ის არის, რომ აფხაზეთში ფაქტობრივი დამოუკიდებლობის პირობებში აფხაზური ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად და ფორმალურად ენის პრესტიჟი ამაღლდა. მაგრამ ფაქტობრივად აფხაზური ენის სტატუსი ძალიან დაბალია. იქ შეუდარებლად უფრო ძლიერი სოციალური სტატუსი აქვს რუსულ ენას. ის დომინირებს ყველა სფეროში - საქმეთა წარმოებაში, ბიზნესში, ყოფით ცხოვრებაში, განსაკუთრებით ქალაქში. ქალაქელი აფხაზები ერთმანეთში კომუნიკაციისათვის, უმეტესწილად, აფხაზურ ენას ძალიან იშვიათად ხმარობენ. აფხაზური ენა სოფლად უფროა შემორჩენილი, მარამ სოფლებიდან ადამიანები ქალაქში გადმოდიან ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, სადაც მათ რუსულენოვანი გარემო ხვდებათ. ისინი აფხაზურ ენაზე თვითრეალიზაციას ვერ ახერხებენ და რუსულ ენაზე გადასვლა უხდებათ.

აფხაზეთში არის რუსული და სომხური სრულციკლიანი, 10-11 კლასიანი სკოლები, მაგრამ აფხაზური სკოლა 4 წლიანია. მე-5 კლასიდან ბავშვები ისევ რუსულად იღებენ განთლებას. შემდგომ, თუ მათ ხარისხიანი და კლვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღება სურთ, ისევ რუსეთში მიდიან სასწავლებლად. ენის გარეშე კი შეუძლებელია კულტურის სხვა ელემენტების შენარჩუნება და, მით უმეტეს, განვითარება. გლობალიაზაციის ეპოქაში მცირე და ამაყი კავკასიური ერისთვის ეს დამღუპველია. ფაქტობრივად, აფხაზების აკულტურაცია, ანუ კულტურული ასიმილაცია მიმდინარეობს. ეს გრძელვადიანი პროცესია და მისი ეფექტი მოგვიანებით გამოჩნდება. იგრძნობა, რომ ეს მათ ესმით, მაგრამ ამ თაობას პრობლემის გადასაჭრელად სათანადო ფინანსური და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური რესურსები არ ჰყოფნის. ის დღევანდელი დღით ცხოვრობს და, როგორც აღვნიშნე, ყველაზე მეტად ფიზიკური გადარჩენის ამოცანა აღელვებს.



არჩილ გეგეშიძე.

**- როგორ ხედავთ კონფლიქტის მოგვარების გზას? არსებობს კი ეს გზა?**

- აფხაზებს კონფლიქტის მოგვარების თავიანთი ხედვა აქვთ, რომელიც ბოლოს დოკუმენტში, სახელწოდებით "მომავლის გასაღები", ჩამოაყალიბეს. ეს დოკუმენტი ამ რამდენიმე თვის წინ ოფიციალურად გადმოეცა ქართულ მხარეს განსახილველად. დოკუმენტი ბევრ ისეთ ელემენტს შეიცავს, რომელიც შესაძლოა მოლაპარაკების საგანი გახდეს. აქ არის, მაგალითად, საუბარი იმაზე, რომ ქართულმა მხარემ უნდა აღიაროს ათწლეულების განმავლობაში მის მიერ აფხაზების წინაშე დაშვებული შეცდომები და სადაც საჭიროა ბოდიშიც მოიხადოს. ამის შემდეგ ორივე მხარემ დადოს პირობა საომარი მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე საერთაშორისო გარანტიებით გამაგრებული დოკუმენტის სახით. გათვალისწინებულია თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში - ეკონომიკაში, კულტურაში. და ბოლოს, საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ეს არის მაქსიმალისტური პლატფორმა. აქედან ბევრი რამე საქართველოსთვის შეიძლება მიუღებელი იყოს, განსაკუთრებით ბოლო პუნქტი, მაგრამ ყველა დანარჩენზე დისკუსია შეიძლება. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას.

ნდობის აღდგენა კი დღეს აუცილებელია. როგორც დღეს ჩვენი ხელმძღვანელობა აცხადებს, ეფექტიანი სამშვიდობო პროცესისთვის აუცილებელია სამი ელემენტი: პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან, მიუკერძოებელი ხელშემწყობი შუამავლები და მრავალეროვნული საპოლიციო ძალები. ვფიქრობ, პირველი ელემენტი სწორედ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას უნდა გულისხმობდეს. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მხრიდან პირველი ნაბიჯების გადადგმას. ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რეალურ პოლიტიკად უნდა იქცეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მხარეები ნებაყოფლობით შერიგდნენ. კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი სხვა, ძალდატანებითი, თავს მოხვეული ფორმა იქნება დროებითი ან მოჩვენებითი. რა თქმა უნდა, გარკვეული გეოპოლიტიკური კონიუნქტურა უნდა შეიქმნას კონფლიქტის ირგვლივ, რომ ფსიქოლოგიური სტიმული მიეცეს აფხაზურ მხარეს, დაიჯეროს საქართველოს მხრიდან ჭეშმარიტად გულწრფელი შემრიგებლური ტონალობა და ნაბიჯები. მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, ქართული მხარე უნდა იქცეს მიმზიდველად აფხაზებისათვის. აქ ჭეშმარიტი ზეიმი უნდა იყოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის, ტოლერანტობის, ამის მაგალითი უნდა მივცეთ სხვა ეროვნულ უმცირესობებს. მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს ეკონომიკა, შემოვიდეს ინვესტიციები, შეიქმნას სამუშაო ადგილები.

გარდა ამისა, რუსეთთან უნდა წარიმართოს სერიოზული მუშაობა დასავლელი პერტნიორების მხრიდან, რათა რუსეთი პროცესის კონსტრუქციულ მონაწილედ იქცეს. დასავლელი პარტნიორების ამ მიმართულებით სათანადო მოტივირება ჩვენი დემოკრატიული რეფორმების გაღრმავებით და მათ შეუქცევადობაში დარწმუნების შემთხვევაში შეიძლება, რის გამოც დასავლელი პარტნიორები საქართველოს მათთვის მისაღები განვითარების კურსზე ზრუნვას დაიწყებენ.

და, რაც მთავარია, აფხაზებს უნდა დავანახოთ, რომ არსებობს დღევანდელი "რუსული არჩევანის" ალტერნატივა. ეს არის ლიბერალურ-დემკრატიულ ფასეულობებზე აგებული დემოკრატიული სისტემა, როგორიც დასავლეთშია და რომელიც მცირე და ამაყი ერისთვის საკუთარი თავისთავადობის შენარჩუნებისთვის უფრო მეტ გარანტიებს იძლევა. ამისთვის საჭიროა აფხაზეთში დასავლური ღირებულებების კულტივაცია. ჩვენს ინტერესებშია, რომ იქ შეიქმნას ღია საზოგადოება, მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებულები გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ. იმის შესახებ, თუ როგორ ხერხდება დასავლური დემოკრატიის და, ამავე დროს, გლობალიზირებულ გარემოში მცირე ერების კულტურული თავისთავადობის შენარჩუნება და განვითარება. ამთავითვე უნდა ვიფიქროთ, როგორი ფორმით შევთავაზოთ აფხაზებს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მონაწილეობა.

როდესაც აფხაზები დაინახავენ, რომ არსებობს "რუსულ არჩევანზე" უკეთესი ალტერნატივა და რომ საქართველო მართლაც მიდის იმავე მიმართულებით, მაშინ შესაძლებელია აფხაზებმა ჩვენსკენ მოიხედონ და გულწრფელად მოინდომონ ჩვენთან საერთო შეხების წერტილებზე საუბარი.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება კონფლიქტი მოგვარდეს. კონფლიქტის მოგვარება და ე. წ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერთი და იგივე, სამწუხაროდ, არ არის. ჩვენს პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გაკეთებული ერთმნიშვნელოვნად მტკიცე არჩევანი კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიანი გზის სასარგებლოდ.

დღეს ძალას არავინ გამოგვაყენებინებს, 21-ე საუკუნეა. არანაირი ე.წ. ხორვატული მოდელი თუ სხვა რაიმე ტაქტიკა არ იმუშავებს. აფხაზეთში სპეცოპერაციის ჩატარება შეუძლებელია, იმიტომ რომ საქმე გვაქვს არა "ბანდიტურ მთავრობასთან", არამედ მთელ საზოგადოებასთან. აფხაზეთი შეუმდგარი სახელმწიფოა, მაგრამ შემდგარი საზოგადოებაა საკუთარი ინტელექტუალური, ერთ მუშტად შეკრული პატრიოტული ელიტით და მთავრობით. მხოლოდ რუდუნებით, ძალიან კარგად გათვლილი და დიდი ტაქტით აღსავსე სერიოზული სტრატეგიაა შესამუშავებელი და განსახორციელებელი.

**- კონფლიქტის მოგვარების პროცესში უდიდესი ფაქტორია დევნილების პრობლემა. აფხაზები მათ დაბრუნებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. რამდენად არის შესაძლებელი ჩვენი მუშაობის შედეგად ამ პოზიციის შეცვლა?**

- დევნილების დაბრუნება არის საერთაშორისო სამართლით აღიარებული უპირობო იმპერატივი. ამას ვერც აფხაზური მხარე უარყოფს და ეს დაფიქსირებულია შესაბამის დოკუმენტებში. სპონტანურად ეს პროცესი გალის მაგალითზე შედგა, და საკუთარი რისკის ფასად ამ ხალხის უდიდესი ნაწილი დაბრუნებულია. რაც შეეხება ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, აფხაზური საზოგადოება დღეს ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად არ არის. ისინი თვლიან, რომ ქართველების დაბრუნება მათ დემოგრაფიულ პრობლემას კიდევ უფრო გაამწვავებს. აქ ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო. დაბრუნება უნდა იყოს სათანადო ვადებში გაწერილი და ეტაპობრივი პროცესი. რა თქმა უნდა, აფხაზურ ეთნოსს ამ პროცესის განმავლობაში კულტურულად და ადმინისტრაციულად გარკვეული გარანტიები უნდა შეექმნას, რომ მან თავისი ადგილი, როლი და თავისთავადობა არ დაკარგოს. ეს არის ქვაკუთხედი ამ პროცესის. პრაქტიკულად სტატუსი და ლტოლვილების დაბრუნება ორი უმთავრესი საკითხია. ერთბაშად ამ ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია, მაგრამ ნდობის აღდგენის კვალდაკვალ ორმხრივმისაღები შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობები გაიზრდება.

**- ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება ხელს შეუწყობს, თუ პირიქით, ხელს შეუშლის ნდობის აღდგენას, ზოგადად კონფლიქტის მოგვარებას?**

- დღეს აფხაზები ნატო-ს სკეპტიკურად უყურებენ. მაგრამ სათანადო განმარტებითი მუშაობის შემთხვევაში მდგომარეობა შეიცვლება. აუცილებელია მათ დაინახონ, რომ ნატო ეს რაღაც "სამხედრო ურჩხული" კი არა, არამედ, რუსეთისგან განსხვავებით, ქვეყნის კომპლექსური მოდერნიზაციის უდიდესი სტიმული და რესურსია, რომ ეს არის დემოკრატიული ქვეყნების უდიდესი ალიანსი და იმ ფასეულობების მატარებელი და დამცველი, რასაც თავად აფხაზები იდეალში ესწრაფვიან.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ამას ხელს შეუწყობს, თუნდაც იმიტომ, რომ ამის შედეგად რუსეთს დაეკარგება კონფლიქტის გაყინულ ფაზაში შენარჩუნების ცხოველი ინტერესი. ეს კონფლიქტის მოგვარების, მართალია, არასაკმარის, მაგრამ აუცილებელ პირობად მიმაჩნია. ამდენად, ამ ეტაპზე, ვფიქრობ, აქცენტი ნატო-ში ინტეგრაციის დაჩქარებაზე უნდა გაკეთდეს და არა კონფლიქტის მოგვარებაზე. ორივე ერთად რთული იქნება.

# საქართველოს ბიზნესგარემო მსოფლიო ბანკის პრიზმაში

მერაბ კაკულია
პროფესორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის წამყვანი ეკონომიკური ექსპერტი

დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი გამოწვევა მოკლე ვადებში სწრაფად მზარდი და კონკურენტული ეკონომიკის შექმნაა, რომელმაც არა მხოლოდ სიღარიბის დაძლევა და მოქალაქეთა კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს, არამედ მდგრადი საფუძველი უნდა შეუქმნას ქვეყნის ტერიტორიულ, გნებავთ სახელმწიფოებრივ მთლიანობას. ბუნებრივი რესურსებით შედარებით ღარიბ ქვეყანას, რომლის ეკონომიკას ჯერ კიდევ მოუქნელი სტრუქტურა და დაბალი ტექნოლოგიური დონე გააჩნია, ამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ ერთი გზა რჩება - უპრეცედენტოდ ლიბერალური ბიზნესგარემოს შექმნა, როგორც უცხოელებისათვის, ასევე რეზიდენტებისათვის. ამ დებულებაში თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ როდესაც საკითხი ეკონომიკის დერეგულირების ზომას შეეხება, მაშინვე თავს იჩენენ ძველი დოგმები და სტერეოტიპები: ზოგს რეფორმების ფორმატი არ მოსწონს, ზოგს კი ტემპი. არადა, ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფუჭად იმდენი დრო დაკარგა, რომ მას ნამდვილად არა აქვს ნელი სვლის უფლება. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა მსოფლიო ბანკის ბოლო გამოკვლევის -- "ბიზნესის წარმართვა 2007" ("Doing Business 2007") შედეგები, რომლის მიხედვით საქმიანი აქტივობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში საქართველომ 175 ქვეყანას შორის ყველაზე შთამბეჭდავი დინამიკა აჩვენა - 112 ადგლიდან მან 37-ზე გადაინაცვლა და უკან ჩამოიტოვა ისეთი სახელმწიფოებიც კი, როგორიცაა იტალია და ესპანეთი. აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ ხუთს (ლიტვა, ესტონეთი, ლატვია, სომხეთი და სლოვაკეთი) აქვს საქართველოზე უკეთესი რეიტინგი, თუმცა წინსვლის მასშტაბით ისინიც ბევრად ჩამორჩებიან.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის წინამდებარე მიმოხილვა, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში ბიზნესგარემოს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლას, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუებს ეყრდნობა. იგი უპირატესად სამართლებრივი ხასიათის რეფორმებზეა ფოკუსირებული, რომელთა განხორციელების გარეშე შეუძლებელია ბიზნესგარემოს რეალური გაუმჯობესება. მიმოხილვა საქმიან აქტივობასთან დაკავშირებულ 10 სფეროს მოიცავს, რომელთა რაოდენობრივი ანალიზი სპეციალურად შემუშავებული მაჩვენებლებით ხდება.

ყველაზე დიდ რეიტინგულ წინსვლას 2005-2006 წლებში საქართველომ ლიცენზირების სფეროში მიაღწია, სადაც გასულ წელს მასშტაბური რეფორმა განხორციელდა: ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა 85 პროცენტით შემცირდა, ლიცენზიების უმეტესი ნაწილის გაცემის ვადა 30 დღით განისაზღვრა, ნებართვებისა კი 20 დღით. გამარტივდა ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურები, ხოლო შესაბამისი ფულადი დანახარჯები, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, რაიმე სერიოზულ ფინანსურ ტვირთს აღარ წარმოადგენს. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლიცენზირების სისტემის ლიბერალიზაციის "ნომინაციაში" საქართველომ 152 ადგილიდან 42-ზე გადაინაცვლა და შესაბამისი პროცედურების რაოდენობითა და დანახარჯების მოცულობით თითქმის გაუტოლდა, ხოლო ვადების სიმცირით გაუსწრო კიდეც OECD-ის ქვეყნების (22 ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანა- მ.კ.) საშუალო მაჩვენებელს. აღარაფერს ვამბობთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სხვა ქვეყნებზე, რომლებთან შედარებითაც საქართველოს გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზირების რეფორმის უაღრესად პოზიტიურ შეფასებაში ყველა საერთაშორისო ექსპერტი ერთსულოვანია.

ლიცენზირების შემდეგ, მსოფლიო ბანკის მიმოხილვის თანახმად, ყველაზე წარმატებულად მუშაკთა დაქირავება/დათხოვნის სფერო იქნა მიჩნეული. შრომის ახალი კოდექსის მიღების შემდეგ საქართველო 71-ე ადგილიდან პირველ ათეულში მოხვდა. სამუშაოზე მიღების და დათხოვნის სირთულის, დათხოვნის ხარჯის, ასევე სამუშაო საათების ელასტიურობის ინდექსები შეუდარებლად დაბალია (ანუ ბიზნესისათვის უკეთესი) OECD-ის ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებლებზე. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მუშაკთა დაქირავება-დათხოვნის მაქსიმალურად გამარტივება მეწარმისათვის ძალზედ სერიოზული სტიმულია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დამკვიდრდებოდა

გაგრძელება A6 გვერდზე

# საქართველოს ბიზნესგარემო მსოფლიო ბანკის პრიზმაში

A5 გვერდიდან

ისეთ ულტრალიბერალურ ეკონომიკებში, როგორიც აშშ, სინგაპური და ჰონკონგია. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს დასაქმებულთა სოციალური დაცვის ევროპული ფორმატი, რომელიც შრომითი ურთიერთობების რეგლამენტირების მნიშვნელოვან მექანიზმებს შეიცავს. ამდენად, ევროპელი ექსპერტები საკმაოდ კრიტიკულად უყურებენ საქართველოს ნოვაციებს აღნიშნულ სფეროში.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გადასახადების გადახდის ინდიკატორები, რომლებიც ამ პროცესთან დაკავშირებული ოპერაციების რაოდენობას, დროით დანახარჯებსა და საგადასახადო ტვირთის სიმძიმეს ასახავენ. აღნიშნულ სფეროში ქვეყანამ 56 პოზიციით წაიწია წინ. როგორც ჩანს, მსოფლიო ბანკმა სათანადოდ შეაფასა გადასახადების რიცხოვნობის და მათი განაკვეთების მკვეთრი შემცირება, თუმცა გაითვალისწინა ადმინისტრირების სერიოზული ნაკლოვანებებიც. გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ოპერაციათა რაოდენობისა და დახარჯული დროის მაჩვენებლები გაცილებით მაღალია OECD-ის ქვეყნების ინდიკატორებთან შედარებით და ბევრად უფრო ახლოა რეგიონის, რომელშიც გამოკვლევის მიხედვით ევროპის სხვა და ცენტრალური აზიის ქვეყნები შედიან, პარამეტრებთან.

მიმოხილვის შესაბამისად არსებითი ხასიათის ძვრებს ჰქონდა ადგილი საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების სფეროშიც, რომელიც მოცემულ რეიტინგში ექსპორტ-იმპორტის რეჟიმს ასახავს საბაჟო პროცედურების ჩათვლით. 149-ე ადგილიდან საქართველომ 95-ეზე გადაინაცვლა. მსოფლიო ბანკის შეფასებით საბაჟოსა და სასაზღვრო პოლიციაში რეფორმების შედეგად ექსპორტის განხორციელება დღეს საშუალოდ 13 დღეს საჭიროებს, ნაცვლად 54 დღისა 2004 წელს. ასევე იკლო იმპორტის დროითმა დანახარჯებმა. ორივე შემთხვევაში შესაბამისი ინდიკატორები OECD-ის ანალოგს უახლოვდება. რაც შეეხება ექსპორტ-იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობას, აქ ჯერ კიდევ არსებობს საგრძნობი განსხვავება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მიმოხილვაში ვერ მოხვდა ახლახანს მიღებული საბაჟო კოდექსი და ტარიფების მკვეთრი შემცირება. უნდა ვივარაუდოთ, რომ, განახლებულ რეიტინგში საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პოზიციაში საქართველოს კვლავ დიდი წინსვლა ექნება, მიუხედავად იმისა, რომ ახალი საბაჟო კოდექსის მიმართ საერთაშორისო, მათ შორის ევროპელ ექსპერტებს, ჯერ კიდევ აქვთ არსებითი ხასიათის შენიშვნები.

ბიზნესგარემოს კიდევ ერთი სფერო, სადაც მსოფლიო ბანკმა სერიოზული გაუმჯობესება (48 პუნქტით) დაინახა კრედიტის ხელმისაწვდომობაა. კანონიერი უფლების ინდექსი, რომელიც ასახავს იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობა კრედიტის წვდომას, თითქმის უტოლდება OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. საგრძნობლად გაიზარდა საკრედიტო ინფორმაციის ინდექსი, რომელიც საჯარო რეესტრსა და კერძო საკრედიტო ბიუროებზე დაყრდნობით სესხის შესახებ ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობის ინდიკატორია. დასახელებული ინდექსები ალბათ არ არის საკმარისი ქვეყანაში კრედიტის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შესაფასებლად. ექსპერტები მიუთითებენ, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების, მათ შორის გირაოთი დატვირთული ქონების დაჩქარებული რეალიზაციის წესის შემოღების მიუხედავად, კრედიტის აღება სამეწარმეო საქმიანობისათვის საქართველოში კვლავ რთულია: ისევ ჭირს ბანკისათვის მისაღები გირაოს წარმოდგენა, მისი რეალური შეფასება და პოტენციური მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება. მართალია, გადაიდგა ნაბიჯები კერძო საკრედიტო ბიუროების შესაქმნელად, თუმცა კლიენტის სრულყოფილი საკრედიტო ისტორიის მოპოვება მოცემული ბანკის მიღმა არ გაიოლებულა.

მსოფლიო ბანკის მიმოხილვის მიხედვით საქართველომ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია ბიზნესგარემოს ისეთ სფეროშიც, როგორიცაა კომერციული კონტრაქტების აღსრულება. ქვეყანამ 24 პუნქტით აიმაღლა რეიტინგი და საკმაოდ საპატიო 32-ე ადგილი დაიკავა. სასამართლო პროცედურების რაოდენობით იგი დაეწია OECD-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, სამართალწარმოების ვადების შემცირებით კი გაუსწრო კიდეც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტები, ისევე როგორც საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ერთობ სკეპტიკურად უყურებენ კომერციული სამართალწარმოების ვადების ამგვარ შეფასებას.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით საგრძნობი წინსვლა აღინიშნა ბიზნესის დაწყების სფეროში: საქართველომ 59-დან 36-ე ადგილზე გადაინაცვლა. შემცირდა ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურათა რიცხოვნობა და მათი განხორციელების დრო. ამ პარამეტრებით საქართველო უკვე გაუტოლდა OECD-ის მაჩვენებელს. მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნის დონე კი, მისი მკვეთრი შემცირების შემდეგ, OECD-ის საშუალოზე ბევრად ნაკლებია. ამასთან, კლების მიუხედავად ორჯერ მეტია ბიზნესის დაწყების ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის მიმართ. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით საქართველოში გადაულახავი ბარიერები ნამდვილად აღარ არსებობს, რასაც ადასტურებენ კიდეც საერთაშორისო ექსპერტები.

მსოფლიო ბანკი შედარებით მოკრძალებულ პროგრესს ხედავს ბიზნესის დასრულების სფეროში, რომლის მაჩვენებლებით საქართველომ წინ მხოლოდ 12 პოზიციით წაიწია და 86-ე ადგილს დასჯერდა. მიმოხილვის მიხედვით, ბიზნესის დასრულებას საქართველოში OECD-ის ქვეყნებთან შედარებით 2-ჯერ მეტი დრო სჭირდება, თუმცა ლიკვიდაციის ხარჯები (% ქონების ღირებულების მიმართ) ამდენივეჯერ ნაკლებია. ამასთან, ანაზღაურების კოეფიციენტი (ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი ფირმისაგან ამოღებული ცენტების რაოდენობა კრედიტორის ერთ დოლართან მიმართებაში) ბევრად დაბალია OECD-ის ქვეყნებთან შედარებით და ევროპის სხვა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს უახლოვდება, რაც გაკოტრების არსებული პრაქტიკის ნაკლებ შედეგიანობაზე მეტყველებს.

მიმოხილვის მიხედვით, საქართველომ მაღალი რეიტინგული პოზიცია დაიკავა საკუთრების რეგისტრაციის სფეროში - 16-ე ადგილი. მართალია წინსვლა აქ მინიმალური იყო, მხოლოდ 2 პუნქტით, თუმცა ამ ზომის გადაადგილება პირველ ოცეულში საკმაოდ სერიოზულად შეიძლება ჩაითვალოს. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ კანონის მიღების შემდეგ გამარტივდა საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა და შემცირდა მისი ვადები, კერძოდ შემოღებულ იქნა დაჩქარებული რეგისტრაციის მექანიზმი. საკუთრების რეგისტრაცია საქართველოში, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საშუალოდ 9 დღესა და 6 პროცედურის გავლას საჭიროებს. შედარებისათვის, OECD-ის ქვეყნებში ეს პარამეტრები შესაბამისად 31.8 დღესა 4.7 პროცედურას შეადგენდნენ. რაც შეეხება საკუთრების რეგისტრაციაზე დანახარჯის პროცენტულ შეფარდებას თვით საკუთრების ღირებულებასთან, იგი საქართველოში ბევრად უფრო ნაკლებია.

ბიზნესგარემოს ერთადერთი სფერო, სადაც მსოფლიო ბანკის მიმოხილვის თანახმად წინსვლა არ შეიმჩნევა. ინვესტორთა უფლებების დაცვაა, რომელშიც საქართველომ 133-დან 135-ე ადგილზე გადაინაცვლა. ამ სეგმენტის ამსახველი ერთი განმაზოგადებელი და სამი ფრაგმენტული ინდექსი (ბიზნესის გამჭირვალობის, დირექტორთა პასუხისმგებლობის, აქციონერთა უფლების) აშკარად ჩამორჩება OECD-ის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის შესწორებას არსებითი ხასიათის ცვლილებები ინვესტორთა დაცვის თვალსაზრისით არ მოჰყოლია. პირიქით, ახალი ნორმა, რომლის მიხედვითაც უმსხვილეს აქციონერებს უფლება ეძლევათ აიძულონ წვრილი აქციონერები (აქციების 5 %-ზე ნაკლების მფლობელები) ე.წ. სამართლიან ფასად დათმონ კუთვნილი აქციები, შეიძლება მათი უფლების შელახვის საწინდარი გახდეს, რადგან ფინანსური ბაზრების განუვითარებლობის გამო საქართველოში შეუძლებელია აქციათა რეალური კურსის დადგენა.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, იმ ათი სფეროდან, რომლებიც მსოფლიო ბანკის მიმოხილვამ მოიცვა, ცხრაში 2005-2006 წლებში საქართველოს რეიტინგული პოზიცია გაუმჯობესდა, აქედან ხუთში წინსვლა მკვეთრი იყო, ორში მნიშვნელოვანი, ერთში კი მცირე, თუმცა ამ უკანასკნელში პოზიციის განმტკიცება რეიტინგის პირველ ოცეულში მოხდა, რაც თავისთავად პოზიტიური ფაქტია. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბიზნესგარემოს რეფორმირების პროცესი საქართველოში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, თუმცა ამავე რეიტინგიდან ისიც ჩანს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ბიზნესგარემოს 10 სფეროდან ორში, საქართველო ჯერ კიდევ მეორე ასეულშია. ერთ-ერთი მათგანია ინვესტორთა ინტერესების დაცვა, რაც, ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორისათვის. მოქმედი სამეწარმეო კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ არეგულირებს სამეწარმეო სუბიექტის გამჭირვალობის ვალდებულებას, მოთხოვნებს დირექტორების მიმართ, წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს. ყოველივე ეს ასახვას პოულობს იმ გაუთავებელ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში ბიზნესპარტნიორებს, ასევე მათსა და მესამე პირებს შორის, რომლებიც ხელს უშლის ბიზნესის ჯანსაღ ფუნქციონირებას. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ახალი საკანონმდებლო ინიციატივებია საჭირო.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოს მეორე სეგმენტიც, რომელიც ძლიერი წინსვლის მიუხედავად მსოფლიო ბანკის რეიტინგის პირველ ასეულში ვერ მოხვდა. ეს არის გადასახადების გადახდა. მართალია, დაბეგვრის სიმძიმე საქართველოში, იგივე მიმოხილვის მონაცემებით, შესამჩნევად ნაკლებია რეგიონისა და OECD-ის ქვეყნების მაჩვენებლებზე, მაგრამ არსებობს ადმინისტრირების სერიოზული პრობლემები. მათგან უცხოელი ექსპერტები განსაკუთრებით გამოყოფენ სასამართლოების მიერ საგადასახადო დავების დროულად და ობიექტურად გადაწყვეტას და ფისკალური ადმინისტრირების ძალოვან ორგანოსთან გადამხდელის ცივილური სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. არსებობს ორივე პრობლემის მოწესრიგების პოლიტიკური ნება, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის ამასწინანდელი განცხადებით დადასტურდა, რაც ახლო მომავალში აღნიშნული პრობლემების მოგვარების იმედს იძლევა.

ბიზნესგარემოს დანარჩენი სფეროებიდან რეიტინგის მიხედვით არცთუ სახარბიელო პოზიცია უკავია ბიზნესის დასრულების სეგმენტს (86-ე ადგილი). უცხოელი და ქართველი ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ გაკოტრების მოქმედი კანონმდებლობა არაეფექტიანია, რაც ბოლომდე მიყვანილ საქმეთა ერთობ მცირე რაოდენობაში გამოიხატება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მომზადდა ახალი კანონპროექტი, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, გაკოტრების პროცესის დაჩქარებას და მის გამჭირვალობას უზრუნველყოფს.

დაბოლოს, ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთ სფეროში, მსოფლიო ბანკის მიმოხილვამ ადეკვატურად ვერ ასახა არსებული რეალობა, რაც ნაწილობრივ მოცემული სეგმენტის რეიტინგული შესწავლის მეთოდოლოგიური სისუსტით შეიძლება აიხსნას. მაგალითად, კომერციულ სამართალწარმოებაში გარკვეული ძვრების მიუხედავად, აქ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. ექსპერტები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები თვლიან, რომ მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, ვერ ფლობენ საკონტრაქტო კანონმდებლობის პრინციპებისა და ნიუანსების საკმარის ცოდნას, რაც სულ ცოტა საქმეთა განხილვის გაჭიანურებას იწვევს. როგორც ჩანს, სასამართლო სისტემა ჩამორჩა ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის ტემპს. არადა, ბიზნესის ხელშეწყობის მიღწეული დონე კიდევ უფრო დიდი წინსვლის საწინდარი მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ქვეყანა დაასრულებს დამოუკიდებელი და კვალიფიცირებული სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას.



*მერაბ კაკულია*



## განცხადება ლიკვიდაციის შესახებ

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 46.8 პუნქტის შესაბამისად 2006 წლის 07 სექტემბერს შ.პ.ს. გამომცემლობა "ქართული ენის" მოწვეულმა პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება შ.პ.ს. გამომცემლობა "ქართული ენის" ლიკვიდაციის შესახებ (შ.პ.ს. გამომცემლობა "ქართული ენის" პარტნიორთა კრების ოქმი N01, სანოტარო აქტის რეესტრში რეგისტრაციის N1-6231).

მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N8
ტელ: 99 80 46;
საიდენტიფიკაციო კოდი: 2038633033
დირექტორი: ლევან ვაშაკიძე
30 სექტემბერი, 2006 წელი.

**მიმდინარე 2006 წლის 16 ნოემბერს ჩატარდება სს "ერისიმედი"-ს აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ.თბილისი სამტრედიის ქ.№2ა**

**დღის წესრიგი:**

1. 2005 წლის და 2006 წლის პირველი ნახევრის ბალანსის განხილვა-ანგარიში.
2. 2005 წლის წმინდა მოგების განაწილება.
3. განცხადებები, სხვადასხვა საკითხები.

***გენერალური დირექტორი გ. კოკაია***

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელით გიწვევთ დალუქული სატენდერო წინადადებების წარსადგენად შემდეგ სამუშაოებზე: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის რაიონული ოფისების (მცხეთის, ადიგენისა და ბორჯომის) რეაბილიტაცია.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული; ტელ:. 75-24-15/16/17. საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია, ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს თოქშოუს წამყვანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოს გაერო-ს ასოციაციასთან ერთად იწყებს "ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამა საქართველოში" განხორციელებას. აღნიშნული პროექტის ფაგლებში დაგეგმილია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდეს ახალი გადაცემა თოქშოუ, რომელიც მიმართული იქნება, უმცირესობებისა და ტოლერანტობის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი დებატების გააქტიურებაზე.*

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- მედიასაშუალებებში მუშაობის გამოცდილება *(სასურველია)*
- ქართული და რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები, რომელიმე ეროვნული უმცირესობის ენის ცოდნა *(მიენიჭება პრიორიტეტი)*
- კომპიუტერის საოფისე და ინტერნეტ-პროგრამების ცოდნა.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**
- ავტობიოგრაფია (CV);
- ორი ფოტოსურათი;
- დიპლომის ასლი;
- სამოტივაციო წერილი, არა უმეტეს 250 სიტყვისა;
(გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ თუ რატომ გსურთ საზოგადოებრივი მაუწყებლის, უმცირესობათა და ტოლერანტობის საკითხების თოქშოუს წამყვანის თანამდებობაზე მუშაობა)
- ორი სარეკომენდაციო წერილი, ან იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც თქვენთვის რეკომენდაციის გაწევა შეუძლია.

საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 6 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, კოსტავას 68, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანცელარია

საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 15 ოქტომბერი, 18.00 საათი.**

## თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს მიღებას

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში 2006-2007 სასწავლო წელს არქიტექტურის, მინისა და ლითონის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალობებზე შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

1. **ქართული ხელოვნების ისტორია :**
   **მოდული ა) შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორია**
   **მოდული ბ) ახალი და უახლესი დროის ხელოვნების ისტორია**
2. **კულტურის მენეჯმენტი**
3. **ინფორმაციული კულტურისა და ვიზუალური ტექნოლოგიების თეორიაში (PR ტექნოლოგიების სწავლით)**
4. **მინის და ლითონის რესტავრაცია**

**ინფორმაცია**
1. საბუთები მიიღება ა.წ. 20 ოქტომბრამდე
2. გამოცდა-გასაუბრება შედგება 24 ოქტომბერს 12 საათზე
3. საგამოცდო საკითხები და პროგრამები შეგიძლიათ მიიღოთ 2 ოქტომბრიდან ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტში, იდა ოცხელთან 12-დან 15 სთ-მდე.

**მაგისტრატურაში ჩასაბარებლად საჭიროა შემდეგი საბუთები:**
1. განცხადება რექტორის სახელზე
2. დიპლომი და დიპლომის ასლი
3. 2 ფოტო სურათი ( 3 x 4)

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
თბილისი, 0108, გრიბოედოვის 22 (12-დან 15 სთ-მდე)
ტელ.99 92 16, 32 75 28, 899 900 383
www.art.edu.ge

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში 2006-2007 სასწავლო წელს შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე:
1. **ფერისა და განათების დიზაინი გარემოში**
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
თბილისი, 0108, გრიბოედოვის 22 (12-დან 15 სთ-მდე)
ტელ.93 69 51
www.art.edu.ge

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიის ხელოვნების ფაკულტეტი აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში, პრიორიტეტით:
**კომპიუტერული მოდელირება**
**მულტიმედია დიზაინი**
აკადემიის კურსდამთავრებულთათვის გამოცდა - კომპიუტერულ გრაფიკაში;
სხვა მსურველთათვის - ხატვა, კომპიუტერული გრაფიკა.
ტელ. 92-01-64
www.art.edu.ge

# პრეზიდენტი შინაა

*საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრებმა პირობა შეასრულა. "პრეზიდენტის თასის" რიგით მეორე გათამაშება უკვე ისტორიის საკუთრებაა. საქართველოს გოგონათა ნაკრები უმთავრეს ჯილდოს დაეუფლა.*

30 სექტემბერი - 1 ოქტომბრის ჩათვლით სპორტის სასახლეში კიმონოში გამოწყობილი გოგონები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. დასრულდა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა რვა ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრები. "პრეზიდენტის თასის" გათამაშების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოდერძი ველიჯანაშვილმა პირობა დადო, ჯილდო ჩვენ დაგვრჩებაო. გოგონებმაც იყოჩაღეს და "პრეზიდენტის თასი" არავის დაუთმეს.

შეჯიბრების პირველი დღე პირად პირველობებს დაეთმო, ხოლო მეორე - გუნდურ ასპარეზობას. "პრეზიდენტის თასიც" სწორედ გუნდურში გამარჯვებული ნაკრებისთვის იყო განკუთვნილი. ამიტომაც მეტ ინტერესს სწორედ შეჯიბრების მეორე დღე იწვევდა.

საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები სულ რაღაც წელიწადნახევარია არსებობს და შესაბამისად, მათგან რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მოთხოვნა არარეალურიცაა. ესეც რომ არა, ასაკით ახალგაზრდული ნაკრების ჩარჩოებში ჯდებიან. ფაქტობრივად, მათი დაოსტატება ჯერაც არაა დასრულებული. როგორც არ უნდა იყოს, ძიუდოს ფედერაციაში მათზე იმედებს ამყარებენ და იმედს გამოთქვამენ, რომ მომავალში კონტინენტალურ ჩემპიონატებზე გვერდიგვერდ იასპარეზებენ. ვინ იცის, იქნებ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზეც ვიხილოთ საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები. გოგონათა ნებისმიერი მედალი ისევე ფასობს, როგორც ვაჟთა. ასე რომ...

"პრეზიდენტის თასის" გათამაშების პირველ დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, პრიზიორთა შორის ქართველები სჭარბობდნენ. საქართველოს ნაკრების მიერ მოპოვებული მედლების კალკულაცია რომ მოეხდინათ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა აქაც ჩვენ დაგვრჩებოდა. მონაწილეობით კი შვიდი ქვეყანა მონაწილეობდა: აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, ლიტვა, საბერძნეთი, სომხეთი და საქართველო. ეგაა, პირად პირველობაში მასპინძლები ოთხი გუნდით გავედით ტატამზე, ხოლო გუნდურში ორით.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, გუნდურში პირველობა და, შესაბამისად, "პრეზიდენტის თასი" საქართველოს ნაკრებს დარჩა. მეორეზე თურქები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილები აზერბაიჯანმა და საქართველოს მეორე ნაკრებებმა დაიკავეს.

"პირობა არ დაგვირღვევია. "პრეზიდენტის თასი" საქართველოში დარჩა, - განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოდერძი ველიჯანაშვილმა. - საქართველოს ნაკრების ზოგიერთი წევრისთვის ეს პირველი წარმატება გახლდათ. მართალია, პირველ ნაბიჯებს ახლა ვდგამთ, მაგრამ მერწმუნეთ, მომავალში უფრო მეტს შევძლებთ. ყოველ შემთხვევაში, გოგონები უკან არ იხევენ".



გოჩიტა ბახაძის ფოტო

*საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრები პირველ ნაბიჯებს დგამს.*

# ფორმულაში ორხელისუფლებიანობაა

*"ჩინეთის დიდი პრიზი" ესპანელ ფერნანდო ალონსოს უნდა დარჩენოდა, მაგრამ ეპილოგისკენ მიხაელ შუმახერმა თავი მოიგიჟიანა და კარიერის 92-ე დიდი პრიზი და შესაბამისად, გამარჯვება მას დარჩა. გერმანელის სისწრაფემ ესპანელთან რვა ქულიანი ჩამორჩენაც ამოქაჩა და მრბოლთა დავაში მოქმედ ჩემპიონს გაუთანაბრდა. ერთი სიტყვით, "ჩინეთის დიდმა პრიზმა" ფორმულა 1-ს ორი ერკემალი მოუვლინა. შეიძლება ითქვას, ყველაფერი ახლა იწყება. თუ ვინ გახდება სამეფო რბოლათა მსოფლიოს ჩეპიონი, საამისოდ "სუძუკასა" და "ინტერლაგოსის" ტრასებზე რბოლაღაა საჭირო. ან შუმახერი, ან ალონსო, ან "ფერარი" და ან "რენო".*



*შუმახერი და ალონსო პირველობას იყოფენ.*

ბიგა ბურასაშვილი

ფრანგულ საჯინიბოს ზედიზედ შვიდი ეტაპია, გამარჯვების გემო არ უგემია. "ჩინეთის დიდი პრიზის" კვალიფიკაციაზე რენოელების შემტევი ტანდემის წყალობით პირველ რიგში გამწესებული ალონსოსა და ფიზიკელას ბოლიდებმა გულშემატკივრებს იმედიც ჩაუსახა - ნავს გავტეხთ, გამარჯვება დაგვრჩებაო.

მოწინავის პოზიციაზე მყოფი ესპანელისგან მოსალოდნელი იყო ისიც, რომ საწყისი წამებიდანვე უპირატესობას გაზრდიდა, ხოლო მისი პარტნიორი ჯანკარლო ფიზიკელა თანაგუნდელთან წამოწევის საშუალებას არავის მისცემდა. ანუ, იტალიელს ერთგვარი გზის ჩამკეტის ფუნქცია ექნებოდა. მოვლენები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განვითარდა. სასტარტო ვნებათაღელვამ "რენოზე" ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა. ერთადერთი მაკლარენელი კიმი რაიკონენი გახლდათ, რომელმაც მეხუთე ადგილიდან მესამეზე ანაცვლება მოასწრო. ფრანგების სტრატეგიამ კი გაამართლა - ესპანელმა სველ ტრასაზე ტიტულისთვის მოცილე შუმახერთან პირველ პიტსტოპამდე 25-წამიანი უპირატესობა მოიპოვა. აი, მერე კი მოქმედი ჩემპიონისთვის საქმეები აირია...

რაიკონენმა ფიზიკელას გაასწრო, ხოლო ალონსოს ჩამორჩენა ამ დროისთვის 25-დან 10 წამამდე შეიკვეცა. მეტიც, ფინელი გზადაგზა ესპანელთან ჩამორჩენას უფრო ამცირებდა. ამასობაში პელოტონის სიღრმიდან წინისკენ გზას იკაფავდა "ფერარის" მეორე მრბოლი ფელიპე მასა, რომელიც რბოლას ბოლო პოზიციიდან შეუდგა. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელის ბოლიდს ძირითად რბოლამდე ძრავა გამოუცვალეს, რაც ამა თუ იმ მრბოლის ბოლიდის ბოლო პოზიციაზე გამწესებით ისჯება.

პიტსტოპების პირველ ტალღას სათავე დაუდო ჯენსონ ბატონმა და გააგრძელა რაიკონენმა. ეგაა, რაიკონენს ბოლიდის გაუმართაობის გამო ხელახლა მოუწია ტრასიდან გასვლა. ფინელის იძულებითმა გზიდან გადახვევამ ხელ-ფეხი გაუხსნა მიხაელ შუმახერს, მაგრამ ალონსო იმდენად დამაჯერებლად მიიწევდა წინ, რომ გერმანელს წამოწევის საშუალება არ მისცემია. ალბათ ასეც იქნებოდა, რომ არა პიტ-სტოპზე წასული ალონსო. მაშინ, როდესაც გერმანელი ჯერაც გარდამავალი საბურავებით დააგელვებდა საკუთარ ბოლიდს, ესპანელმა მანქანას წინა რეზინები გამოუცვალა. შესაბამისმა ცვლილებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ ტრასაზე შემობრუნებული ესპანელი ძველებურად ვერ დაჯირითობდა - ტემპი დააგდო. ამასობაში ალონსოს წამოეწივნენ ფიზიკელა და შუმახერი. უფრო სწორად, წამოეწივნენ და გაუსწრეს კიდეც.

მსოფლიოს ჩემპიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ალონსომ მალევე აუღო ალღო ახალ რეზინებს. თუმცა, უპირატესობის შესანარჩუნებლად კიდევ ერთხელ მოუწია ბოქსებისკენ გადახვევა, რამაც მას ძვირფასი წამები დააკარგვინა - მექანიკოსები ალონსოს ბოლიდს თითქმის 20 წამის განმავლობაში ევლებოდნენ თავს! ტრასაზე შებრუნებულ ესპანელს ისღა დარჩენოდა მაქსიმალური სიჩქარის ზღვარზე ექროლა და დაკარგული წამები აენაზღაურებინა, რაც კარგადაც გამოსდიოდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

"რენოს" მეორე ბოლიდში მოკალათებული ჯანკარლო ფიზიკელა, მიუხედავად იმისა, რომ მძიმედ მოძრაობდა, შუმის შემოტევებს უმკლავდებოდა. ხოლო მერე, როდესაც გერმანელმა საბურავების გამოსაცვლელად ბოქსებისკენ გადაუხვია. პიტ-ლეინისკენ უმალ უხმეს ფიზიკელასაც. იტალიელის ბოლიდს იმდენად სწრაფად მოემსახურნენ, რომ ტრასაზე მიხაელზე ადრე შევიდა. ეგაა, პირველივე მოსახვევში შეცდომა დაუშვა, რითაც ისარგებლა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა და უმალ პირველ პოზიციაზეც გადაინაცვლა.

ფრანგებსაც ბევრი არ უფიქრიათ და უკვე მეორე ადგილზე მყოფ იტალიელს თანაგუნდელისთვის გზის დათმობა უბრძანეს. აშკარა იყო, რენოელები მიხაელს ველარ დაეწეოდნენ.

ერთი სიტყვით, ფინიშისკენ პირველი შუმახერი მიიწევდა, მეორეზე ალონსო და მესამეზე ფიზიკელა. რბოლაც ისე დასრულდა, რომ მოწინავეთა სამეულისთვის ხელი არავის შეუშლია. ორთაბრძოლები ქვედა პოზიციებისთვის მიმდინარეობდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "ჩინეთის დიდი პრიზის" შემდეგ მრბოლთა დავაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ფერნანდო ალონსოსა და მიხაელ შუმახერს 118-118 ქულა აქვთ. ცვილებაა კონსტრუქტორთა დავაშიც. "რენომ" "ფერარის" გაუსწრო. ფრანგებს ახლა 179 ქულა აქვთ, ხოლო იტალიელებს 178.

ერთ კვირაში "იაპონიის დიდი პრიზია".

# მადრიდში მეორედ დაბადებული

## რუუდ ვან ნისტელროის "მანჩესტერი" არ ენატრება

30 წლის ჰოლანდიელ გოლეადორს დიდი დრო არ დასჭირვებია მადრიდულ გრანდში ადაპტაციისთვის. "რეალის" თეთრი მაისურით ჩატარებულ მეორე მატჩშივე რუუდ ვან ნისტელროიმ ერთბაშად სამი გოლით "გააბედნიერა" "ლევანატე". "მანჩესტერის" ექსთავდამსხმელი ამას არ დასჯერდა და არც ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ შეხვედრაში კიევის "დინამოსთან" შეურცხვენია თავი - ამჯერად დუბლით გამოირჩა.

მაგრამ გასულ კვირას "სამეფო გუნდის" ფორვარდს სიხარულის სულ სხვა, არასაფეხბურთო მიზეზი ჰქონდა - გოგონას მამა გახდა და კიეველთა კარში გატანილი გოლებიც მეუღლესა და ახალშეძენილ პირმშოს მიუძღვნა.

"ეს იყო ყველაზე დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში. ემოციებისგან მთელი ღამე არ მეძინა", - გამოუტყდა "რეალის" ოფიციალური ვებ-გვერდის ჟურნალისტებს რუუდი.

**- კიევის "დინამოსთან" მოგება "სამეფო გუნდისთვის" მნიშვნელოვანი იყო - პირველი სამი ქულა მოიპოვეთ...**

- თითოეულ ჩვენგანს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ წინ რთული სეზონი გველის. მაგრამ თუ ბოლომდე ისეთი შემართებით ვიბრძოლებთ, როგორც "დინამოსთან", დარწმუნებული ვარ, წინ ვერავინ დაგვიდგება. "რეალი" ახლა ისეა მოტივირებული, როგორც არასდროს.

**- ძნელია 30 წლის ასაკში ახალი მოტივაციის გაჩენა?**

- არ დამიჯერებთ, მაგრამ მადრიდში 20 წლის ბიჭივით ვგრძნობ თავს. თითქოს მეორედ დავიბადე. "მანჩესტერთან" ერთად ბევრი ტიტული მოვიგე, მაგრამ "რეალთან" ერთად კიდევ უფრო ბევრის მიღწევა მინდა. ამ კლუბმა ახალი ძალები შემმატა.

**- თავდასხმაში მარტოს გირჩევნიათ თამაში თუ წყვილში?**

- "მანჩესტერში" ჩემს უკან პოლ სქოულზი გამოდიოდა, ჰოლანდიის ნაკრებში კი ძირითადად სამი ფორვარდით ვთამაშობდით. მე უფრო ცენტრფორვარდი ვარ. ამიტომ რაც შეიძლება წინწაწეულს მირჩევნია თამაში.

**- "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების შემდეგ მუდმივად ხვდებით ძირითადში. არ გეშინიათ, რომ რონალდოს დაბრუნების მერე შესაძლოა პრობლემები შეგექმნათ?**

- არ ვიცი, ეს ფაბიო კაპელოს უნდა ჰკითხოთ. "რეალი" ვარსკვლავებითაა გადაჭედილი და სკამზე ჯდომას ყველა უნდა ველოდეთ. თუმცა, ამის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება თავგამოდებით ვარჯიშია. როცა "მანჩესტერთან" კონტრაქტი გავაფორმე, ბევრი მეუბნებოდა - მწარედ ინანებო. მაშინ "ოლდ ტრეფორდზე" დუაიტ იორკი და ეშლი კოული ქმნიდნენ ბრწყინვალე ტანდემს. კიდევ სოლსკიაერიც იყო... მაგრამ მე მათ მხარდამხარ თამაში მინდოდა და, როგორც იცით, თავის დამკვიდრება არ გამჭირვებია. ასე რომ, კონკურენციის არ მეშინია.

**- მიუხედავად იმისა, რომ კიეველები 5:1 დაამარცხეთ, დაცვაში მაინც გეტყობოდათ პრობლემები...**



*ნისტელროის "რეალში" კონკურენციის არ ეშინია.*

- "დინამოს" გოლის გატანის ორი-სამი კარგი შანსი მაინც ჰქონდა. ჩვენ ძირითადად შეტევაზე ვთამაშობდით, რის გამოც მართლა ვუტოვებდით მეტოქეს ცარიელ სივრცეს. რაც შეეხება დაცვას, ჩემი აზრით, წლეულს ერთ-ერთი უძლიერესი დაცვის ხაზი გვყავს ევროპაში.

**- ლიგაზე თქვენს ანგარიშზე უკვე ორი გოლია. სეზონის ბოლოსთვის ბომბარდირობას ხომ არ გეგმავთ?**

- ერთადერთი, რასაც ვგეგმავ, "რეალთან" ერთად ლიგის მოგებაა. თუ ამას ჩემი ბომბარდირობაც დაემატება, არც ამაზე ვიტყვი უარს.

**- "მანჩესტერი" არ გენატრებათ?**

- "იუნაიტედის" სალიგო მატჩებს არ ვტოვებ. მანჩესტერში ბევრი მეგობარი მყავს და ხშირად ვეხმიანებით ერთმანეთს, რაც მონატრებას მიქარწყლებს. გულწრფელად გამიხარდა, როცა ჩემმა ყოფილმა კლუბმა "ბენფიკა" დაამარცხა.

**- რომელი მწვრთნელი გირჩევნიათ - კაპელო თუ ფერგიუსონი?**

- ორივე თანამედროვეობის უძლიერესი სპეციალისტია. ფეხბურთელებისადმი დამოკიდებულებით კი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა, მე კაპელოს უფრო კარგად შევეწყვე.

# ფინალი წავაგეთ!

## საქართველო - რუმინეთი 12:24

პოლონეთის ქალაქ სოპოტში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის მორაგბეთა ნაკრებ გუნდებს შორის. საქართველოს ნაკრებმა წარმატებით ითამაშა ტურნირი, მაგრამ ჩემპიონის ტიტულის დაცვა ვერ შეძლო და ფინალში რუმინელ თანატოლებთან დამარცხდა - 12:24.

ქართველთა 12-ვე ქულა საჯარიმო დარტყმებზე მოდის. რუმინელებმა კი ორი ლელო დაგვიდეს. თამაში უაღრესად დრამატული გამოდგა. რუმინეთის გუნდი ცდილობდა ინიციატივა მოეპოვებინა და ბოლომდე შეენარჩუნებინა. ქართველები კი ცდილობდნენ ჩამორჩენა აღმოეფხვრათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თამაშის ბოლო წუთებამდე ანგარიში იყო 17:12. უკანასკნელ წუთზე რუმინეთის გუნდმა ჩვენი გუნდის შეცდომით ისარგებლა და მატჩის დამაგვირგვინებელი ლელო გაგვიტანა.

იმედია, 7 ოქტომბერს უფროსი ბორჯღალოსნები სამაგიეროს მიუზღავენ რუმინელებს მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის მატჩში, რომელიც ბუქარესტში გაიმართება.

## მოკლედ

### კრაუჩი გაქურდეს

იმ დროს, როდესაც პიტერ კრაუჩს "ლივერპულისა" და "გალათასარაის" მატჩში ზღაპრული გოლი გაჰქონდა, მის სახლს რამდენიმე ახალგაზრდა ქურდავდა.

ბოროტმოქმედებმა "ლივერპულის" ფორვარდის სახლიდან წაიღეს ყველაფერი, რაც კი რაიმე ფასეულობას წარმოადგენდა, შემდეგ ფეხბურთელის ავეჯი დაამტვრიეს და კრაუჩის კუთვნილი მანქანით გაუჩინარდნენ. ბრიტანულმა პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება, თუმცა ბოროტმოქმედების კვალს ჯერ ვერ მიაგნო.

### სქოულზი ნაკრებში არ დაბრუნდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა პოლ სქოულზმა ინგლისის ნაკრებში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა პოლს დაბრუნება სთხოვა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო.

"მე ვთხოვე პოლს დაბრუნება, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი მივიღე. სქოულზს მხოლოდ საკლუბო ფეხბურთი აინტერესებს და ნაკრებში თამაშზე აღარ ფიქრობს", - განუცხადა მაკლარენმა ბრიტანელ ჟურნალისტებს.

ამავდროულად მაკლარენმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩებში. ნაკრებში კვლავ ვერ მოხვდა დევიდ ბექჰემი, რომლისთვისაც ნაკრების კარი ფაქტობრივად დაიხურა.

**მეკარეები:** რობინსონი, ფოსტერი, კირკლენდი

**მცველები:** გ.ნევილი, ფ.ნევილი, ბრაუნი, ტერი, ფერდინანდი, კარაგერი, კინგი, ეშლი კოული, ბრიჯი

**ნახევარმცველები:** ლამპარდი, ჯერარდი, ჯენასი, კერიკი, რიჩარდსონი, დაუნინგი, რაით-ფილიპსი, პარკერი

**თავდამსხმელები:** რუნი, კრაუჩი, ჯონსონი, დეფო

### ბექჰემი კონტრაქტს აგრძელებს

კვირის ბოლომდე დევიდ ბექჰემი უნდა შეხვდეს მადრიდის "რეალის" მესვეურებს და კონტრაქტის გაგრძელებაზე ესაუბროს. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი სეზონის ბოლომდე უნდა დარჩეს "რეალში". თუმცა ფეხბურთელსაც და კლუბსაც კონტრაქტის გაგრძელება სურთ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "რეალი" დევიდს ვერ შეელევა. აქ საქმე მხოლოდ საფეხბურთო მხარეს როდი ეხება. მოგეხსენებათ, დევიდ ბექჰემის წყალობით "სამეფო კლუბი" სოლიდურ შემოსავალს იღებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კლუბს ბექჰემის სარეკლამო შემოსავლების 50 პროცენტი ეკუთვნის.

სავარაუდოდ, "რეალი" 31 წლის ინგლისელთან კიდევ ორი წლით მაინც გააგრძელებს კონტრაქტს.

### დომენეკის არჩევანი

ოქტომბერში საფრანგეთის ნაკრები შესარჩევი ციკლის კიდევ ორ მატჩს გამართავს. დომენეკის გუნდი ჯერ შოტლანდიელებს ეთამაშება, შემდეგ კი - ფარერის კუნძულების ნაკრებ გუნდს. რაიმონ დომენეკმა ამ ორ მატჩზე შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა.

**მეკარეები:** გრეგორი კუპე, მიკაელ ლანდრო

**მცველები:** ლილიან ტურამი, უილიამ გალასი, ვილი სანიოლი, ერიკ აბიდალი, ჟან-ალან ბუმსონგი, ჟულიენ ესკუდე, ფრანსიოს კლერი

**ნახევარმცველები:** კლოდ მაკელელე, ჟერემი ტულალანი, პატრიკ ვიეირა, ალოუ დიარა

**თავდამსხმელები:** ფრენკ რიბერი, ტიერი ანრი, ლუის საა, სიდნი გოვუ, სილვენ ვილტორი, დავიდ ტრეზეგე, ფლორენ მალუდა

### საოცარი კონტრაქტი

"არსენალის" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა "მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს საოცარი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის თანახმადაც ფრანგი სპეციალისტი სიცოცხლის ბოლომდე დარჩება კლუბში და "არსენალის" მწვრთნელი იქნება.

"სანამ ვენგერს მწვრთნელობა სურს, ის "არსენალის" მწვრთნელი იქნება. ხოლო თუ სამწრთნელო კარიერას დაასრულებს, გუნდში ნებისმიერ პოსტს შევთავაზებთ", - აცხადებს დინი.

შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ შესრულდა 10 წელი, რაც ვენგერი "არსენალში" მუშაობს.

### მარკესი ესპანელია

"ბარსელონას" მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი ამიერიდან ესპანურ კლუბში ლეგიონერად აღარ ჩაითვლება. მარკესმა უკვე სამი სეზონი გაატარა ესპანეთში და მას ქვეყნის მოქალაქეობაც მისცეს. ამჟამად კატალონიურ კლუბში მხოლოდ ორი ფეხბურთელია, რომლებსაც ევროპული პასპორტი არ გააჩნიათ - სამუელ ეტოო და რონალდინიო.

### სკოლარიმ ნაკრები დაასახელა

პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელმა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პორტუგალიის ნაკრების ორ უახლოეს მატჩში. შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში პორტუგალიელები ჯერ აზერბაიჯანის ნაკრებს უპირისპირდებიან, შემდეგ კი - პოლონელებს.

**მეკარეები:** რიკარდო პერეირა, კიმ სილვა

**მცველები:** პაულო ფერეირა, მიგელ მონტეირო, რიკარდუ კარვალიუ, ფერნანდუ მეირა, მარკო კანეირა, ნუნუ ვალენტე, ხოსე ანტონიო, რიკარდო როჩა, მიგელ დე ლა კოშტა

**ნახევარმცველები:** არმანდო პეტიტი, კოშტინია, ტიაგუ მენდეში, მანიშე, დეკუ, კრიშტიანუ რონალდუ

**თავდამსხმელები:** ელდერ პოშტიგა, ნუნუ გომეში, ნანი, სიმაო, უგო ალმეიდა

### ალონსოს პოპულარობა არ სჭირდება

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ განაცხადა, რომ სანამ იმარჯვებს, სულ არ აღელვებს, რას ფიქრობენ მასზე გულშემატკივრები.

საქმე ის არის, რომ ორიოდე დღის წინ ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმად მიხაელ შუმახერი ოთხჯერ უფრო პოპულარულია, ვიდრე ფერნანდო ალონსო.

"მე არ მაინტერესებს პოპულარობა. ჩემი სურვილია მონაწილეობა მივიღო რბოლაში და მოვიგო. სულ ერთია, რას ფიქრობენ ჩემზე, მთავარია ჩემპიონის ტიტული შევინარჩუნო და თუგინდ ქუჩაში რომ გავალ, ვერავინ მიცნოს", - აცხადებს ალონსო.

### არმია დააჯარიმეს

გულშემატკივართა ხულიგნობის გამო რუსეთის საფეხბურთო ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი 30 000 რუბლით დააჯარიმა. ინციდენტი "ცსკა"-"ლოკომოტივის" მატჩის დროს მოხდა. მას შემდეგ, რაც მოსკოვში არმიელთა გულშემატკივრებმა გერმანელი ფანები გალახეს, გაზაევის გუნდი შესაძლოა უეფამაც დასაჯოს.

### მილიარდი მუნდიალისთვის

მოგეხსენებათ, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. ამ ქვეყანაში უკვე დაიწყო მზადება მუნდიალისთვის. საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, მხოლოდ სტადიონების რეკონსტრუქცია მილიარდ დოლარამდე დაჯდება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკას ფინანსურად საკმაოდ სოლიდურ დახმარებას ფიფაც გაუწევს.

### "მანჩესტერს" ცოდვები გაუხსენეს

ბრიტანეთში მიმდინარე საფეხბურთო სკანდალს, შესაძლოა, "მანჩესტერი" შეეწიროს. დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ აღმოაჩინა, რომ მანკუნიანელთა სატრანსფერო საქმიანობა მთლად კანონის ფარგლებში არ ჯდება. მაგალითად, ლუის საას ტრანსფერი კანონის უხეში დარღვევებით მომხდარა.

"მანჩესტერის" ხელმძღვანელებმა უკვე გადასცეს საგამოძიებო კომისიას ამ ტრანსფერთან დაკავშირებით არსებული ყველა დოკუმენტი. საბოლოო დასკვნას ალბათ მომავალ კვირაში შევიტყობთ.

# ქართველები ბიენალეზე

ლენა კილაძე

ნაციონალური პავილიონები ვენეციის ბიენალეზე XX საუკუნის დასაწყისიდან არსებობს. ერთ-ერთი პირველი ბელგიელების იყო. რუსებს პავილიონი 1914 წლიდან აქვთ და იგი შჩუსევის პროექტით აიგო. საინტერესოა იტალიის, საბერძნეთის, დანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, აშშ-ს პავილიონები (ჩამონათვალი გრძელია). ქვეყნები, რომელთაც თავისი პავილიონი არა აქვთ, ფართს არსენალეზე, ნაციონალურ პავილიონებში და საერთოდ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ქირაობენ. ქართველებს პავილიონი არა აქვთ და მონაწილეობის ისტორიაც ხანგრძლივი როდია. წელს პირველი წელია, როდესაც ბიენალეზე ქართველთა გამოფენა შედარებით დიდი, 23-კაციანი ჯგუფით იყო წარმოდგენილი.

ქართველები ვენეციის ბიენალეზე სან მარკოს მოედანთან ახლოს, სან გალოს პატარა, ძველ ეკლესიაში იყვნენ გამოფენილი. გამოფენის გახსნა ბიენალეს ოფიციალურ გახსნამდე ერთი დღით ადრე იყო დაგეგმილი. გამოფენის გახსნას საქართველოს ელჩი იტალიაში, ბატონი ზაალ გოქსაძე და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართული არქიტექტურის წინაშე ბევრი პრობლემა იდგა და დგას. ყველაზე მთავარი, რასაც დღეს ქართველი არქიტექტორები ცდილობენ, ესაა ინტეგრაცია მოახდინონ დასავლეთის კულტურულ (და არქიტექტურულ) სივრცესთან. ეს მარტივი პროცესი როდია, რადგან წლების განმავლობაში თანამედროვე ხელოვნებისა და არქიტექტურის შესახებ ცოდნა ჩვენთან გარკვეულ ტაბუს უკავშირდებოდა. შემდეგ ეს ბარიერი თითქოს დაირღვა, მაგრამ კვლავ დარჩა დიდი ნიშა, რომელიც შევსებას ითხოვს. ამას კი მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე მცირე კულტურების იდენტიფიკაციის პრობლემაც დაემატა.

ქართველთა გამოფენას, რომელიც ბიენალეზე საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა წარადგინა, ერთი თემა არ აერთიანებდა. ეს იყო ერთგვარი კალეიდოსკოპი, რომელშიც დღეს მიმდინარე არქიტექტურული პროცესები აისახა:

**დათო აბულაძეს** (კომპანია David and Company) საცხოვრებელი სახლების პროექტები ჰქონდა გამოტანილი ფალიაშვილზე და რაზმაძეზე, **კახა ქორიძეს** - ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციის კონცეფცია და ნაციონალური ერთიანობის მემორიალი რუსთაველზე, **გოგა ბერიძეს** - სპორტის სასახლის პროექტი, **კომპანია იბერია** (გოჩა მიქიაშვილი ბესო ტატიშვილი, დათო ჩიქოვანი, გივი შავდია) ბაგების საცხოვრებლის კომპლექსით იყო წარმოდგენილი, **კიდ არქიტექტურა** - უახლესი ნამუშევრებით: საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი უბნების პროექტებით - საბურთალოს ფიჭვნარი, ვილა ვაკე და საპატრიარქოს თეოლოგიური სემინარიის პროექტი, **გივი და ვასილ ქობულიები** - კერძო საცხოვრებელი სახლებით, **ამირან პატარქალაშვილი** - საპროექტო წინადადებით თბილისისა და კვარიათისათვის, **დიმა მამაცაშვილს** და **ირაკლი ვაჩეიშვილს** რიყის განვითარების ქალაქგეგმარებითი კონცეფცია ჰქონდათ გამოტანილი, **მერაბ გაგნიძეს** - საცხოვრებელი სახლების, კომერციული ცენტრისა და ეკლესიის პროექტები, **ნინო ცომაიასა და ნოდარ ირემაშვილს** - სასტუმროებისა და სკოლის პროექტები, **ჯგუფ დელტაპროექტს** - "ლოკომოტივის" სტადიონი, სადგური ბათუმში და ეკლესია რუსთავში, **გოგი კვიწინაშვილს** - ჯგუფი გობაკო - ფეხბურთის ფედერაციის შენობა და ოფისი ხეთაგუროვზე,

**ჯგუფ არქიმედიას** - თბილისში, ბუხაიძის ტერიტორიის ურბანული განვითარების კონცეფცია და კახეთში, სოფელ არტანას პროექტი, ჯგუფ **არკადიას** (თენგიზ გოგოლაშვილი, ზურაბ მათიაშვილი, გიორგი წანაწყენაშვილის პროექტი) მრავალფუნქციური ცენტრის პროექტი.

ქართველი არქიტექტორები თავის ემოციებს არ მალავდნენ, იყო ღელვა, სიხარული, შთაბეჭდილებების გაცვლა, პრობლემათა ანალიზი და კრიტიკული სურვილიც შემდგომი გამოფენებისთვის უფრო სერიოზული მომზადებისთვის:

**ზაალ გოქსაძე** (საქართველოს ელჩი იტალიაში): "ბიენალე საერთოდ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა - არქიტექტორების მთავარი ფორუმია მთელ მსოფლიოში. მით უმეტეს, ეს მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როდესაც ჩვენ პირველად ვიღებთ მონაწილეობას ამ ფორუმში ასე ფართოდ. იმედი მაქვს, ეს მონაწილეობა კიდევ უფრო გაფართოვდება, კიდევ უფრო მასობრივი გახდება და ჩვენ ვიქცევით ბიენალეს მუდმივ მონაწილედ. შეიძლება მომავალში გამოფენა ბიენალეს ძირითად საგამოფენო სივრცეში - არსენალეზე ან ჟარდინიშიც გვქონდეს, ან საერთოდ საკუთარ პავილიონზე ვიფიქროთ, თუმცა ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული".

**გივი ქობულია** (არქიტექტორი): "ახლა მივხვდი, რატომ არის ეს ბიენალე ჩემთვის მნიშვნელოვანი. სწორების ხაზი დავინახე. დავინახე, თუ სად არის საერთაშორისო დონე. კარგია, ეს რომ იცი. დანარჩენი ალბათ ჩვენზეა, თუ როგორ ვივლით, რომ ოდესმე ამ ხაზს მივუახლოვდეთ. შემდგომისთვის უფრო სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, რომ საერთაშორისო დონეს მივუახლოვდეთ. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია, თუ არ იქნება სერიოზული დახმარება. აქ, იტალიაში, ბიენალეს საკითხი სახელმწიფო დონეზე დგას. თუ არ იქნება სერიოზული დახმარება, არც სერიოზული შედეგი იქნება."


ქართველი არქიტექტორები ვენეციის ბიენალეზე.

**დათო აბულაძე** (არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე): "ბედნიერი ვარ, რომ ამდენ ჩემს კოლეგას ვხედავ აქ, ამ გამოფენაზე. არქიტექტორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ბიენალე. ვენეციის ბიენალე მსოფლიო არქიტექტურის ოსკარად აღიარებული მოვლენაა. ამაში არც თბილისში მეპარებოდა ეჭვი. აქ არ არის ლაპარაკი გამოფენის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე. ჩემთვის წარმატებაა, რომ ამდენი ქართველი არქიტექტორი მონაწილეობს ამ ბიენალეში, რომელშიც 50 ქვეყანა, მათი ტენდენციები და ინოვაციებია წარმოდგენილი. ეს ახალი იმპულსია შემოქმედებისთვის. ეს ჩვენი ქვეყნის სახეა. მართალია, ბიენალეს ექსპოზიცია, მისი წარმოჩინება არ არის იმ ენაზე, რომელზეც ჩვენ დღეს ვსაუბრობთ საქართველოში. ზოგადად ხელოვნებაში მატულობს ექსპოზიციის თეატრალიზება - არქიტექტურის სულ სხვა ენით წარმოჩინება. შემდგომში ალბათ ჩვენც ამ ენაზე ვისაუბრებთ. მინდა, რომ ამ ჩვენმა ძალისხმევამ უკვალოდ არ ჩაიაროს. არქიტექტურა არ არის ის, რასაც დახატავ. ის დამკვეთზე, სახელმწიფოზეა დამოკიდებული".

**გოჩა მიქიაშვილი** (არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საპროექტო ჯგუფი "იბერია"): "გამოფენა, რომელიც აქ წარმოვადგინეთ, მცდელობაა ფართო სპექტრით გვეჩვენებინა, თუ რა ხდება საქართველოს არქიტექტურაში დღეს, თანამედროვე ეტაპზე. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: როგორც ჩვენი ქვეყანა, რომელიც თავისი ეკონომიკური განვითარებით სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალ დონეზეა, ასევეა ჩვენი პავილიონიც. ჩვენ მხოლოდ გეზს ვიღებთ. არქიტექტურა არ არის მარტო ნიჭიერი ადამიანის მუზის ნაყოფი. ესაა მთელი ეკონომიკისა და ამ ნიჭის შერწყმა, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ისეთ დონეზე არ არის. მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია და იმედი მაქვს, შემდგომი ნაბიჯი უფრო წარმატებული და უფრო დაახლოებული იქნება მსოფლიო ტენდენციებთან".

**ნინო ცომაია**: "ჩვენ პირველად ვართ იტალიაში ასეთ გამოფენაზე. ჩემი თაობის არქიტექტორისთვის ეს პრესტიჟია. გვიხარია, რომ დაფასდა ჩვენი შრომა. ჩვენი გამოფენის მთავარი მნიშვნელობა ალბათ ის არის, რომ მონაწილეობას ვიღებთ მსოფლიოში ცნობილ არქიტექტორებთან ერთად. ვფიქრობ, ეს ბიენალე საეტაპო მოვლენად იქცევა ჩვენს არქიტექტურაში. მინდა დღევანდელი სიხარული და სიამაყის გრძნობა მომდევნო თაობებს გავუზიარო".

**არჩილ მიკუჭაძე** (არქიტექტორი, ჯგუფი "არქიმედია"): "სასიამოვნოა, რომ ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენთვის ეს არის ერთგვარი სტიმული. სურვილი გაგვიჩნდა, რომ შემდგომში უფრო მომზადებული და მობილიზებული ვიყოთ. რაც შეეხება საერთო გამოფენას, ვფიქრობ, ის მხოლოდ პროფესიონალებისთვისაა, რადგან ბევრი რამ რიგითი დამთვალიერებლისთვის ძნელი აღსაქმელი იქნება".

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბიენალე მართლაც ერთგვარ ეტაპად იქცევა და კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება თანამედროვე დასავლურ კულტურასთან ინტეგრაციის გზაზე.


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით (40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


# წარსულსა და აწმყოს შორის გრანტებია

## გენდერული პრობლემები და ქართველი ქალები

*მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ერთადერთი დასვენების დღე იყო შაბათი, მოვლენის სათაურმა ისე დამაინტრიგა, ვერ გავძელი არ მივსულიყავი. "ქალი და ხელოვნება" - სწორედ ასე ეწერა მოსაწვევის გარეკანზე, რომელიც წინამძღვრიშვილის ქუჩაზე უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციის "ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ქართული ფილიალის ღონისძიებაზე მეპატიჟებოდა.*

სოფო კილასონია

"ქალთა საინფორმაციო ცენტრი", რომლის ძირითადი ადგილსამყოფელი ინტერნეტ საიტი www.ginsc.net აღმოჩნდა, ძირითადად ქალთა და გენდერულ პრობლემებზე მუშაობს. "გენდერული შემოტევა", რომელიც თბილისში სულ უახლოეს წარსულში გადავიტანეთ, ეტყობა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გამოფენებისა და აქციების სტადია განვლილია, თუმცა ქალთა პრობლემების გადაჭრის სურვილი გარკვეული ორგანიზაციების ამოუწურავ ამოცანად ქცეულა. თანაც, ძალზე სარფიან ამოცანად.

ერთია მხოლოდ: დასავლური მზა პროგრამები ყოველთვის ვერ ერგება ქართულ ვერსიას. ქალი ქალიაო - იტყვიან, მაგრამ ყველა, ვინც გასულ შაბათს წინამძღვრიშვილზე იმ კრებაზე მოხვდებოდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, რომ საბჭოთა პერიოდის ადამიანი, ამ შემთხვევაში ქალი, სულაც არ არის ისეთი, როგორიც ყველა სხვა. მაგრამ რას ვიზამთ. მთავარია გრანტები იყოს, პროექტების ეფექტურობასა და მოქმედების რეალურ მიზნებს ვინ უყურებს?!

"ქალი და ხელოვნება" ეს "ქალთა საინფორმაციო ცენტრისა" და, შესაბამისად, მისი პორტალის ახალი პროექტია, რომლის ერთადერთი მიზანი, მათივე თქმით, ხელოვან ქალთა, კონკრეტულად მწერალ ქალბატონთა შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მათი დახმარება იქნება. აქ სულაც არ იგულისხმება ნივთიერი თუ მატერიალური დახმარება. ჩემს ამ აღნიშვნაში აშკარად ჩანს რაღაც უტაქტოდ მიწიერი ამოსავალი წერტილი. მაგრამ რა ჩემი ბრალია, შეკრებილთა უმრავლესობას, ქალბატონებს (საზოგადოება ძირითადად მწერალთა კავშირის წევრებს აერთიანებს) უპირველეს პრობლემად მხოლოდ მათი "უპატრონობა" ესახებათ, განსჯის საგანი კი, რაღა თქმა უნდა, ის გახლდათ, რომ მათი კავშირი უსახსრო იყო, არის და, სამწუხაროდ, იქნება კიდეც.

რა თქმა უნდა, იყო ნაკლებად "საკავშირო" პოლემიკა. ბევრად უფრო კონკრეტული და პირადიც. თუმცა მწერალი რისი მწერალია, თუ მისი პირადი საზოგადო არ გახდება. მაგალითად, ის, თუ როგორ დაიჩაგრნენ ჯერ კიდევ კომკავშირში და მას შემდეგ, რა ბედი ეწიათ თბილისის ომის დროს, ვინ ვისი მხარი დაიჭირა და ვინ ვის ამოეფარა. ამ დროს მოაგონდათ რაღაც სიები, რაღაც ხელმოწერები, "ვიღაცისტობა" და საბოლოოდ დანგრეული ქვეყანა, დანგრეული მათი კარიერა.

მონოლოგები დიდი იყო, თუმცა არც ქალბატონთა მიერ ჩუმად ნათქვამი, ოდნავ აღშფოთებული, ოდნავ გაკვირვებული, კითხვის ნიშნით დასრულებული ფრაზები ყოფილა ჩემთვის ნაკლებად საყურადღებო: "და მაინც, რა უნდათ, ვინ არიან და როგორ უნდა დაგვეხმარონ?"

"ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ქართველი წარმომადგენლები, მონდომებული და ენთუზიაზმით აღსავსე გოგონები მკაფიოდ ამბობდნენ, რომ მათი მიზანი ქართველი მწერალი ქალბატონების პოპულარიზაცია და მათ შესახებ ინტერნეტში ინფორმაციის განთავსებაა. თუმცა ყველასთვის ნათელი მაინც არ გამხდარა, ამ ყველაფერში სად იმალებოდა "გამოსავალი".

ჩვენი მწერლების პრობლემები და მათი ხედვა ჯერ კიდევ წარსულით ცოცხლობს. ამიტომაც დარბაზში დავა და ცხარე პოლემიკა სრულიად შორეულ და უადგილო თემებზე არ დასრულებულა. იმ დღეს ნამდვილად უადგილო იყო ის ლოგოები და იმიჯები, რომელიც ამ საზოგადოების ატრიბუტებად ქცეულა - თვინიერი ძაღლები და მოღიმარი ფერადი ჩანახატები.

სანამ გემრიელი ფურშეტი დაიწყებოდა, შეხვედრა დავტოვე, თუმცა ჩემი იქ ყოფნა ერთ-ერთი გამომსვლელის ტექსტმა მაინც გაახანგრძლივა. მწერალი და მთარგმნელი ზაირა სამხარაძე ათეულობით წლებია რუმინეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ის ერთადერთი იყო, ვინც შეხვედრისა და კოლეგების თაობაზე კრიტიკული იყო: "ჩვენ აღარ უნდა ვსაუბრობდეთ საბჭოთა პერიოდზე, კოლეგებო", - ასე დაიწყო, მაგრამ იქვე მიაძახეს, არ შეგვიძლიაო.

დარწმუნებული ვარ, გენდერული პრობლემებით გატაცებული საზოგადოების ქართული ფილიალი სრულიად განსხვავებული ფორმატის შეხვედრას გეგმავდა. მაგრამ სხვაგვარი შეუძლებელი იქნებოდა. ორგანიზატორებს ან მისამართი ეშლებათ, ან პროექტია ხელახლა მოსარგები ქართულ წარსულსა და დღევანდელობას. ჩვენ ხომ იმდენი ძველი, მაგრამ მაინც მოუნელებელი ტკივილი დაგვრჩა... აბა მათ რა გამოლევს?


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### ცვლილება სატენდერო განცხადების ტექსტში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" (N205) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, აგრეთვე, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამის, "მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების" ქვეპროგრამის ასიგნების ფარგლებში, ელექტროსაქონელის შეძენის მიზნით, გამოცხადებულ სატენდერო განცხადების ტექსტში შევიდა ცვლილება, კერძოდ, ელექტროსაქონლის ჩამონათვალს დაემატა ერთი ლოტი, VII ლოტი - ფოტოაპარატი - 2 ცალი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

## გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## TBC Cosmo – საჩუქარი ქალებს "თიბისი ბანკისა" და Cosmopolitan-ზან

TBC Cosmo მხოლოდ ქალბატონებისთვის განკუთვნილი პლასტიკური ბარათია. მისი დანერგვა 21 ოქტომბრიდან დაიწყება. TBC Cosmo მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს სპეციალური ფასდაკლებებით პარფიუმერიის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სპორტული, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და სხვა მაღაზიებში, ასევე რესტორნებში, სილამაზის სალონებში, გასართობ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და სამედიცინო ცენტრებში, რომელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. დღეისათვის კი მათი რიცხვი ოცდაერთს შეადგენს: მაღაზია "ჯინსები", მაღაზიათა ქსელი "სპორტის სამყარო", ჰიპერმარკეტი "გუდვილი", სილამაზის სალონი "ვიზაჟი", სათვალეების მაღაზია "რონიკო", ძვირფასეულობათა მაღაზია "ბაკარა", პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი "ვულე ვუ", აკვაპარკი, საათების მაღაზია "სვოჩი" და "არტ თაიმი", კინოთეატრი "რუსთაველი", ყვავილების მაღაზია "ჰერბარიუმი", საცურაო აუზი "ლაგუნა ვერე", კინოთეატრი "ამირანი", ავეჯის სალონი "ვალენტინი", საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზია "მეგა ტექნიკა", იტალიური ფეხსაცმლის მაღაზია "ენცო დონინი", მაღაზია "ლაკოსტა".

ყველა ამ ობიექტში TBC Cosmo-ს ბარათით გადახდილი თანხის 3-დან 15 პროცენტამდე მეორე დღესვე დაუბრუნდება მომხმარებელს ანგარიშზე, რის შესახებაც გარიგების მომენტში კლიენტს ეცნობება სმს-ის საშუალებით.

TBC Cosmo ვიზა ბარათის ყველა ფუნქციით აღჭურვილი პლასტიკური ბარათია (ჩიპური VISA Electron და ჩიპური VISA Classic). TBC Cosmo-ს მფლობელს შეეძლება, უსაფრთხოდ და კომფორტულად განკარგოს თანხები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამასთან, ბარათის მფლობელი ისარგებლებს გარკვეული შეღავათებით "თიბისი ბანკის" სხვადასხვა მომსახურებაზე და ექსკლუზიური პირობებით "ჯიპიაი ჰოლდინგისგან".

ბარათის შეძენა შესაძლებელი იქნება ოქტომბრის ბოლოდან, "თიბისი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში. ხოლო მათ, ვისაც სურთ, რომ აღმოჩნდნენ TBC Cosmo-ს მფლობელ პირველ ქალბატონთა შორის, უნდა ეწვიონ "თიბისი ბანკის" ინტერნეტ-გვერდს www.tbcbank.ge, შეავსონ განაცხადი და ისარგებლონ ბარათის ღირებულებაზე 50-პროცენტიანი ფასდაკლებით.

"თიბისი ბანკმა" და ჟურნალმა COSMOPOLITAN-ი ბარათის დიზაინები ქართველი ქალბატონების მოთხოვნების გათვალისწინებით შეარჩია. საბოლოო ოთხი ვარიანტიდან კი მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი გემოვნებით შეარჩიოს ერთ-ერთი.

**24 საათი**

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2933 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9812 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4725 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7355 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8106 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1237 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2946 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3027 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1970 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4045 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3338 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1585 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1470 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2400 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1886 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2473 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4036 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5561 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1440 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3958 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3128 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2666 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5510 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5830 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0648 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0943 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4549 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5128 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4119 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4517 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8038 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0019 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1365 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4411 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2372 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3854 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2228 |




# ENERGO-PRO და საქართველოს მთავრობა მიმდინარე კვირას ოფიციალურად გარიგდებიან

## აცხადებს ENERGO-PRO-ს დირექტორთა საბჭოს წევრი

დიანა ჩაჩუა

*"24 საათის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ENERGO-PRO-ს საქართველოდან შესაძლო წასვლის შესახებ, უმალ მოჰყვა უარმყოფელი განცხადებები. მათ შორის, ენერგეტიკის სამინისტროდან. "24 საათი" შეეცადა, თავად ENERGO-PRO-სგან მოეპოვებინა კომენტარი და რადგან ამ ინფორმაციის მიღება თბილისში შეუძლებელი გახდა, გაზეთი ჩეხეთში კომპანიის მთავარ ოფისს დაუკავშირდა. როგორც "24 საათს" ENERGO-PRO a.s.-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა იური კრუშინამ განუცხადა, ხელშეკრულების გაფორმებას არაფერი ემუქრება და მას დაახლოებით 5 ოქტომბერს მოეწერება ხელი. ცნობისათვის, 5 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. ეს ისე, ცნობისთვის და სხვა არაფერი...*



B2

# თანამედროვე ბისმარკები

თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

### კერკორიანის განზრახვა დიდ გარიგებას აახლოებს

*გასულ კვირას მთელი საქმიანი მსოფლიო მოირბინა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ცნობილი ინვესტორი კერკ კერკორიანი "ჯენერალ მოტორზის" დამატებითი აქციების შესყიდვას აპირებს. მილიარდერი უკვე აკონტროლებს ამერიკული ავტოგიგანტის 9,9 პროცენტს და ახლა ცდილობს, თავისი წილი კიდევ უფრო გაზარდოს. ამ ნაბიჯის უკან, წესით, "ჯენერალ მოტორზის" "რენოსა" და "ნისანთან" შესაძლო გარიგების პერსპექტივა უნდა იდგეს, რომელზე საუბარიც ამ ორიოდე თვის წინ დაიწყო. კერძოდ, გაჩნდა ინფორმაცია, რომ "რენოსა" და "ნისანის" ალიანსი ("რენო" - "ნისანის" 44%-ს, "ნისანი" კი "რენოს" 15%-ს ფლობს) "ჯენერალ მოტორზის" 20-პროცენტიანი წილის შესყიდვას აპირებს. გაჩნდა ასევე ინფორმაცია, რომ "ჯენერალ მოტორზი" გარიგებაზე თანახმა იყო. მაგრამ შემდეგ ამ თემაზე აღარანაირი საიხლეები აღარ ყოფილა. კერკორიანის ზემოხსენებული განზრახვა შეიძლება სწორედ იმაზე მიუთითებდეს, რომ გარიგება ახლოსაა და შორსმჭვრეტელი ინვესტორი ახლა "ჯენერალ მოტორზის" აქციებს ამრავლებს - ახლა ეს გაცილებით უფრო იაფია, რადგან კომპანია გვარიან წაგებას ნახულობს და აქციების ფასიც მკვეთრადაა დავარდნილი. "ნისანსა" და "რენოსთან" გარიგების შემთხვევაში კი აქციები აუცილებლად აიწევს.*

- სტაბფონდის ხარჯვის დრო მოდის?
- ბისმარკის თამაშის ევრაზიული მცდელობები



*სამეულის შეხვედრა.*

B4

# კომპიუტერული მაგი

## მაიკლ დელმა ჰენრი ფორდის საქმე გააგრძელა

გოჩა ქიმუცაძე

*მაიკლ დელმა პირველმა დაიწყო კომპიუტერების კონკრეტული შემკვეთის სურვილის მიხედვით აწყობა, და იგი ჭეშმარიტად პერსონალურად აქცია. ამით მისი კომპანია საყოველთაოდ ცნობილი, თავად დელი კი ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა. გასული წლის მონაცემების მიხედვით, კომპანია Dell Computer-ი თავისი სფეროს ერთ-ერთი და პერსონალური კომპიუტერების ბაზრის უდავო ლიდერი გახლავთ. განთქმული ჟურნალის Forbes-ის მონაცემების მიხედვით, შარშან Dell Computer-ის კაპიტალიზაციამ 69,05 მილიარდი დოლარი, მოგებამ კი 55,91 მილიარდი დოლარი შეადგინა. თავად მაიკლ დელის კაპიტალი 17,1 მილიარდი დოლარი გახლავთ და იგი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში მეთორმეტე ადგილზეა.*



- საქმიანი ბიჭუნა
- მყიდველთა სურვილის მიხედვით
- ტრიუმფატორი



B3

# გერმანული Heidelberg Cement-ის ამბიციები საქართველოში

## ცემენტო-ბეტონის ქარხნების ბუმი დასავლეთ საქართველოში

მარიამ ჭაჭავაძე

*"ქართული ცემენტი" გერმანელ პარტნიორებთან, Heidelberg Cement-თან ერთად, ცემენტისა და ბეტონის ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი საწარმოს მშენებლობას იწყებს. ქარხანა, რომლის დასრულება 2008 წლის ბოლომდე არის დაგეგმილი, თერჯოლაში განლაგდება და მასზე დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯება. აქ მოსამზადებელი სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება, საწარმოში კი, როგორც ინვესტორები ამბობენ, 100-150 ადამიანი დასაქმდება. მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ერთი-ორად გაიზრდება, როცა ახალი საწარმო "დაიქოქება".*

შპს-მ "ქართული ცემენტი" თერჯოლის რაიონში მდებარე კირქვის, ქვიშა-ღორღის და თიხის კარიერებიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან რამდენიმე თვის წინ მიიღო.

ხსენებულ ლიცენზიაზე აუქციონი ივლისში ჩატარდა და მასში მონაწილეობას, "ქართული ცემენტის" გარდა, ორი სხვა კომპანიაც ღებულობდა. სამივეს დაინტერესება იმდენად მაღალი იყო, რომ ლიცენზიის საწყისი ფასი - 1 მილიონ 300 ათასი, აუქციონის მიმდინარეობის დროს 47 მილიონ ლარამდე გაიზარდა. სწორედ ეს თანხა გადაიხადა "ქართულმა ცემენტმა" ლიცენზიაში, რომელიც კომპანიას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა საზეიმოდ, ორი დღის წინ, თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში გადასცა.

საბადოების გახსნას, დამუშავებას და ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის აგებას ინვესტორები წლის ბოლომდე დაიწყებენ. "ქარხნის მშენებლობამდე აქ უნდა ჩატარდეს სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები, რაც 1 წელიწადზე მეტ დროს წაგვართმევს. ამ სამუშაოების დასრულებისთანავე დავიწყებთ ცემენტისა და ბეტონის გადამამუშავებელი ნედლეულის საწარმოს მშებლობას, რომელიც 1 წელიწადზე ნაკლებ დროში დასრულდება," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პაატა გოგოლაძემ, "ქართული ცემენტის" გენერალურმა დირექტორმა. მისივე ინფორმაციით, საწყის ეტაპზე აქ 15-მილიონიანი ინვესტიცია განხორციელდება, რასაც მომავალში კიდევ 15 მილიონი აშშ დოლარი დაემატება.

როგორც "ქართული ცემენტის" გენერალური დირექტორი ამბობს, ახალი საწარმოს წარმადობა ბევრად მეტი იქნება, ვიდრე დღეს არსებული ცემენტო-ბეტონის გადამამუშავებელი კვანძები - მათი საშუალო სიმძლავრე საათში 20-30 კუბურ მეტრს არ აღემატება. "ასეთი დაბალი სიმძლავრის გამო, გამოშვებულ პროდუქციაზე ერთგვაროვანი ხარისხის მიღწევა ძალიან რთულია. დაბალი წარმადობის გამო, პროდუქციის ღირებულებაც შედარებით მაღალია. 1 კუბური მეტრის გასაყიდი ფასი დღეს არანაკლებ 90 აშშ დოლარია. საწყის ეტაპზე ჩვენ ვგეგმავთ საათში 200 კუბური მეტრი პროდუქციის წარმოებას, რაც თავის მხრივ, დღეს არსებულ ფასს მკვეთრად შეამცირებს," - აღნიშნა პაატა გოგოლაძემ. მისივე ინფორმაციით, თერჯოლის ქარხანა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, რომლის ანალოგი საქართველოში ჯერჯერობით არ მოიპოვება.

ყველაფერ ამის მიღწევა "ქართულ ცემენტს" გერმანელ პარტნიორებთან, HEIDELBERG CEMENT-თან ერთად აქვს დაგეგმილი. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი "ქართული ცემენტის" ერთ-ერთი დამფუძნებელია და მსოფლიოში ცნობილია, როგორც ცემენტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი. HEIDELBERG CEMENT-ის წლიური ბრუნვა 14 მილიარდ ევროს შეადგენს. საწარმოში დასაქმებული ადამიანების პროფესიულ გადამზადებას თავად გერმანული კომპანია უზრუნველყოფს, მისივე ჯგუფის სხვადასხვა საწარმოებში.

HEIDELBERG CEMENT-ი, თერჯოლის ქარხნის გარდა, საქართველოში კიდევ რამდენიმე საწარმოს მშებლობას აპირებს. იმ ამბიციური გეგმის თანახმად, რომელიც გერმანულ კომპანიას ამ დროისთვის გააჩნია, 2011 წლამდე დასავლეთ საქართველოში 2-3 უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ბეტონის ქარხანა უნდა აშენდეს. "თითოეულ მათგანში შესაძლებელი იქნება 50-მდე ადამიანის მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმება და თითოეული საწარმოდან არანაკლებ 2-3 მილიონი ლარის შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად. ამ ქარხნების მიერ წარმოებული მაღალხარისხოვანი ბეტონის გამოყენება დაგეგმილია საქართველოში მიმდინარე, ავტობანის მშენებლობაზე," - ნათქვამია გერმანული კომპანიის, ქართველი პარტნიორების მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

თერჯოლის ქარხნის პროდუქტის ერთ-ერთი მომხმარებელი რუსთავში მდებარე ცემენტის ქარხანა იქნება, რომლის მფლობელი "ქართული ცემენტია". ამ საწარმოს მშენებლობა ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს და ის მზად 2007 წლის ბოლოს იქნება. პაატა გოგოლაძის ინფორმაციით, თავდაპირველად ცემენტის ქარხნის წარმადობა წელიწადში 600 ათასი ტონა იქნება, თუმცა მომდევნო ერთ წელიწადში ეს მაჩვენებელი 1 მილიონამდე გაიზრდება. საწარმოში საბოლოოდ დაახლოებით 70 მილიონლარიანი ინვესტიცია განხორციელდება.

## "თუჯი XXI"-ის აღდგენა და რეკონსტრუქცია წლის ბოლომდე დასრულდება

2006 წლის ბოლობდე რუსთავში დასრულდება საწარმოს "თუჯი XXI" აღდგენა და რეკონსტრუქცია, რომელიც ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო აღარ ფუნქციონირებდა. როგორც "თუჯი XXI"-ის გენერალური დირექტორი გელა ბიწაძე განმარტავს, საწარმოს აღდგენა წლის ბოლომდე მოხერხდება, ხოლო ნედლეულის გამოშვებას 2007 წლის ბოლოდან დაიწყებს.

"საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ პროდუქციის წარმოებას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება და წლის მანძილზე 500 ათასი ტონა თუჯის დამზადება იქნება შესაძლებელი," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" "თუჯი XXI"-ის დირექტორმა გელა ბიწაძემ.

წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას" მოხმარდება, რომელიც მას ფოლადის გამოსადნობად გამოიყენებს.

თუმცა, ბიწაძის განმარტებით, "მეტალურგიული" საქართველოში წარმოებული თუჯის მოხმარებას 2008 წლიდან შეუდგება და მანამდე "თუჯი XXI"-ის მიერ ჩამოსხმული თუჯი დსთ-ს ქვეყნებში გაიყიდება. საწარმოს პროდუქციის მყიდველი უკვე მოძიებული ჰყავს და, როგორც "თუჯი XXI"-ში აცხადებენ, რეალიზაციის კუთხით პრობლემები არ შეიქმნება.

ცნობისათვის, სს "თუჯი XXI"-ის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი", რომლის შვილობილი კომპანია "ქართული ფოლადი" "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" მესაკუთრეა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ENERGO-PRO და საქართველოს მთავრობა მიმდინარე კვირას ოფიციალურად გარიგდებიან

პირველი გვერდიდან

**"ENERGO-PRO a.s. აცხადებს, რომ საქართველოში ენერგეტიკული ობიექტების შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს. თუმცა ამ პროცესის დასრულებამდე კომპანია მისაღებად არ მიიჩნევს, კომენტარი გაკეთდეს სხვა დეტალებზე. ამასთან, კომპანია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მოლაპარაკებების ჩაშლის შესახებ,"** - ნათქვამია ENERGO-PRO a.s.-ს მიერ "24 საათისთვის" გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**"ხელშეკრულების გაფორმების შეფერხებასთან ფინანსური საკითხების შეუთანხმებლობას კავშირი არ აქვს. საქმე ის არის, რომ მოლაპარაკება გარკვეულ ტექნიკურ დეტალებზე მიმდინარეობს. ხელშეკრულება უკვე მზადაა და მას ხელი მიმდინარე კვირაში, დაახლოებით 5 ოქტომბერს მოეწერება,"** - აღნიშნა ENERGO-PRO a.s.-ს დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა იური კრუშინამ "24 საათისთვის" გაკეთებულ განცხადებაში.

როგორც გაირკვა, კომპანიას საქართველოში მუდმივი ოფისი ჯერაც არ აქვს. პრივატიზაციის საკითხზე, კრუშინას თქმით, საქართველოში 25 ადამიანი მუშაობს. კერძოდ, ამ ეტაპზე თბილისში ENERGO-PRO a.s.-ს 6-7 თანამშრომელია მივლენილი. **"თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის მთავარ ოფისში - ჩეხეთში, ან ENERGO-PRO-ს ბულგარეთის წარმომადგენლობაში ხდება,"** - დასძინა ENERGO-PRO a.s.-ს დირექტორთა საბჭოს წევრმა იური კრუშინამ.

ენერგეტიკის მინისტრი ალეკო ხეთაგური ჩეხურ კომპანია "ENERGO-PRO"-სთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. როგორც მან საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ინვესტორი ქვეყნის დატოვებას არ აპირებს, მასთან კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ნასყიდობის ხელშეკრულების დეტალები ზუსტდება.

**"ჩვენი მიზანია, ორივე მხარისთვის მისაღები, დეტალურად გაწერილი ხელშეკრულება დაიდოს, სადაც ყველა ფაქტორი გათვალისწინებული იქნება,"** - აცხადებს მინისტრის მოადგილე და იქვე აღნიშნავს, რომ ყოვლად მიუღებელია ის აჟიოტაჟი, რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერის ვადის გადადებას მოჰყვა. **"მაშინ, როდესაც საქმე ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება, ზედმეტი დაძაბულობა და უსაფუძვლო ჭორები მოლაპარაკებების პროცესზე, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს,"** - შიშობს ალეკო ხეთაგური.

ანალოგიური განწყობაა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროშიც: **"ამ ეტაპზე, ინვესტორსა და ქართულ მხარეს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს,"** - აცხადებენ სამინისტროში.

# საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები მხარს უჭერენ საქართველოს საბიუჯეტო პროცესში მიმდინარე რეფორმებს

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფო ხარჯების მართვის სფეროში მიმდინარე რეფორმები. საქართველოს 2007-2010 წლების ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი ცოტა ხნის წინ მსოფლიო ბანკმა ოფიციალურად განათავსა სპეციალურ საიტზე (WWW.WORLDBANK.ORG/PEMPAL) სახელმწიფო ხარჯების მართვის სფეროში ურთიერთსწავლების ქსელი - (Public Expenditure Management Network - PEMPAL), რომელიც სხვადასხვა ქვეყნებისათვის სახელმწიფო ხარჯების მართვის სფეროში გამოცდილების გასაზიარებლად და საუკეთესო პროექტების წარმოსაჩენად შეიქმნა.

ეს შეფასება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსოფლიო ბანკი და დონორი ორგანიზაციები მხარს უჭერენ საქართველოს საბიუჯეტო პროცესში მიმდინარე რეფორმებს და მიაჩნიათ, რომ დოკუმენტი მისაბაძი მაგალითია სხვა გარდამავალი ტიპის ქვეყნებისათვის, თუ როგორ უნდა მომზადდეს საბიუჯეტო ცირკულარი, საბიუჯეტო განაცხადის ფორმები და საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომლის ინსტრუქციები, როგორი უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობა სხვა მხარჯავ ორგანიზაციებთან, იმისათვის, რათა საბიუჯეტო პროცესი უფრო გამჭვირვალე და შედეგიანი, ხოლო საბიუჯეტო ფორმატი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული გახდეს.

აღსანიშნავია, რომ PEMPAL-ი (Public Expenditure Management Network) სახელმწიფო ხარჯების მართვის სფეროში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავრობებში ამ დარგის პროფესიონალთა შორის სწავლებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის შექმნილი ერთ-ერთი ავტორიტეტული ორგანიზაციაა და მის დამფუძნებლებს შორის არიან: ამერიკის ხაზინა (US TREASURY), მსოფლიო ბანკი (WB), დიდი ბრიტანეთის განვითარების სააგენტო (DFID), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) და სხვა. **24 საათი**




## საქართველოში მომუშავე მეღვინეები ღვინოს აფხაზეთსა და ოსეთზე არ გაცვლიან

კომპანია "ქინძმარაულმა" წელს 450 ტონა ყურძნის მოსავალი მიიღო. თუმცა, როგორც კორპორაციაში აცხადებენ, ჯერ რთველი არ დასრულებულა და მათ 300 ჰექტარი ვენახი ჯერ კიდევ დასაკრეფი აქვთ.

კორპორაცია ქინძმარაულის პრეზიდენტი თამაზ კონჭოშვილის ინფორმაციით, კორპორაციამ საფრანგეთში ხარისხის კონკურსზე ბრილიანტის მედალი აიღო, რაც თავად კოროპორაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია.

"მიუხედავად იმისა, რომ კერძო კომპანია ვართ, რუსეთს მაინც არ დავუთმობთ და პრობლემას ჩვენით მოვაგვარებთ. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ საქართველოში მომუშავე არც ერთი მეღვინე ღვინოს აფხაზეთზე და ოსეთზე არ გაცვლის. რუსეთის ბაზრის დაკარგვით პროდუქციის გასაღების 50 პროცენტი დავკარგეთ, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანია საკუთარი ძალებით შეეცადა სხვა ბაზრების ათვისებას," - აცხადებს კორპორაცია ქინძმარაულის პრეზიდენტი თამაზ კონჭოშვილი.

კორპორაციას უკვე ათვისებული აქვს ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, უკრაინის და ბალტიისპირეთის ქვეყნების ბაზრები. და რუსეთში ღვინის აკრძალვის შემდეგ კორპორაცია აქტიურად შეეცადა, კანადის ბაზარიც დაეპყრო, რაც ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც.

ცნობისთვის, კორპორაციას უკვე ჰქონდა ვერცხლის და ოქროს მედლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქინძმარაული" ღვინის ახალ ბრენდს "ელჩებს" გამუშვებს

დღეს, ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს ეგიდით, საქართველოში აკრედიტებული ელჩებისათვის რთველი მოეწყო. ელჩები ყვარლის რაიონის კორპორაცია "ქინძმარაულის" კუთვნილ ვენახებში იმყოფებოდნენ და გლეხებს ყურძნის დაკრეფაში დაეხმარნენ.

ყველა ელჩი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ რთველში პირველად იღებდნენ მონაწილეობას და პროცესი ძალიან სასიხარულო ყოფილა.

როგორც საბერძნეთის ელჩი აცხადებს, მისთვის მოულოდნელი იყო ის განწყობა და ეიფორია, რომელიც ვენახში დახვდა.

"თუ საშუალება მომეცემა, ამ ცერემონიალში მონაწილეობას მომავალ წელსაც მივიღებ," - განაცხადა საბერძნეთის ელჩმა.

"ქინძმარაულის" პრეზიდენტის თამაზ კონჭოშვილის განცხადებით, კორპორაცია ელჩების მიერ დაკრეფილი ყურძნით ღვინის ახალ ბრენდს "ელჩებს" გამუშვებს. მისივე თქმით, ღვინო გადაეცემა საქართველოში ყველა საელჩოს.

სტუმრის რანგში მიწვეულნი იქნებიან სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსები, მათ შორის: ჩეხეთის, ესტონეთის, პოლონეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინის, რუმინეთის, ჩინეთის, სომხეთის, ბულგარეთის და აშშ-ს საელჩოების წარმომადგენლები. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო რთველსა და ჩურჩხელების ამოვლებაში.

დაგეგმილია რამდენიმე ღვინის ქარხნის მონახულებაც. სადილის შემდეგ გაიმართება ღვინის დეგუსტაცია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინელები საქართველოში ხე-ტყის ბიზნესით დაინტერესდნენ

ჩინელები საქართველოში ხე-ტყის ბიზნესით დაინტერესდნენ. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოსში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვან კაივენმა განუცხადა. "ჩინელი ბიზნესმენები დაინტერესდნენ ხე-ტყის არამარტო შესყიდვით, არამედ მისი წარმოებითაც. პერსპექტივაშია, რომ უახლოეს მომავალში ზუგდიდში ავეჯის მწარმოებელი ქარხანა აიგოს, თუმცა საამქრო უკვე ფუნქციონირებს," - განაცხადა სააგენტოსთან საუბარში ვან კაივენმა.

მისივე თქმით, ქართული მასალისაგან დამზადებული ავეჯი საკმაოდ გამძლე და ხარისხიანია. "იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ხე-ტყეზე ლიცენზიების მოპოვება კანონმდებლობით საკმაოდ ძვირია, ინვესტორს ამის არ ეშინია, რადგანაც ყველაფრის გათვალისწინებით ბიზნესის აწყობა შესაძლებელია," - განაცხადა ვან კაივენმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთის ეკონომიკური ბლოკადა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის 1,5-2 პროცენტს შეადგენს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის შესაძლო გამოცხადების შემთხვევაში, მოსალოდნელი ზარალი უკვე დათვლილი აქვს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ განუცხადა, ზარალი, რომლითაც რუსეთი იმუქრება, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაახლოებით 1,5-2 პროცენტს შეადგენს.

"რუსეთისგან ეკონომიკური ბლოკადა აქამდეც გვქონდა. ყველამ კარგად იცის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია რუსეთის ბაზრებზე, 9 თვეზე მეტია, არ გადის. ოფიციალური ბლოკადის შემდეგ გაგვიჭირდება, თუმცა ალტერნატიული გზებიც უნდა ვეძებოთ და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოინახება," - განაცხადა "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბარში ჩოგოვაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Fiat-მა Ferrari-ში წილი გაზარდა

იტალიურმა ავტოკონცერნმა Fiat Auto-მ განაცხადა, რომ Ferrari Spa-ს აქციების 28,6 პროცენტს ბანკების კონსორციუმისაგან 892 მილიონ ევროდ (1,1 მილიარდი დოლარი) გამოისყიდის. ამგვარად Fiat-ის წილი კომპანია Ferrari-ში 85 პროცენტამდე გაიზრდება. ამ ნაბიჯის გადადგმით იტალიური ავტოკონცერნის ხელმძღვანელობას სურს, აქცენტი პროფილურ საქმიანობაზე გააკეთოს.

შეგახსენებთ, რომ Fiat-მა Ferrari-ის აქციები იტალიური ბანკების კონსორციუმს, რომელსაც სათავეში Mediobanca უდგას, 2002 წელს ბიუჯეტის შევსების მიზნით მიჰყიდა. მაშინ კრიზისში მყოფმა Fiat-მა აქციების 34 პროცენტის სანაცვლოდ 775,2 მილიონი ევრო მიიღო. 2005 წელს კონსორციუმმა Ferrari-ის აქციების 5 პროცენტი არაბეთის გაერთიანებული საემიროების წარმომადგენელ კომპანია Mubadala Development Co-ს მიჰყიდა.

ბოლო დროს Fiat-მა სიტუაცია საგრძნობლად გამოასწორა, კონცერნის ვალები შემცირდა და 2005 წლის ივნისიდან 2006 წლის ივნისამდე 12-თვიან პერიოდში საოპერაციო შემოსავალმა 1,6 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც წლიური ანათვალით 60 პროცენტით მეტია. ანალიტიკოსთა აზრით, Fiat-ის ამგვარი სტაბილურობა სამომავლოდაც შენარჩუნდება.

## უკრაინა რუსულ გაზს ახალი ფასით შეისყიდის

ოქტომბერში უკრაინის მთავრობა რუსულ გაზზე ახალ ტარიფს დააწესებს. ტარიფები 2010 წლამდე იმოქმედებს.

"გაზის მოწოდების შესახებ რუსეთთან ახალ ხელშეკრულებას ვაფორმებთ. კონტრაქტი სამწლიანია. მომსახურების ფასის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ აღვნიშნავ, რომ გაზის ტარიფი არ იქნება იმაზე მეტი, ვიდრე ეს მეზობელ სახელმწიფოებშია," - აცხადებს უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი.

მისივე განმარტებით, ბუნებრივი აირის შესყიდვის ახალი ტარიფის განსაზღვრისას მაქსიმალურად გაითვალისწინებენ მოსახლეობის ინტერესებს. უკიდურესად გაჭირვებული ფენებისთვის კი სახელმწიფო დახმარების სისტემა ამოქმედდება.

პრემიერ-მინისტრი არ გამორიცხავს იმასაც, რომ რიგი საწარმოებისთვის მომსახურების შეღავათიანი რეჟიმი დაწესდება.

როგორც ქვეყნის მთავრობის კანცელარიაში განმარტავენ, ამ დრომდე რუსულ გაზზე ძველი ტარიფი - ერთ კუბურ მეტრზე 95 დოლარი მოქმედებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფრანგი მეწარმეები სომხეთში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდნენ

ფრანგი მეწარმეები სომხეთში ინვესტიციების განხორციელებით არიან დაინტერესებულნი. ამის შესახებ ფრანგმა მეწარმეებმა სომხეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას განაცხადეს. შეგახსენებთ, რომ ფრანგი ბიზნესმენები სომხეთში ოფიციალური ვიზიტით, პრეზიდენტ ჟაკ შეირაკის ხელმძღვანელობით იმყოფებიან.

სომხეთის მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ფრანგ მეწარმეთა შორის, რომლებიც სომხეთის ეკონომიკის განვითარებით დაინტერესდნენ, სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებიც იმყოფებიან.

ფრანგული დელეგაციის წარმომადგენლებმა სომხეთის პრემიერს ასევე აცნობეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში ინვესტიციების განხორციელებას ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროებში აპირებენ. აღსანიშნავია, რომ სომხეთში დღეს ფრანგული კაპიტალის მონაწილეობით 100 კომპანია ფუნქციონირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კომპიუტერული მაგი

პირველი გვერდიდან





### საქმიანი ბიჭუნა

ბიზნესს დელი ბავშვობაში ეზიარა და მას ამ მიმართულებით მშობლებმა მათდა უნებურად უბიძგეს. მომავალი მილიარდერის მამა სტომატოლოგი იყო, დედა კი - ფინანსური მრჩეველი. 1970 წელს, როცა აშშ ნავთობის კრიზისმა მოიცვა, ჰიუსტონში დელების ოჯახში, ძირითადად, სულ ფულზე საუბრობდნენ. მშობლები 5 წლის ბავშვს ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი ისეთ მოსაწყენ სიტყვებს, როგორებიცაა ინფლაციის ინდექსი, საპროცენტო განაკვეთი და ა.შ. ერთი ყურიდან მეორეში გაუშვებდა.

მაგრამ თურმე ბიჭუნა მათ ყურადღებით უსმენდა. ჰოდა, რვა წლისამ პირველი ბიზნესი წამოიწყო - თავის ქუჩაზე კანფეტებით ვაჭრობდა და არცთუ ურიგო მოგებას ნახულობდა. ერთი წლის შემდეგ რომელიღაც ჟურნალში ტეხასის ერთ-ერთ კოლეჯში სასწავლებლად მისაწვევ ამოსაჭრელ ტალონს წააწყდა და მითითებულ მისამართზე გაგზავნა. მისდა გასაოცრად, რამდენიმე კვირის შემდეგ მას კოლეჯის წარმომადგენელი ეწვია, რომელიც, თავის მხრივ, გაოგნდა, როცა პოტენციური სტუდენტის ნაცვლად მესამეკლასელი იხილა.

მალე დელმა უფრო სერიოზული ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა და საკუთარი ფილატელისტური ბირჟა შექმნა, პირველი მარკების შესაძენი ფული კი ჩინურ რესტორანში ჭურჭლის რეცხვით იშოვნა. იგი თავისი თანატოლებისაგან მარკებს გროშებად ყიდულობდა, შემდეგ კი მათ ფილატელისტურ ჟურნალში ფირმა Dell's Stamps-ის სახელით გამოქვეყნებული განცხადებების საშუალებით ასაღებდა. ამგვარად, ნორჩმა კომერსანტმა მალე 2000 დოლარამდე მოაქუჩა და ბიზნესის პირველი გაკვეთილი - მოერიდე შუამავლებს - აითვისა.

ნაშოვნი ფულით დელმა კომპიუტერი Apple II იყიდა, რომელიც იმ დროს ერთადერთი პერსონალური მოდელი იყო. ცნობისმოყვარე და გონიერმა ყმაწვილმა შენაძენი უმალ მთლიანად დაშალა და გულმოდგინედ შეისწავლა. მან სწრაფად შეიმუშავა აფგრეიდის ალგორითმი და თანაკლასელთა შორის მოდერნიზებული კომპიუტერებით ვაჭრობა გააჩაღა.

16 წლისას უკვე არაერთი კომპიუტერი ჰქონდა გაყიდული. ზაფხულში მან დალასური გაზეთის რედაქციაში მუშაობა დაიწყო, სადაც ყველაზე უიმედო საქმე - ტელეფონით ხელმომწერთა პოვნა დაავალეს. თუმცა, მოწოდებით ბიზნესმენი მალე მიხვდა, პოტენციური კლიენტები რომელ სოციალურ ჯგუფში უნდა ეძებნა. მისი წყალობით გაზეთმა ერთ თვეში ათასობით ხელმომწერი იპოვნა, თავად მაიკლმა კი იმ დროისათვის გვარიანი თანხა - 18 ათასი დოლარი ჩაიჯიბა, ავტომობილი და ახალი კომპიუტერი იყიდა, დანარჩენი კი მომავალი ბიზნესისათვის გადადო.

### მყიდველთა სურვილის მიხედვით

დელმა ტეხასის შტატის ოსტინის უნივერსიტეტში ჩააბარა, თუმცა უმეტეს დროს არა აუდიტორიაში, არამედ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ატარებდა, სადაც კომპიუტერების ნაწილებით ვაჭრობას ეწეოდა. მაიკლი ხედავდა, რომ იმდროინდელი კომპიუტერების რეალური ფასი არსებულს ძალიან ჩამოუვარდებოდა და ტექნიკის მიწოდება რამდენიმე თვის განმავლობაში იწელებოდა, რის გამოც მყიდველი უკანასკნელ მოდელს ვერ იღებდა.

მისი ბიზნესი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ მოეწონა და დელმა უნივერსიტეტის მიტოვება და ბიზნესის გაფართოება გადაწყვიტა. 1984 წელს საკუთარი 1000 დოლარით დაარეგისტრირა ფირმა Dell Computer Corporation-ი. მთელი ქვეყნის მასშტაბით საქმიანობა იოლი საქმე არ იყო. მაიკლმა რედაქციაში მუშაობის გამოცდილება გამოიყენა და თავისი ოფისის ნახევარი ტელეფონისტებს დაუთმო, რომელთა მიერ მიღებული შეკვეთების მიხედვით მეორე ნახევარში კომპიუტერები იწყობოდა.

ამგვარად წარმოიშვა დელის ბიზნესის რევოლუციური სქემა - მყიდველისათვის სასურველი კომპიუტერის შეთავაზება. ინტერნეტის განვითარებამ დელის რესურსი კიდევ უფრო გაზარდა. კორპორაციის საიტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და შეკვეთების რაოდენობა გამუდმებით მატულობდა. ორი წლის შემდეგ კომპანიის გაყიდვების მოცულობამ 1 მილიონ დოლარს მიაღწია.

იმ დღეს კი, როცა მაიკლ დელს კოლეჯი უნდა დაემთავრებინა, კომპანიის გაყიდვების მოცულობა 70 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მან გადაწყვიტა, სხვა მწარმოებლების კომპიუტერებით ვაჭრობისათვის თავი დაენებებინა, საკუთარი მარკა დაეარსებინა და კომპანიის აქციები ბირჟაზე გაეტანა.

### ტრიუმფატორი

ფირმის ზრდასთან ერთად დელს მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება მოუწია. მან გადაწყვიტა, შეექმნა თავისი ბიზნეს-ფილოსოფიის შესაბამისი კომპანია, რომელშიც არ იარსებებდა იერარქიის დიდი ნაწილი და მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი ბიუროკრატია.

1990-იანი წლების დასაწყისში Dell Computer Corporation-მა გადაწყვიტა, ახალ, საბითუმო-სადილერო ბაზარზე გასულიყო, ანუ კომპიუტერები ნაწილ-ნაწილ გაეყიდა და შემდეგ კლიენტს თავისი კომპიუტერის მოდერნიზება თავად მოეხდინა. თუმცა მალე კომპანიაში აღიარეს, რომ ამ ნაბიჯმა არ გაამართლა, რადგან დაირღვა დელის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული სქემა: "შეკვეთა, საქონლის შექმნა, მიწოდება, სერვისი". ამიტომაც, Dell Computer-მა ახალი წამოწყება მალე მიატოვა.

ასე იყო თუ ისე, მაიკლ დელის კომპანია ე.წ. გარდატეხის ასაკს იოლად გაუმკლავდა. მეტიც, კომპანია სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ახალ სექტორებს ითვისებდა. Dell Computer Corporation-ის თავკაცი ყველა პრობლემას თავისებურად წყვეტდა: ყველაფერ არაეფექტურს და დაბალშემოსავლიანს ხურავდა. მაგრამ მთლიანად კი არ აუქმებდა, არამედ დროებით აჩერებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ დღეს ნაკლებადპერსპექტიული ხვალ შეიძლება სუპერმომგებიანად იქცეს.

ამ თვალსაზრისით სამაგალითოა Dell Computer-ის ნოუთბუქების ბაზრიდან დროებით წასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ეს სექტორი სტაბილურად ვითარდებოდა, მაიკლმა, სამხედრო ენით რომ ვთქვათ, გადამწყვეტი შეტევის წინ ტაქტიკური უკანდახევის მეთოდი გამოიყენა. შეტევამაც არ დააყოვნა: მალე ბაზარზე ტრიუმფით გამოჩნდა ნოუთბუქების ახალი ხაზი Dell-Latitude, რომელიც კონკურენტებისაგან ერთობ ძლიერი აკუმულატორით გამოირჩეოდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ამავე პერიოდში სამაგიდო და პორტატული პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე თავისი წილი რომ გაეზარდა, Dell Computer-მა ხელი არცთუ ისე მომგებიან საქმეს - სერვერების წარმოებას მოჰკიდა. 1996 წელს კომპანიამ ახალი სენსაცია უკვე თავისი PowerEdge-ის სერვერებით მოახდინა. ისინი ძალზე მოხერხებული და იაფი იყო და, სულ რაღაც, ორ წელიწადში კომპანიას სერვერთა ბაზარზე ლიდერობა მოუტანა.

ყველაფერ ამასთან ერთად დელს თავის ფირმაში კვალიფიციური კადრების გადაბირებაც არ ავიწყდებოდა. შედეგად, კომპანიის საქმე სულ უფრო და უფრო უკეთ მიდიოდა. 1998 წლისათვის Dell Computer-ის ბრუნვამ 12,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ცხადია, თავად მაიკლის პირადი კაპიტალიც გამუდმებით მატულობდა.

2002 წელს კომპანიის აქციონერთა კრებაზე მაიკლ დელმა წარმოადგინა დიაგრამა, რომელიც განთქმული კომპანიების აქციების კურსის ზრდას ასახავდა. აღნიშნულ დიაგრამაზე Dell Computer-ის ხაზი გაცილებით ციცაბო იყო, ვიდრე არა მარტო უშუალო კონკურენტების, არამედ სხვა განთქმული კომპანიებისაც.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, 41 წლის მაიკლ დელი ოდესღაც ჰენრი ფორდის მიერ დაწყებულ საწარმოო რევოლუციას აგრძელებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმდიდრის მხრივ მსოფლიოში მეთორმეტე ადამიანი გახლავთ. მისი კომპანია კი სფეროს ერთ-ერთი და პერსონალური კომპიუტერების ბაზრის უპირობო ლიდერია.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე










ოთხდღიანი ზრდის შემდეგ, პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. უნდა ითქვას, რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ერთობ დამაიმედებელი გახლდათ. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ საქმიანი აქტივობის ინდექსმა მიმდინარე წლის სექტემბერში 62,1 პუნქტი შეადგინა, აგვისტოში კი 57,1 პუნქტი გახლდათ. ასევე გაიზარდა სამომხმარებლო ნდობის ინდექსი, რომელიც აგვისტოში დაფიქსირებული 82 პუნქტიდან სექტემბერში 85,4 პუნქტამდე გაიზარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ინდექსთა კლება ნავთობის გაძვირებამ და მოგების ფიქსაციამ განაპირობა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,34 პროცენტით, 11.679,07 პუნქტამდე შემცირდა. 0,51 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.258,43 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,25 პროცენტით, 1.335,85 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასი კვლავ 63 დოლარი/ბარელზე ნაკლებია

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 62,48 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 62,91 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. მთლიანობაში, გასული კვირის განმავლობაში ნავთობი საშუალოდ 3,4 პროცენტით გაძვირდა, ხოლო უკანასკნელი თვის განმავლობაში 10,6 პროცენტით გაიაფდა.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისმა ფასმაც მოიმატა და 1 მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის (1 ბრიტანული თერმული ერთეული 1055,06 ჯოულს შეესაბამება) ღირებულებამ 5,62 დოლარი შეადგინა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო კვირის განმავლობაში ბუნებრივი აირი 4,4 პროცენტით, გასული თვის განმავლობაში კი 31,7 პროცენტით გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, პარასკევს "შავი ოქროს" მცირე გაიაფების მიზეზი ზოგადი ტენდენცია, აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დიდი მარაგის არსებობა და მოგების ფიქსაცია გახლდათ. ანალიტიკოსთა აზრით, მიმდინარე კვირაში ნავთობი გაძვირდება, რისი მიზეზიც ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახლავთ. თუმცა, ამას ჯერ მხოლოდ ნიგერია და ვენესუელა გააკეთებენ. პირველი "შავი ოქროს" მოპოვებას დღე-ღამეში 120 ათასი ბარელით შეამცირებს, მეორე კი - 50 ათასი ბარელით. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ალიასკაზე მდებარე ლიზბერნის საბადოზე ბუნებრივი აირის გაჟონვის გამო კომპანია BP-ის ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში 30 ათასი ბარელით შემცირება მოუწევს.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გასული კვირის ბოლოს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 1,09 პროცენტით გაიაფდა და მისმა ღირებულებამ 604,2 დოლარი შეადგინა. უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში, გასული კვირის განმავლობაში ოქროს ფასმა 1,5 პროცენტით მოიმატა. ვერცხლის ფასმა 1,7 პროცენტით, 11,54 დოლარი/უნციამდე მოიკლო, პლატინა 0,76 პროცენტით, 1141,2 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2,37 პროცენტით, 316,4 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ვერცხლი 2 პროცენტით გაძვირდა, პლატინა და პალადიუმი კი, შესაბამისად, 0,6 პროცენტით და 1,6 პროცენტით გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, პარასკევს ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი ნავთობის ფასის კლება და დოლარის კურსის გამყარება გახლდათ. ექსპერტთა განცხადებით, უახლოეს მომავალში ძვირფასი ლითონების გაძვირება მოსალოდნელი.

## იაპონიამ დეფლაცია დაამარცხა

იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსი 0,3 პროცენტით გაიზარდა. ეს კი ნიშნავს, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ეკონომიკამ დეფლაცია გადალახა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იაპონია თითქმის 12-წლიანი ეკონომიკური დეპრესიის შემდეგ ფეხზე დგება.

საინტერესოა, რომ მაშინ, როცა მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა ინფლაციას ებრძვის, იაპონიას პრობლემა დეფლაციამ - ფასების გამუდმებულმა კლებამ შეუქმნა, რომელიც ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს და შემოსავლის შემცირებას იწვევს. თუმცა, ამომავალი მზის ქვეყანამ იგი დაძლია, უფრო მეტიც, იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროების ცნობით, მიმდინარე წლის აგვისტოში ქვეყნის სამრეწველო წარმოების ზრდამ წინა თვეებთან შედარებით 1,9 პროცენტი შეადგინა, საზღვაო გადაზიდვების მოცულობა კი 2,5 პროცენტით გაიზარდა.

## ხორბალი 9-წლიან მაქსიმუმამდე გაძვირდა

პარასკევს ჩიკაგოს სასაქონლე ბირჟაზე ხორბლის ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, დეკემბრის კომნტრაქტები 5 პროცენტით გაძვირდა და 1 ამერიკული ბუშელი (ბუშელი - თხევადი და ფხვიერი ნივთიერებების მოცულობის ერთეული. 1 ინგლისური ბუშელი 36,3687 ლიტრს, 1 ამერიკული ბუშელი კი 35,2393 ლიტრს უდრის) ხორბლის ღირებულებამ 4,455 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ხორბალი 14 პროცენტით, წლის მანძილზე კი 36 პროცენტით გაძვირდა. ამის მიზეზი ავსტრალიაში, აშშ-ში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ხორბლის მოსავლის შემცირების შესახებ არსებული ინფორმაცია გახლავთ. ექსპერტთა ვარაუდით, 2006 წელს ხორბლის მსოფლიო წარმოების მოცულობა 4,5 პროცენტით, სამწლიან მინიმუმდე შემცირდება.

## თელიანი ველმა პირველი ქართული, მუხის კასრების საწარმო გახსნა

სალომე ძაძამია

კომპანიამ "თელიანი ველი" ღვინის ფესტივალის ფარგლებში საქართველოში პირველი, მუხის კასრების მწარმოებელი კომპანია "კუპას" პრეზენტაცია თელავში, "თელიანი ველის" ქარხნის ტერიტორიაზე, ანსამბლ "ფესვების" სიმღერის ფონზე გამართა. ამ დრომდე ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები ევროპიდან შემოტანილ ძვირადღირებულ კასრებს იყენებდნენ. ახალ ქართულ საწარმოში, საწყის ეტაპზე, ყოველთვიურად 100 ერთეული სხვადასხვა ჭურჭელი დამზადდება. პროდუქტი თავდაპირველად ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება. კასრების დასამზადებლად საჭირო ხის მასალა კომპანიას რუსეთიდან შემოაქვს. ერთი კასრის ფასი, სავარაუდოდ, 500 ლარი იქნება.

კომპანია "კუპა" გადაცემა "იდეა, ფული და ერთი შანსის" ნაყოფია. გადაცემაში მიწვეულმა "თელიანი ველის" ხელმძღვანელმა აჩიკო გეგენავამ თელაველ მიშა სლოიანს ბოლომდე მოუსმინა, მის იდეაზე დაფიქრდა და კასრების საწარმოს ერთობლივად ჩამოყალიბება შესთავაზა.

"თელიანი ველის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აჩიკო გეგენავა: "იდეა ძალიან მარტივი იყო. ეს ადამიანი გამოვიდა შოუში და თქვა, რომ გასაყიდი ჰქონდა კასრები, და გვკითხა, ხომ არ ვიყიდდით. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ თუ ეს კასრი ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, იმ შემთხვევაში შევიძენდით. როდესაც ვნახეთ კასრები, ჩავასხით ღვინო და შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ კარგი ხარისხის იყო. თანაც, მისი ღირებულება ფრანგული კასრების ფასისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხარისხი კი განსხვავებული არ არის. ამის შემდეგ ვესაუბრეთ იდეის ავტორს მიშა სლოიანს და ეს იდეა გადავზარდეთ უფრო დიდ რამეში. ჩვენ არა მარტო ვიყიდეთ ის კასრები, არამედ ერთობლივად გავაკეთეთ მუხის კასრების მცირე საწარმო. ნედლეული მაიკოპიდან შემოგვაქვს, მუხის კასრების წარმოება აქ ხდება. ვფიქრობ, წარმატებული პროექტი იქნება. თუ იმ ფაქტორს გავითვალისწინებთ, რომ საზღვარგარეთ კარგი ხარისხის კასრები ძვირი ღირს, ამ პროექტის საშუალებით ღვინის სექტორში მომუშავე ადამიანებს საშუალება მიეცემათ, ხარისხიანი კასრები იაფად შეიძინონ. ერთ კასრის ღირებულება დაახლოებით 500 ლარი იქნება. ასეთი ფასი იქნება ჩვენი კომპანიისთვისაც, რადგან ეს ცალკე ბიზნესია და ჩვენთვის არანაირი შეღავათი არ იქნება. იმედი მაქვს, რომ რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობა მუხის იმპორტს პრობლემას არ შეუქმნის. გადავწყვიტეთ, ამ კომპანიის პრეზენტაცია ღვინის ფესტივალის ფარგლებში მოგვეწყო. ამ ფესტივალით გვინდა გავამხნევოთ მევენახეები და მეღვინეები, რადგან ამ სექტორისთვის, ცოტა არ იყოს, გაჭირვებული პერიოდია. ეს დიდი სტიმულია როგორც მათთვის, ისე ჩვენი თანამშრომლებისთვისაც."

"რუსთავი-2-ის პროექტით "თელიანი ველმა" საინტერესო იდეა მოისმინა და ამ იდეის გაღრმავება გადავწყვიტეთ. ხარისხიანი კასრები ღვინის მწარმოებელი ყველა კომპანიის პრობლემაა. თუ ფრანგული კასრი 500 ევრო ღირს, ქართული გაცილებით იაფად გაიყიდება. ქართული წარმოების კასრები სხვა ბაზრებზეც გავა და ისეთივე პოპულარული იქნება, როგორც "თელიანი ველის" ღვინო," - განაცხადა "თელიანი ველის" დირექტორის მოადგილემ გიო ხუციშვილმა.

მიშა სლოიანი დარწმუნებული იყო, რომ მის იდეას მოიწონებდნენ და დააფინანსებდნენ. იგი კასრების წარმოების ტექნოლოგიით დიდი ხნის წინ დაინტერესდა და ამ საქმის შესასწავლად საზღვარგარეთაც იმყოფებოდა.

მიშა სლოიანი: "კასრების წარმოების იდეა რამდენიმე წლის წინ გამიჩნდა. ვიცოდი, რომ ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად აუცილებლად სჭირდება კასრებში დაძველება. ხარისხიანი კასრის გარეშე კი ეს წარმოუდგენელია, რადგან უხარისხო კასრი ღვინოს აუცილებლად გააფუჭებს. ვიცოდი ისიც, რომ კასრების წარმოების ხელობა იკარგებოდა. რომ იტყვიან, სულზე მივასწარი ამ საქმეს. სერიოზულად დავინტერესდი ამ საკითხით, ვიყავი საზღვარგარეთ, შევისწავლე, როგორ უნდა დამზადდეს ევროპულ დონეზე კასრი. ძველად საქართველოში კასრებს სხვა მეთოდებით ამზადებდნენ, იმის მერე ბევრი რამ შეიცვალა და განვითარდა. საქართველოში რომ ჩამოვედი, გამოვაცხადე კონკურსი ხელოსნებისათვის. შევხვდი ბონდერებს, მივეცი მასალა და იმავე მეთოდით დავამზადებინე, რა მეთოდითაც ევროპაში ამზადებენ კასრებს. სხვათა შორის, ბონდერების მოძებნა ძალიან გამიჭირდა. შევარჩიე სამი მათგანი, რომლებმაც ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს. ახალგაზრდებმა ეს ხელობა არ იციან - ჩვენი ბონდერების ასაკი 75-დან 80 წლამდეა. თუმცა, ახლა ჩვენ ამ ხელობას ახალგაზრდებსაც შევასწავლით. გვყავს კიდეც ახალგაზრდა ბონდერები. ყველამ ძალიან ბევრი ვიშრომეთ. კასრების დამზადება რთული და საინტერესოა. ცალკე ვახარისხებთ საკასრე მასალას, ცალკე - სატკეჩეს. მსოფლიოში სამი ჯიშის მუხაა, რომლისგანაც კასრებს ამზადებენ. ქართველი მეღვინეები აუცილებლად დაინტერესდებიან ჩვენით და მნიშვნელოვნად დაზოგავენ თანხებს, რადგან ევროპული კასრები ძვირია. ჩვენი კასრებით უკვე დაინტერესდნენ იტალიელები. იმედი მაქვს, მსოფლიო ბაზარს დავიპყრობთ."

ამასთან ერთად, "თელიანის ღვინის ფესტივალმა" უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმებისთვის სპეციალური აქცია დაიწყო. 8 ოქტომბრის ჩათვლით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა საქველმოქმედო ზარის შედეგად შეიძლება, რომელიც ჯეოსელის ნომერზე 7005 უნდა განხორციელდეს. ზარის ღირებულება 1 ლარია. შემოსული თანხით თბილისის გარეუბანში შენობის შესყიდვა იგეგმება, სადაც უნარშეზღუდული ბავშვები დასაქმებისთვის საჭირო ტრენინგს გაივლიან.

## ამინდი

| | 29/09 | 30/09 | 1/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

# თანამედროვე ბისმარკები

პირველი გვერდიდან


კერკ კერკორიანი.

კერკორიანის განზრახვა შეიძლება მეორენაირადაც ავხსნათ: გარიგება ერთობ ჭიანურდება, ამიტომ კერკორიანს სურს, "ჯენერალ მოტორზში" თავისი წილი გაზარდოს და ამგვარად გაზარდოს დაწოლა კომპანიის ხელმძღვანელობაზე, რათა მათ ფრანგულ-იაპონურ ალიანსთან მოლაპარაკება დააჩქარონ. საერთოდ, ამ ალიანსთან "ჯენერალ მოტორზის" დაახლოების იდეის ერთ-ერთი უმთავრესი ავტორი სწორედ კერკორიანია. "რენოსა" და "ნისანთან" გარიგების მიზანშეწონილობაზე ამერიკული გიგანტის ხელმძღვანელობას მან ჯერ კიდევ ივნისის ბოლოს მისწერა. ამას მოჰყვა სადილი "ნისანის" თავკაც კარლოს გოზნთან, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმაც წამოაყენა ასეთი გარიგების იდეა.

"ჯენერალ მოტორზის" 20 პროცენტი "რენოსა" და "ნისანს" დაახლოებით 10,6 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ. თუკი გარიგება შედგა, მსოფლიოს ავტოგიგანტთა ლიდერთა სიაში მნიშვნელოვანი გადანაცვლებები მოხდება. დღესდღეობით გამოშვებული მანქანების რაოდენობით ისევ "ჯენერალ მოტორზი" ლიდერობს, ოდესღაც მეორეზე მყოფი "ფორდი" კი, რომელიც "ჯენერალ მოტორზზე" გაცილებით უფრო რთულ ფინანსურ კრიზისში იმყოფება, მესამე პოზიციაზეა (მეორეზე მას აღმავლობის გზაზე მდგარი "ტოიოტა" ჩაენაცვლა). აქვეა "დაიმლერკრაისლერი," რომელიც ბოლო დროს ასევე საგრძნობ პრობლემებს განიცდის. ეს პრობლემები, ძირითადად, წაგებაზე მომუშავე "კრაისლერის" შტოა, რომელიც წელს 1 მილიარდი დოლარის წაგებას მოიტანს იმ ფაქტის მიუხედავად, რომ "კრაისლერის" წილი საერთო წარმოებაში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული. თუმცა, გაერთიანებიდან 10 წლისთავზე არსებული ასეთი პრობლემების მიუხედავად, გერმანულ-ამერიკული კონცერნის ხელმძღვანელობა მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებს.

გარიგების შემთხვევაში "ჯენერალ მოტორზს" მნიშვნელოვანი რეფორმირება ელის, მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს ინიციატივა კარლოს გოზნისგან მოდის. გოზნი თანამედროვე საქმიან სამყაროში ლეგენდარულ ფიგურადაა მიჩნეული. 1999 წელს "რენომ" მას "ნისანის" საქმეები გადააბარა და, სულ რაღაც, ორ წელიწადში მენეჯერმა გაკოტრების პირას მყოფი იაპონური კომპანია მოგებაზე აამუშავა. ცხადია, საამისოდ მას არაერთი ქარხნის დახურვა და სამუშაო ადგილის შემცირება მოუხდა, რის გამოც "მკვლელის" (უფრო სწორად, "ხარჯების მკვლელის") მეტსახელიც მიიღო, მაგრამ "რენოსათვის" რაც მთავარი იყო, "ნისანი" გადარჩა და თავის დროზე განხორციელებულმა ინვესტიციამ გაამართლა. დღესდღეობით იაპონურ ავტომწარმოებლებში "ნისანი" მხოლოდ "ტოიოტასა" და "ჰონდას" უთმობს პოზიციებს. ახლა "მკვლელმა" თავად "რენოსთვისაც" მოიცალა და რეფორმათა მთელი რიგი პაკეტი შეიმუშავა, რომელმაც ფრანგული კომპანია რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო უნდა მოაძლიეროს. აღსანიშნავია, რომ "რენო" ერთობ დიდ ყურადღებას უთმობს მომავლის ტექნოლოგიებს, კერძოდ, ალტერნატიული საწვავის წყაროს სახით წყალბადის ათვისებას.

საერთოდ, ის პრობლემები, რომლებმაც "ჯენერალ მოტორზი" და სხვა ზემოთჩამოთვლილი გიგანტები მოიცვა, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო ავტოინდუსტრიის სენია. ახლახან "ფოლკსვაგენის" 6 გერმანული ქარხანა სამუშაო საათების კვირაში 4 საათით გაზრდას დათანხმდა, ანაზღაურების ყოველგვარი მატების გარეშე. რიგითი თანამშრომლები, ისევე, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა, კარგად ხვდებიან, რომ სხვა გზა არ რჩება. "ფოლკსვაგენი" უფრო ეკონომიურ ავტომანქანებს უშვებს, რომელზე მოთხოვნილებაც საწვავის გაძვირებასთან დაკავშირებით შედარებით ნაკლებად დაეცა, ვიდრე ფუფუნების მანქანებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონკურენცია მაინც მეტად ძლიერია. კონკურენცია, პირველ რიგში, იაპონური ავტომწარმოებლებისგან იგრძნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ტოიოტამ" მეორეზე აინაცვლა, საიდანაც "ფორდი" განდევნა. დიდ წარმატებებს აღწევს "ჰონდა." "ნისანისა" და "რენოს" ალიანსზე უკვე ვისაუბრეთ. აშკარაა, რომ მენეჯმენტის იაპონურმა სტილმა (და ასევე, პირადად გოზნის მენეჯმენტის სტილმა) ყველაზე უკეთ გაუძლო იმ გამოცდას, რომელსაც საინფორმაციო ეპოქა ავტომანქანების მრეწველობას უწყობს.

### სტაბფონდის ხარჯვის დრო მოდის?

თუკი "რენომ" ალტერნატიული საწვავის ათვისება წარმატებით განაგრძო, მაშინ გასულ კვირას რუსეთში დაფიქსირებული მოვლენები ჩვეულებრივ ამბად იქცევა. თუმცა, სანამ მათ გარჩევაზე გადავალთ, პრეისტორია უნდა გავიხსენოთ. პრეისტორია იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში კრემლმა ნამდვილი ომი გამოუცხადა რუსეთის ენერგოსფეროში მომუშავე უცხოელ ინვესტორებს. განსაკუთრებული დაწოლა "შელზე" ხორციელდება, ასევე დიდი პრობლემები ექმნებათ "ექსონსა" და "ბრიტიშ პეტროლიუმს." ნავთობზე მაღალი ფასებით გათამამებულ მოსკოვს აღარ მოსწონს ოდესღაც ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მაშინ დაიდო, როცა ნავთობის ფასი დაბალი იყო, რუსეთს ვალები ახრჩობდა და ინვესტიციები ჰაერივით ესაჭიროებოდა. ახლა რუსეთს საკმარისზე მეტი ფული აქვს და მზადაა, მშობლიური ნავთობსაბადოები თავად აითვისოს. მაგრამ ამისათვის ჯერ უცხოელი ინვესტორების გაძევებაა საჭირო, რისკენაც ახლა პირველი ნაბიჯები იდგმება. კრემლი დიდ ყურადღებას არ აქცევს შემაშფოთებელ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ მსგავსი ნაბიჯებით აუცილებლად დააფრთხობს სხვა ინვესტორებს მაშინ, როცა რუსეთს ახლა ძალიან ესაჭიროება უცხოური კაპიტალი (საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე მონოპოლიის დამყარების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყიში გაამახვილა ყურადღება თავის დისერტაციაში მომავალმა პრეზიდენტმა პუტინმა). ზემოთჩამოთვლილი კომპანიების სია ერთ ტენდენციაზეც მიუთითებს - პუტინის დისერტაციაში დასახული მიზნის მიღწევა ანგლოსაქსური კომპანიების ხარჯზე ხდება. გაცილებით ნაკლები პრობლემა აქვს ფრანგულ "ტოტალს." პარიზთან და ბერლინთან ერთად კრემლი ხომ ახალ, "სამი იმპერატორის" კავშირს ქმნის.

მოკლედ, კრემლმა მიიჩნია, რომ ინვესტორების გაძევების დრო დადგა. მაგრამ სწორედ ამ დროს ნავთობის ფასმა მკვეთრი დაცემა იწყო და დაფიქსირდა ის მოვლენა, რომელზე საუბარიც ზემოთ დავიწყეთ - ნავთობის გაიაფებამ რუსეთის საფონდო ბირჟაზე მკვეთრი დაცემა გამოიწვია. ივლისში ბარელი 77 დოლარი ღირდა, ახლა კი 60 დოლარს ჩამოსცდა. რუსეთის ბირჟები პანიკამ მოიცვა. 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იმ გათვლითაა შედგენილი, რომ რუსულ ნავთობზე ფასი 61 დოლარი იქნება, მაგრამ ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ფასი ამაზე გაცილებით ნაკლები იყოს. მით უმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსული ნავთობი, თავისი შედარებით დაბალი ხარისხის გამო, დაფიქსირებულ მსოფლიო ფასზე რამდენიმე დოლარით უფრო იაფია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესრულებისათვის ნავთობი საშუალოდ 65 დოლარი უნდა ღირდეს.

საერთოდ, ნავთობის ფასების პროგნოზირება ერთობ რთული საქმეა. ახლანდელი დაცემის მიზეზად ირანის პრეზიდენტ აჰმადინეჯადის შემრიგებლური განცხადებები იქცა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ნავთობის გაძვირება მნიშვნელოვანწილად ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა განპირობული. ფსიქოლოგიურს ისიც დაერთო, რომ წელს მექსიკის ყურეს ქარიშხლები ასცდა და ნავთობმოპოვება აქ, პრაქტიკულად, არ შეფერხებულა.

რუსეთს ჯერჯერობით ნავთობის ფასის 60 დოლარზე დაბლა ჩამოსვლით უშუალო საფრთხე არ ემუქრება. სხვა თუ არაფერი, სწორედ ნავთობის ფასის დაცემით გამოწვეული შოკის თავიდან ასარიდებლად შეიქმნა ცნობილი, სტაბილიზაციის ფონდი, რომელიც აქამდე, პრაქტიკულად, ხელუხლებელი იყო - ანუ მისი დაბანდება არსად განხორციელდა და მილიარდები უქმად იდო. თუკი საწვავის გაიაფება გაგრძელდა, სტაბილიზაციის ფონდი, ბოლოს და ბოლოს, თავის გამოყენებას ჰპოვებს.

ჯერჯერობით, ნავთობის ფასის ვარდნაზე ნერვიულად მხოლოდ საქმიანი რუსეთი რეაგირებს, ხოლო მთავრობა აგრძელებს ინვესტორების შევიწროებას. პრეზიდენტმა პუტინმა კი ანგელა მერკელთან და ჟაკ შირაკთან შეხვედრისას ისიც განაცხადა, რომ ბარენცის ზღვაში მდებარე შტოკმანის საბადოზე მოპოვებული გაზის ნაწილი შეიძლება ევროპისაკენ წავიდეს, არადა, თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ თხევადი სახით აშშ-ში გადაიგზავნებოდა. ამ განცხადებაში ბევრმა, ეკონომიკურზე უფრო, პოლიტიკური მომენტები დაინახა - მაგალითად, საპასუხო სვლა აშშ-ს მიერ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არდაშვების გამო. გარდა ამისა, რუსეთი ამგვარად ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოებას ცდილობს.

### ბისმარკის თამაშის ევრაზიული მცდელობები

"სამი იმპერატორის კავშირი," რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მიმომხილველებს პუტინის, მერკელისა და შირაკის შეხვედრის შემდეგ გაახსენდათ. სამი იმპერატორის კავშირი ოდესღაც ბისმარკმა შექმნა და მასში ახლადგაერთიანებული გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მონარქები შევიდნენ. გაერთიანებას და ჩანაფიქრს რამდენიმე მიზანი ჰქონდა: რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის კონფლიქტის არდაშვება; გერმანიის მიერ დამარცხებული და შურისძიების სურვილით შეპყრობილი საფრანგეთის დიპლომატიურ იზოლაციაში მოქცევა; ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს, ინგლისის დაბალანსება, რომელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ამერიკას და ამით კიდევ უფრო ამტკიცებდა ანგლო-საქსურ ჰეგემონიას.

სამი იმპერატორის კავშირს ჯერ კიდევ ბისმარკის ხელისუფლებაში ყოფნისას გაუჩნდა ბზარი, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ საბოლოოდ ცხადყო ამ კავშირის მიზნების დასამარება - ომის დაწყება ბალკანეთზე რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესების შეჯახებამ განაპირობა. რუსეთი ამ ომში საფრანგეთის მოკავშირედ იქცა, რომელიც დიპლომატიური იზოლაციიდან მოხერხებულად გამოვიდა. რუსეთის გარდა, მის გვერდით ინგლისიც დადგა, ხოლო ომის დასრულება მოკავშირეთა მხარეზე ამერიკის ჩარევამ განაპირობა. ამ კრახის მიზეზებად პოსტ-ბისმარკისეული გერმანიის ზედმეტად აგრესიულ საგარეო პოლიტიკასა და კავშირის შიგნით თავიდანვე არსებულ წინააღმდეგობებს ასახელებენ.

თავის დროზე ამ კავშირის შექმნის ინიციატორი გერმანია იყო. ახლა ინიციატორი, თითქოსდა, რუსეთია. როგორ გავშიფროთ რუსეთის ჩანაფიქრი და მიზნები? ევროპელ პარტნიორებთან დაახლოება მათთან ენერგორესურსებით თამაშის გზით, აშშ-ს გავლენის დაბალანსება - ეს ახალი ჩანაფიქრი არაა. რუსეთი მთელი ცივი ომის დროს იმით იყო დაკავებული, რომ დასავლეთ ევროპიდან აშშ-ს გაძევებას ცდილობდა (მაგრამ ამას ხელს უშლიდა ნატო-ს მეშვეობით განმტკიცებული ტრანსატლანტიკური სოლიდარობა). ჩანაფიქრი ახლაც იგივეა, ოღონდ მეთოდია ახალი - ენერგეტიკული.

ევროპაში პოზიციების გამყარების პარალელურად რუსული ორთავიანი არწივი აზიასაც არ ივიწყებს. მეთოდი აქაც იგივეა. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია ცოტა ხნის წინ ენერგოსფეროში თანამშრომლობის განმტკიცების თაობაზე ალაპარაკდა. ამ მხრივ განსაკუთრებით რუსეთი, ჩინეთი და ყაზახეთი აქტიურობდნენ. მაგრამ ამ ალაპარაკებიდან რამდენიმე დღეში ყაზახეთის პრეზიდენტი ვაშინგტონს ესტუმრა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი სახელმწიფო უკვე საკმარისად ძლიერია, რათა არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ მიებას ბოლომდე. ნურსულტან ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ ყაზახეთი და აშშ ახლო პარტნიორებად იქცნენ ეკონომიკის, ენერგეტიკული პარტნიორობისა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროებში. ყაზახეთის ეკონომიკა რომ აღმავლობას განიცდის, ეს დიდი ხანია ცნობილია. ეს აღმავლობა მნიშვნელოვანწილად სწორედ დიდ სახელმწიფოებს შორის ყაზახური ენერგორესურსების გამო მეტოქეობამ განაპირობა, და განსაკუთრებით იმ ფაქტორმა, რომ ყაზახურ ენერგოსექტორში ყველაზე მსხვილ ინვესტორს აშშ წარმოადგენს. ამავე დროს, ნაზარბაევი კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს რუსეთთან და ჩინეთთანაც - ორივე მათგანს უშვებს თავის ენერგოსექტორში და ორივეს აწვდის ენერგორესურსებს.

ყაზახეთი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება რეგიონში და მისი დაბალანსებული პოლიტიკა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას ანტიდასავლურ ბლოკად ჩამოყალიბებაში ხელს უშლის. რაც შეეხება ახალ, სამი იმპერატორის კავშირს, ცხადია, აქ საქმე კიდევ უფრო რთულადაა, რადგან რუსული გაზის გარდა ამ კავშირს თითქმის არაფერი ამყარებს.

### ტასისის" პროგრამას ევროკავშირის დახმარების პროგრამა ENPI შეცვლის

2006 წლის ბოლოდან ევროკავშირის ტექნიკური დახმარების "ტასისის" პროგრამა სრულდება, რომელიც საქართველოში 1991 წლიდან მოქმედებს. როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობიდან სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" აცნობეს, "ტასისი" ევროკავშირის ქვეყნებს შორის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარეობდა და ის გეგმიურად შეწყდება იმ ქვეყნებში, სადაც ის ხორციელდებოდა. წარმომადგენლობის ინფორმაციით, "ტასისის" პროგრამა სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში ხორციელდებოდა. "ტასისის" პროგრამას ევროკავშირის დახმარების სხვა პროგრამა - ENPI შეცვლის, ანუ ევროპის სამეზობლო პარტნიორობის ინსტრუმენტი. "ახალი პროგრამა ორიენტირებული იქნება, ძირითადად, ბიუჯეტზე, ანუ პროგრამის ფარგლებში გარკვეული რაოდენობის გრანტები ბიუჯეტის სასარგებლოდ გაიცემა. თუმც წინასწარ რა რაოდენობის გრანტზე იქნება საუბარი, უცნობია. ეს ყველაფერი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება," - აცნობეს სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ევროკავშირის წარმომადგენლობიდან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო შაჰ-დენიზიდან დაბეგმილზე 5-ჯერ მეტ გაზს მიიღებს

საქართველო აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან, ნაცვლად 60 მილიონი კუბური მეტრისა, 300 მილიონ კუბურ მეტრ გაზს მიიღებს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განცხადებით, შესაბამისი შეთანხმება მიღწეულია აზერბაიჯანულ მხარესთან. "აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრთან ნათიკ ალიევთან მოლაპარაკებებისას მიღწეულია წინასწარი შეთანხმება შაჰ-დენიზიდან 300 მილიონ კუბური მეტრი გაზის მიღების თაობაზე," - განაცხადა გილაურმა. გილაურმა აღნიშნა, რომ შეთანხმება მიმდინარე წელს შეეხება, ხოლო მომავალი წლისთვის გაზის მოწოდების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მინისტრის თქმით, საქართველო შაჰ-დენიზიდან გაზს ნოემბერში მიიღებს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ამავე დროს ადასტურებს, რომ რუსეთი და კომპანია "გაზპრომი" კვლავ გაზის მთავარ მომწოდებლად რჩება. მინისტრის განმარტებით, კვოტით გათვალისწინებულ 1000 კუბ/მეტრ გაზში საქართველო 55 აშშ დოლარს გადაიხდის, ხოლო დარჩენილი 240 მლნ კუბ/მეტრის საფასური, ჯერჯერობით, მოლაპარაკების საგანია. ასევე მოლაპარაკებები გაიმართება 2007 წლისათვის გაზსადენიდან მისაღები გაზის მოცულობაზეც. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო სავალუტო ფონდისგან 20,7 მილიონ დოლარს მიიღებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოსათვის მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხი დაამტკიცა. "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის მეოთხე მიმოხილვის შემდეგ საბჭომ 20,7 მილიონი დოლარის ოდენობის მორიგი ტრანშის გამოყოფა გადაწყვიტა. ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომის წევრებმა საქართველოში სიღარიბის დაძლევის სამწლიანი პროგრამის მიმდინარეობა დადებითად შეაფასეს. სავალუტო ფონდის ექსპერტებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელიც ქვეყანაში სიღარიბის შემცირების, ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული რეფორმების გატარებისკენაა მიმართული. სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის ტაკატოში კატოს განცხადებით, საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების პროცესი დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. მისი თქმით, ხელისუფლება ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ამყარებს ფინანსურ წესრიგს და საგადასახადო შემოსავლებს ზრდის, რაც მთავრობას გასულ წლებში დაგროვილი დავალიანების დიდი ნაწილის დაფარვის საშუალებას მისცემს. სხდომის მონაწილეების შეფასებით, ფინანსთა სამინისტროს სამი უწყების - საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებისა და ფინანსური პოლიციის გაერთიანება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადამხდელთა მომსახურების ხარისხს, შემოსავლებს კი ეფექტიანსა და პროგნოზირებადს გახდის. **მედიანიუსი**